

Tennessee Williams

ტენესი უილიამსი

Cat on a Hot Tin Roof

# კატა თუნუქის გახურებულ სახურავზე

მაიკო ხელაშვილის თარგმანი

დაიბეჭდა ჟურნალ "საბჭოთა ხელოვნებაში", 1989 წ. № 8.
ვსარგებლობთ ჟურნალის ელვერსიით, რომელიც დაცულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

მინის თეატრის ელექტრონული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელოვნება № 8 1989 წ.

ტენესი უილიამსი

ვუძღვნი ოდრი ვუდს

# კატა თუნუქის გახურებულ სახურავზე*

## პიესა სამ მოქმედებად

იმ სევდიანი სიმაღლიდან, აღსასრულის ჟამს, მამაჩემო,
გევედრები, მწყევლე და მლოცე შენი შმაგი ცრემლებით ახლა,
ნუ წახვალ მშვიდად, მორჩილად იმ კეთილ ღამეში.
ამბობდი რისხვით — ო, სინათლე კვდება წამებში!

დილან ტომასი**

### პიესის მოქმედი პირები

**მარგარეტი**
**ბრიკი**
**მეი,** ხანდახან დაქალს ეძახიან
**დედა**
**დიქსი,** პატარა გოგო
**მამა**
**ღირსი ტუკერი**
**გუპერი,** ხანდახან ძმაკაცს ეძახიან
**დოქტორი ბო,** ექიმი
**ლეიხი,** ზანგი მოსამსახურე
**სუკი,** მეორე ზანგი მოსამსახურე
კიდევ ერთი პატარა გოგო და ორი პატარა ბიჭი.

### შენიშვნები დიზაინერისთვის

მოქმედება ხდება მისისიპის დელტაში, პლანტატორის სახლის ერთ-ერთ ოთახში, რომელიც სასტუმროც არის და საძინებელიც. ოთახის ზევით მიდგმულია გალერეა, რაც ალბათ მთელ სახლსა აქვს შემოვლებული; ორი ძალიან განიერი კარი გადის ამ გალერეაზე და ზაფხულის მოწმენდილი ცის ფონზე მოჩანს თეთრი ბალუსტრადა, ეს ცა პიესის მსვლელობისას თანდათანობით რუხდება, მუქდება და ღამეული ხდება, მოქმედებას და ამბავს პიესაში ზუსტად იმდენივე დრო სჭირდება, რამდენ ხანსაც სპექტაკლი გრძელდება, ცხადია, გარდა შესვენების თხუთმეტი წუთისა.

ოთახი შეიძლება არც არის ისეთი, როგორიც გვგონია რომ უნდა იყოს მისისიპის დელტის ბამბის უმსხვილესი პლანეტატორის სახლში, იგი ვიქტორიანულ სტილშია, შორეული აღმოსავლეთის ეგზოტიკა — შერეული, და ბევრად არ შეცვლილა იმის შემდეგ, რაც აქ პლანტაციის ძველი მფლობელები, ორი უცოლო კაცი ჯეკ სტროუ და პიტერ ოჩელო ცხოვრობდა და ერთად იყოფდა ამ ოთახს მთელი სიცოცხლე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოთახში წარსულის აჩრდილები ტრიალებს: იგი რბილად და პოეტურად მიანიშნებს სინაზით მოცულ ურთიერთობაზე, რაც უჩვეულო იყო. შეიძლება საჭირო და აუცილებელი არ არის, და საქმეს მაინცდამაინც არ ეხება, მაგრამ, როცა ამ პიესის დეკორაციაზე ვფიქრობდი, მეხსიერებაში წამოტივტივდა ოდესღაც ნანახი რობერტ ლუის სტივენსონის სახლის ვერანდის ძველი ფოტოს რეპროდუქცია სამოას არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე, სადაც მან თავისი სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა — რაღაცნაირი მშვიდი სინათლე ედო ბამბუკისა და ტირიფის წნელით მოწნულ აგარაკის იქაურ ავეჯს, მზედაკრულ და ტროპიკული წვიმებისაგან ჩამუქებულს, გარინდებდა ზაფხულის მშვენიერი, მიმქრალი დღის მშვიდი ნათელი, და ყველაფერს, რასაც კი იგი ედებოდა, სიკვდილის შიშსაც კი, ნაზსა და ლბილს ხდიდა. დეკორაციას, რომლის ფონზეც პიესის მოქმედება ხდება, და რაც ადამიანური გრძნობების უკიდურეს დაძაბულობას ეხება, ვფიქრობ, ეს სილბო სჭირდება.

ერთ-ერთ გვერდით კედელში სააბაზანოს კარია, როცა კარი ღიაა, ჩანს მხოლოდ ღია ცისფერი კაფელი და პირსახოცის ვერცხლისფერი საკიდები; ამ კედლის მოპირდაპირე კედელში სხვა კარია, ჰოლში გასასვლელი. ავეჯიდან ყურადღებას იქცევს ორი რამ, განიერი, დიდი საწოლი, რომელიც მიზანსცენებში რაც შეიძლება ხშირად გამოიყენება დეკორაციის ფუნქციურ დეტალად და რომლის სიბრტყეც დარბაზისკენ ოდნავ წახრილია, რომ მსახიობები უკეთ ჩანდნენ. და კიდევ — ორ უზარმაზარ კარს შუა, კედელში სცენის უკანა მხარეს საუკუნის მონუმენტური აგრეგატია, საოცრად დიდი, ოთხივე ერთად: რადიოფონოგრაფი, სტერეოსაკრავი (ოთხი დინამიკით), ტელევიზორი და ბარი უამრავი ბოკალითა და ბოთლებით. ეს ყველაფერი მეტალის ვერცხლისფერი, ჩახშობილი ელვარებისა და სარკისებური მინის მბზინავი ელფერის ფერად კომპოზიციას ქმნის, რაც ერთმანეთთან აკავშირებს ინტერიერის მიხაკისფერ-ოქროსფერს (სეპია) და ცისა და გალერეის გრილ (თეთრ-ცისფერ) ტონებს. იგი, თითქოს პატარა, ფაქტიურად დასრულებული და კომპაქტური ტაძარია ყველა იმ სიკეთისა და ილუზიისა, რის მიღმაც ადამიანები შეფარვას ვცდი-

* იბეჭდება მცირე შემოკლებით.
** დილან ტომასის ლექსიდან — „ნუ წახვალ, მშვიდად, მორჩილად იმ კეთილ ღამეში" თარგმნა მ. ხელაშვილმა

ლობთ, და რასაც ამ პიესის პერსონაჟები აწყდებიან...

დეკორაცია გაცილებით უფრო არარეალისტურია, ვიდრე ეს შეიძლება ივარაუდო იმის მიხედვით, რაც ზემოთ ვთქვი. მე ვფიქრობ კედლები მისტიკურად უნდა ირხეოდეს ჰაერში; ჭერის მაგივრად ცა უნდა იყოს; ხოლო მთვარე და ვარსკვლავები ოდნავ, რძისფრად ფერწასული მოჩანდეს, ისე, თითქოს ტელესკოპით — ოღონდ ფოკუსის გარეშე — ვუყურებდეთ მათ.

კიდევ რა? ჰო, კიდევ ის, რომ ყველა კარის ზემოთ ფრამუგებია — ლურჯ და ქარვისფერ მინებჩასმული (მარაოსებრი ალათები), და ბოლოს, მხატვარმა მსახიობებს დიდი სივრცე უნდა შეუქმნას, ისე თითქოს დეკორაცია ბალეტისთვის იყოს გაკეთებული, მსახიობების თავისუფლად მიმოსვლისა და მოძრაობისთვის (რათა ამ მოძრაობით გამოხატონ თავიანთი შეფარული მღელვარება და შეშფოთება).

ზაფხულის საღამოა პიესის მოქმედება სცენაზე შეუწყვეტლად მიმდინარეობს, ორი ინტერვალით.

## მოქმედება პირველი

(ფარდის ახდისას ისმის, რომ ვიღაც შხაპს იღებს სააბაზანოში, რომლის კარიც ნახევრად ღიაა. საძინებელ ოთახში შემოდის ძალიან ლამაზი ახალგაზრდა ქალი, ეტყობა ცოტა აღელვებულია. შემოსვლისთანავე სააბაზანოს კარისკენ გასწევს).

მარგარეტი (ცდილობს წყლის ხმაურში გააგონოს). **იმ უკისრო მაიმუნებიდან ერთ-ერთმა კარაქიანი ცხელი ღვეზელი მესროლა, და კაბა უნდა გამოვიცვალო!**

(მარგარეტის ხმა ჩქარიც არის და იმავდროულად, გაბმულიც. ლაპარაკისას მღერადი უხდება ხმა, ოდნავ თითქოს წირვაზე მღვდლის მიერ წარმოთქმულ ლოცვას ჰგავს, საგალობელივით ამბობს ფრაზებს. სუნთქვაშეკავებული ლაპარაკობს და მერე სულს ითქვამს ახალი ფრაზის გასაგრძელებლად. ხანდახან, წამით, მთლად უსიტყვო სიმღერასავით ისმის მისი ხმა — „ლდა-და-დაააა!"

სააბაზანოდან წყლის ხმაური აღარ ისმის და ბრიკი, რომელიც ჯერ არა ჩანს, იქიდან გამოსძახებს. მარგარეტთან ლაპარაკისას მისი ტონი თავაზიან მოჩვენებით ინტერესს გამოხატავს გულგრილობისა თუ რაღაც უფრო უარესის დასაფარავად).

ბრიკი. **ჰო, რა თქვი, მეგი? წყლის ხმაურში ვერ გავიგონე...**

მარგარეტი. **მე, მე ისა ვთქვი, რომ იმ უკისრო მაიმუნებიდან ერთ-ერთმა საუცხოო მაქმანის კაბა გამითხუპნა და რაღას ვიზამ, უნდა გამო-ვიც-ვალო...**

(კამოდის უჯრებს გამოაღებს და ხელის კვრით მისწევს).

ბრიკი. **უკისრო მაიმუნებს რად ეძახი გუპერის ბავშვებს?**

მარგარეტი. **იმიტომ რომ კისრები არა აქვთ! აი ამიტომ ვეძახი ასე!**

ბრიკი. **რა, კისრები სულ არა აქვთ?**

მარგარეტი. **ოდნავაც არ ეტყობათ.**

ბრიკი. **ეგ ვერ არის კარგი.**

მარგარეტი. **რა თქმა უნდა არ არის კარგი, რადგან, როგორ მიხვალ და მოუგრეხ კისრებს, თუკი არა აქვთ! ასე არ არის, მა, სიცოცხლე?**

(კაბას იხდის და სპილოსძვლისფერი ატლასის მაქმანიანი პერანგით დგას).

**უჰ, უკისრო მაიმუნები, ყველა, ვისაც კისერი არა აქვს მაიმუნია...**

(ქვევიდან ისმის ბავშვების ღრიანცელი).

**გესმის? გესმის, რანაირად ჰყივიან? მე არ მესმის, კისრები არა აქვთ, და საიდან ამოსძვრით იმისთანა ხმა. გეუბნები, იმ საღამოს ვახშამზე [illegible] ჩავვარდი, ვიფიქრე, მეტს ველარ გავუძლებ, ავდგები და ისეთ ყვირილს მოვრთავ, არკანზასის შტატსაც კი მისწვდეს ჩემი ხმა და ტენესისა და ლუიზიანას საზღვრებსაც-მეთქი. შენს მშვენიერ რძალს, იმ ჩვენს დაქალს, მე ვუთხარი: „მეი, ჩემო კარგო, ნუთუ არ შეიძლება ამ საყვარელი ბალღების დაპურება ცალკე მუშამბაგადაფარებულ მაგიდასთან-მეთქი? რა დღეში არიან, რანაირად ჭამენ, არადა ის მაქმანის სუფთა ისეთი კარგი და ლამაზია! იმისთანა გაოცებული თვალებით შემომხედა, მე მეგონა გადმოუცვივდება-მეთქი და მითხრა — „ოჰ, აააარა! თან მამის დაბადების დღეზე? მთელი სიცოცხლე არ მაპატიებს ამას". მამა კი ორი წუთიც არ მჯდარა მაგიდასთან იმ ხუთ უკისრო მაიმუნთან ერთად, ილო ჩანგალი, დაახეთქა და დაიყვირა, „ღვთის გულისათვის, გუპერ, გაგვეყვანა რა ეს გოჭები სამზარეულოში და ვარცლთან დაგესხა!" უჰ, გეფიცები, კინაღამ მოოვკვ-დი! არა, ერთი იფიქრე, უკვე ხუთი ჰყავთ და მეექვსეს ელოდებიან და მთელი ეს ხროვა აქ მოასხეს, ცხოველებივით, გეგონება სოფლის ბაზარიაო. სულ იმას ცდილობენ, თავიანთ ბავშვებს გაყურებინონ, გადაკრულად ლაპარაკობენ იმაზე, რომ მე და შენ არა გვყავს ბავშვები, უშვილოები ვართ და ამიტომ, სავსებით გამოუსადეგარი! რა თქმა უნდა, სასაცილოა, მაგრამ საზიზღრობაცაა. რადგან ცხადზე ცხადია, რისი მიღწევაც უნდათ ამით!**

ბრიკი (გულგრილად). **რისი მიღწევა, მეგი?**

მარგარეტი. **შენ თვითონ იცი, რისიც!**

ბრიკი (გამოჩნდება). **არა, მე არ ვიცი რისი მიღწევა სურთ.**

(აბაზანის კარებში დგას, თმას იშრობს პირსახოცით და საკიდს ეჭიდება, რადგან ერთი ფეხი კოჭში აქვს მოტეხილი და თაბაშირის სახვევი ადევს. მაღალი და ჯერ ისევ ბიჭივით მკვრივია. გარეგნულად ჯერაც არ ეტყობა, რომ სმა უკვე ზემოქმედებას ახდენს მასზე. მშვიდი გაუცხოების გამომეტყველება, იმ ხალხს რომ სჩვევია. ვინც ბრძოლაზე ხელი აიღო, მომხიბვლელობას მატებს მის სახეს. თუმცა, ხანდახან, როცა წონასწორობა ეკარგება, რაღაცა კრთება ამ გაუცხოების იქით, ელვასავით — მოწმენდილ ცაზე, — და ამით მჟღავნდება, რომ შიგნით, სიღრმეში რაღაც აწუხებს. შესაძლოა, უკეთესი განათება რომ იყოს, უფრო კარგად გამოჩნდეს მისი შეშუპებული სახე, მაგრამ თანდათან მქრალი, ოღონდ ჯერ ისევ თბილი სინათლე, რომელიც გალერეიდან ხვდება ოთახში, მაყურებელს საშუალებას არ აძლევს მკაფიოდ დაინახოს იგი.

მარგარეტი. **მე გეტყვი, რისი მიღწევაც უნდათ, ჩემო ბიჭო! უნდათ რომ მამაშენის პლანტაცია შენ არ გერგოს, და...**

(წამით, ვიდრე კიდევ რამეს იტყოდეს, სახე უშეშდება, ხმა უვარდება, ისე თითქოს, რაღაც დაფარულს ამბობდეს და აღიარებდეს).

**ახლა, როცა ვიცით, რომ მამაშენი კიბოთი კვდება...**

(ქვემოთა მხრიდან, მდელოდან, სიშორით ჩახშობილი ხმები ისმის.

მარგარეტი ზევით ასწევს თავის მშვენიერ შიშველ მკლავებს და ჩუმი ოხვრით იღლიებში პუდრს იყრის. გამადიდებელ სარკეს საჭირო კუთხით აყენებს, რომ წამწამებს კარგად დააკვირდეს. მერე ბრაზიანად დგება).

**ამ ოთახში ძალიან ბევრი სინათლეა...**

**ᲑᲠᲘᲙᲘ** (რბილად, მაგრამ მკვეთრად). **ვითომ?**

**ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ. რა, ვითომ?**

**ᲑᲠᲘᲙᲘ. ვითომ ვიცით რომ მამა კიბოთი კვდება?**

**ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ. დღეს მივიღეთ ექიმის დასკვნა.**

**ᲑᲠᲘᲙᲘ. ო...**

**ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ** (ბამბუკის ფარდას, რითაც ოთახში ყველაფერს მოგრძო, ოქროსფერი ზოლიანი ჩრდილები ეცემა, ჩამოუშვებს). **ჰო, ახლახან მივიღეთ დასკვნა... მე ეს არ გამკვირვებია, ბიჭო.**

(ხმა გაბმული და ქლერადი აქვს; ხანდახან უდაბლდება, ბიჭის ხმას უგავს და ფიქრში ხედავთ, ბავშვობაში რანაირად თამაშობდა ბიჭურ თამაშებს).

**მე მაშინვე შევამჩნიე სიმპტომები, როგორც კი გაზაფხულზე აქ გადმოვედით სანაძლეოზე თანახმა ვარ, რომ ძმაკაციცა და იმისი ცოლიც მშვენივრად მიხვდნენ ყველაფერს, ამიტომაც გასაგებია რატომ თქვეს უარი ზაფხულის მიგრაციაზე გრეიტ სმოკის სიგრილეში და აქ გამოქანდნენ მთელი თავიანთი ჰყვირილა კლანით! ან ამდენი ილუზიები რაღაა რეინბოუ ჰილზე, საჭიროა თუ არა, წამდაუწუმ ახსენებენ ამ ბოლო დროს. იცი რაც არის რეინბოუ ჰილი? სამკურნალო, სადაც კინოში ცნობილ ალკოჰოლიკებს და ნარკომანებს აწვენენ.**

**ᲑᲠᲘᲙᲘ. მე არა ვარ კინოში ცნობილი.**

**ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ. არა, — სწორია, და არც ნარკომანი ხარ. სხვა დანარჩენს რაც შეეხება, ძალიან შესაფერი კანდიდატი ხარ რეინბოუ ჰილისთვის, ბიჭო, და სწორედ იქ უნდათ გიკრან თავი, მაგრამ ეს არ მოხდება — მკვდარს თუ გადამივლიან ზედ და ისე! დიახ, მოვკვდები და ეს არ მოხდება, ამ ძმაკაცს სურს დაეპატრონოს მამის ქონებას. შეიძლება მინდობილობაც კი მიიღოს იმაზე, რომ ჩვენს საქმესაც თვითონ გაუძღვეს, ჩეკებსაც თვითონ მოაწეროს ხელი და კრედიტზეც კი უარი გვითხრას, როცა მას მოესურვება, ძალლი! — ჰა? მოგეწონება ეს ამბავი, ბიჭო? — არადა, შენ ყველაფერს აკეთებ იმისათვის, რომ ასე მოხდეს, ლამის არის თავი მოიკლა, ოღონდაც იმათ აისრულონ საწადელი. სამუშაო მიაგდე, რომ ხმას გადაყვე! — წუხელ კოჰში მოიტეხე ფეხი კოლეჯის სტადიონზე: იქ რას აკეთებდი? ბარიერებზე ხტებოდი? ლამის ორსა თუ სამ საათზე? ფანტასტიკურია! გაზეთშიც ხომ მოხვდი. „კლარკსდეილ რეჯისტერმა“ თავის ფურცლებზე გამოაცხო გულზე მოსახვედრი პატარა ცნობა იმაზე, რომ გუშინ ღამით, წარსულში ცნობილმა ათლეტმა ადგილობრივი კოლეჯის სტადიონზე გლორიეს ჰილზე გამართა საჩვენებელი ერთკაციანი რბენა დაბრკოლებებით, ოღონდ ცოტა ფორმაში არ იყო და პირველ ბარიერსაც ვერ გადაახტაო! ძმაკაცი გუპერი ირწმუნება, ვითომ მთელი თავისი გავლენა გამოიყენა რომ ეს ამბავი ასოშიეიტედ პრესსა თუ იუნაიტედ პრესში და კიდევ რაღაც იდიოტურ „პრესაში“ არ მოხვედრილიყო და მთელ ქვეყანას არ გაეგო. მაგრამ, ბრიკ, შენ მაინც ერთი დიდი უპირატესობა გაქვს!**

(ამ გამალებით წარმოთქმულ სიტყვებში ბრიკს ჩაზგასმულად ნელა მიწევს თოვლივით ქათქათა საწოლზე და ფრთხილად ბრუნდება [illegible])

**ᲑᲠᲘᲙᲘ** (უხალისოდ). **შენ რაღაც [illegible]**

**ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ. მამა შენთვის სულს არ იშურებს, სიცოცხლევ, და ვერ იტანს ვერც იმ ძმაკაცს და ვერც იმის ცოლს, იცი, საიდან მივხვდი ამას? სახეზე სულ ფერფური მისდის, როცა ეს ქალი თავის ერთ-ერთ საყვარელ თემაზე ლაპარაკობს — ვთქვათ, ტყუპების გაჩენისას, დაძინებაზე უარი ვთქვიო! — მერედა რატომ! იმიტომ რომ ქალმა, თურმე, იმისი აზრით, შვილის გაჩენისას ყველა წამებას უნდა გაუძლოს, თავიდან ბოლომდე! — იმისათვის რომ დედობის ყველა საოცრება და სილამაზე ბოლომდე დააფასოს! ჰა!**

(ამ ხმამაღლა წამოძახილთან (ჰაჰ) ერთად რაღაც შმაგ მოძრაობას აკეთებს, ვთქვათ, ხმაურით მიხურავს უჯრას).

**ან ძმაკაცი როგორ მიიყვანა მშობიარეთა პალატაში, დააყენა თავისთან და მთელი „ამ საოცრებისა და სილამაზის“ მოწმე გახადა! — იმ უკიხრო მახინჯების გაჩენისა...**

(ვისაც არ უნდა ელაპარაკა ასე, აუტანელი რამ იქნებოდა, მაგრამ როცა მარგარეტი ამბობს ამ სიტყვებს, ახირებულად სასაცილოა, იმიტომ რომ თვალები სულ უციმციმებს, ხმაში კი შეკავებული, აშკარად გულკეთილი სიცილი ისმის).

**მამა იზიარებს ჩემს აზრს მაგათზე. რაც შემეხება მე, ჩემთან ერთად ხშირად იცინის, და — ისედაც, მე კარგად მექცევა, მეტიც, ზოგჯერ ისიც მგონია რომ როგორც კაცი ქალს, ისე მიყურებს...**

**ᲑᲠᲘᲙᲘ. რამ გაფიქრებინა, რომ მამა ისე გიყურებს როგორც კაცი ქალს, მეგი?**

**ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ. დამინახავს, თვალებს როგორ ხრის და ტანზე მიყურებს, როცა ველაპარაკები.**

**ᲑᲠᲘᲙᲘ. ასე ლაპარაკი საძაგლობაა.**

**ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ. ბრიკ, შენთვის ვინმეს უთქვამს როდისმე რომ უსაშველო პურიტანი ხარ?**

**მე ვფიქრობ, ძალიანაც სალია და მშვენიერი, რომ ძველი ბიჭი, სიკვდილის პირას მისული და მე მიყურებს; თუკი მკითხავ, ღირს შეხედვა და მიყურებს კიდეც. გინდა კიდევ სხვა რამეც გითხრა? შევამჩნიე, რომ მამამ არ იცოდა რამდენი პატარა მეი და გუპერი მოევლინა ქვეყანას! „რამდენი ბალღი გვყავს?“ — კითხულობს სუფრაზე, გეგონება ძმაკაცი და იმისი ცოლი ორი ახალი ნაცნობიაო! დედა ამბობს, იხუმრაო, მაგრამ ძველ ბიჭს ხუმრობა არც უფიქრია, გეფიცებით! და როცა გააგებინეს, უკვე ხუთი ჰყავთ და მეექვსეს ელოდებიანო, მისთვის ეს აშკარად უსიამოვნო სიურპრიზი იყო...**

(ქვევით ბავშვები ყვირიან.)

**ილრიალეთ მაიმუნებო!**

(ბრიკს მიუტრიალდება უეცარი მხიარული მომხიბვლელი ღიმილით, რაც მაშინვე უქრება სახეზე, როგორც კი შეამჩნევს, რომ ბრიკი მას კი არა, მქრქალი სინათლით განათებულ სივრცეს უყურებს უგულისყუროდ. ეს მუდმივი გაუცხოება მარგარეტის იუმორს რაღაც მწარედ და უცბად აქრობს).

**ერთი იქ უნდა ყოფილიყავი, იმ ვახშამზე, და ნახავდი, ბიჭო.**

(როცა ასე მიმართავს — „ბიჭი“ ზრუნვასა და ალერსს აქსოვს ამ სიტყვაში).

მამა კი — ღმერთმა დაიფაროს იმისი სული, მთელ ქვეყანაზე უსაყვარლესი ვინმეა, გადასარევი, მაგრამ ხომ იცი, ჭამის დროს, — ისე გადაემხობა თავის საჭმელს, გარშემო რა ხდება, ველარ ამჩნევს.

(მალალ, მოღერებულ ყელს უკან გადასწევს და ჩაიცინებს, უნებურად ყელთან და მკერდთან მიაქვს თითები. ავანსცენაზე გამოდის და ხმითა და ჟესტებით გამოხატავს მთელ სცენას):

ჰო, უკისრო მაიმახები მაგიდას შემოუსხეს, მაღალ სკამებზე დასვეს და ყველას თავებზე ქაღალდის ფანტასტიკური პატარა ქუდები დაახურეს, მამას დაბადების დღის აღსანიშნავად. ერთი გენახათ რა ხდებოდა. ეს ძმაკაცი და მისი ცოლი ვახშამზე წუთი რა არის, წუთით არ გაჩერებულან, ხან გუპერი წაჰკრავდა ხელს, ხან მეი ელაპარაკებოდა თვალებით, ბანქოს მოთამაშეებივით, — შულერები — წაგლეჯაზე და მოტყუებაზე რომ ფიქრობენ, — ბოლოს დედაც კი, ღმერთმა უშველოს, დიდი მიხვედრილობით მაინცდამაინც არ გამოირჩევა, მაგრამ ისიც კი მიხვდა რაღაცას და გუპერს ჰკითხა: „გუპერ, რაებს ანიშნებთ ერთმანეთს და რაზე ლაპარაკობთ შენ და მეი?“ ბეფიცები, კინაღამ ქათმის ძვალი გამეჩხირა ყელში!

(მარგარეტი სარკიან მაგიდასთან ბრუნდება, ბრიკს ჯერ კიდევ ვერ ხედავს. ბრიკი, ვერ გაიგებთ, ისეთი გამომეტყველებით უყურებს მას — ინტერესით? აღშფოთებით? აგდებით? — ერთიც, მეორეც, მესამეც და — კიდევ სხვა რაღაცაც ჩანს მის გამოხედვაში).

იცი, შენი ძმა გუპერი ჯერ კიდევ ილუზიებშია გახვეული, რაკი მისს მეი ფლინი შეირთო. მემფისელი ფლინებიდან. ამას იგი დიდ წყალობად თვლის.

(ლაპარაკისას მარგარეტი ოთახში დადის, სარკესთან გაჩერდება და მერე ისევ გაივლის).

მაგრამ გუპერისთვის მე სხვა ახალი ამბები მაქვს. ფლინები არისტოკრატები არასოდეს არ ყოფილან, ეს მათთვის უცხო სამყაროა, მარტო შეძლება ჰქონდათ, ამასვლას ამით მიაღწიეს და ესეც მოეშალათ. რა თქმა უნდა, მეი ფლინის მემფისის საზოგადოებაში გამოსვლისას მე ბავშვი ვიყავი, იმის მერე რვა წელი გავიდა, რაც ნეშვილში გამოვედი პირველად, მაგრამ უორდ-ბელმონტის კოლეჯში მყავდა მეგობრები მემფისიდან, საშობაო არდადეგებზე ვხვდებოდით ხშირად, ისე რომ ვიცი, ვინ იყო მიღებული მემფისის საზოგადოებაში და ვინ არა. რაც შეეხება იმას, რომ მეი ერთხელ ბამბის კარნავალის დედოფალი იყო, რასაც ახე ხშირად გვახსენებენ, ვაითუ დაგვავიწყდეთო, ეს იმისთანა პატივია, რომ არ შემშურდება! იჯექი იმ თითბრის ტახტზე, გაიარე ახე მთელი მეინ სტრიტი, გაუგზავნე ჰაეროვანი კოცნა ათასნაირ ბრბოს...

(სარკეში იჭერს ბრიკის სახეს, ოდნავ შეჰყვირებს, მკვეთრად ტრიალდება და შეხედავს. ათი წამი გაივლის).

ახე რად მიყურებ?

ბრიკი (ახლა წყნარად უსტვენს). როგორ, მეგი?

მარგარეტი (დაძაბულად, შიშით). ისე როგორც ეხეხ არის მიყურებდი, როცა სარკეში დავიჭირე შენი მზერა, და ამის მერე სტვენა დაიწყე! არ ვიცი ეგ რას გამოხატავს, მაგრამ სისხლი მეყინება! ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად მიყურებ ახე. რაზე ფიქრობ, როცა ახე მიყურებ ბრიკ?

ბრიკი. მე არც ვიცი თუ გიყურებდი.

მარგარეტი. მიყურებდი, ვიცი რომ მიყურებდი, რაზე ფიქრობდი?

ბრიკი. არ მახსოვს რაზე ვფიქრობდი, მეგი.

მარგარეტი. ვითომ მე თვითონ არ ვიცი რაზე... გგონია რომ... შენ ფიქრობ ვითომ არ ვიცი რაზე?

ბრიკი (წყნარად). რაზე, მეგი?

მარგარეტი (სიტყვებს ძნელად უყრის თავს). რომ მე ეს გავიარე... საშინელებაა... გარდასახვა, და გავხევდი, გავუხეშდი.

(მერე თითქმის ნაზად):

გავმკაცრდი! და ამას მამჩნევ შენ ბოლო ხანებში ანდა, რანაირად შეიძლება არ შემამჩნიო? ახეა, მე აღარა ვარ თხელკანიანი. აღარ შემიძლია ვიყო თხელკანიანი.

(თავს მოერევა).

მაგრამ ბრიკ, ბრიკ?

ბრიკი. ჰო, რა თქვი?

მარგარეტი. იმის თქმა მინდა, რომ მარტოკა ვარ. ძალიან მარტო!

ბრიკი. ეს ყველას ემართება.

მარგარეტი. როცა ვინმესთან ერთად ცხოვრობ, იმასთან, ვინც ძალიან გიყვარს, შეიძლება უფრო მეტად გრძნობ მარტოობას, ვიდრე როცა მართლა მარტო ხარ! — თუკი იმას, ვინც შენ გიყვარს არ უყვარხარ...

(პაუზა, ბრიკი კოჭლობით გამოდის ავანსცენაზე, მარგარეტს არ უყურებს, ისე იკითხავს).

ბრიკი. იქნებ გინდა მარტო ცხოვრება, მეგი?

(კიდევ ერთი პაუზა: მერე — წყენისგან მარგარეტს სუნთქვა ეკვრება).

მარგარეტი. არა! — ღმერთო! — არ მინდა მარტო!

(ისევ ეკვრება სუნთქვა, ძლივს იკავებს თავს რომ არ დაიყვიროს, გასაქანი არ მისცეს გრძნობებს, ვხედავთ რომ ძლივს შეძლო მორეოდა თავს და ნელ-ნელა დაუბრუნდა იმ სამყაროს, სადაც ჩვეულებრივ ამბებზე შეიძლება ლაპარაკი).

კარგად მიიღე შხაპი?

ბრიკი. ა-ჰა.

მარგარეტი. წყალი გრილი იყო?

ბრიკი. არა.

მარგარეტი. მაინც კარგად გაგრილდი, არა?

ბრიკი. თითქოს, ცოტა...

მარგარეტი. მე ვიცი სხვა საშუალება, რაც ამაზე კარგად აგრილებს!

ბრიკი. რა?

მარგარეტი. სპირტით დაზელა, ან ოდეკოლონით. ოდეკოლონით დაზელა.

ბრიკი. ეგ ვარჯიშის მერეა კარგი, მე დიდი ხანია არ მივარჯიშია, მეგი.

მარგარეტი. და მაინც კარგ ფორმას ინარჩუნებ.

ბრიკი (გულგრილად). შენ ახე ფიქრობ, მეგი?

მარგარეტი. მე ყოველთვის მეგონა, მსმელი კაცები უშნოები ხდებიან-მეთქი, თურმე ვცდებოდი!

ბრიკი (ძალად იღიმება). ჰოო? გმადლობ, მეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგარეტი. შენ ერთადერთი მხმელი კაცი ხარ, ვინც არასოდეს უშნოვდება, ბრიკ.

ბრიკი. მეც მეწყება ეგ, მეგი.

მარგარეტი. ადრე თუ გვიან, სიმთვრალე ყველას ასუსტებს და სიმკვრივესაც უკარგავს. კაპიტანს ასე დაეწყო, როცა... (მაშინვე ჩერდება).

მაპატიე, არ მინდოდა ძველი ჭრილობებისთვის ხელის ხლება. ისევ ჯობია დაკარგო შენი გარეგნობა, იქნებ უფრო ასატანიც კი გახდეს ასე წმინდა მეგობრობა. მაგრამ აქაც იღბალი რომ არა მაქვს, მე მგონია, რაც სმა დაიწყე, იმის შემდეგ უფრო და უფრო ლამაზი გახდი. პოო, ვინც არ გიცნობს, ეგონება, რომ არც დაჭიმული კუნთები გქონდა და ნერვებსაც არ უმტყუნია შენთვის როდისმე.

(მდელოზე კროკეტს თამაშობენ და ქვევიდან ხმა ამოდის. კროკეტის ბურთზე დარტყმის ხმა და შორი და ახლო წამოძახილები).

რა თქმა უნდა შენ ადრეც გქონდა ეს განზე მდგომის აულელვებელი იერი, თითქოს შენთვის ყველაფერი თამაში იყო და თანაც — სულ ერთი, მოიგებდი თუ წააგებდი, მაგრამ ახლა, როცა წააგე, ან — კი არ წააგე, გამოხვედი თამაშიდან, ის უიშვიათესი მომხიბვლელობა შეგემატა, რაც მხოლოდ უიმედოდ დაავადებულებს, ან ძალიან მოხუცებსა აქვთ — დამარცხებული კაცის ხიბლი. ისე მშვიდი ხარ, ო, შესაშურად მშვიდი, მშვიდი. (ისმის მუსიკა).

კროკეტს თამაშობენ. მთვარე ამოვიდა — თეთრი მთვარე, ახლადა იწყებს გაყვითლებას... უმომხიბლავესი საყვარელი იყავი მუდამ... მომხიბლავი, როცა ერთად ვიწექით, და მე მგონია, უფრო იმიტომ რომ გულგრილი რჩებოდი. არა? არასოდეს აღელვებულხარ, ბუნებრივად გამოგდიოდა, ნელა, მსუბუქად, თავის თავში საოცრად დაჯერებული იყავი და სრულიად მშვიდი, გეგონება ქალს კარს უღებდი ან სკამს სთავაზობდი, და სრულებით არ გამოხატავდი, რომ სურვილს იკლავდი. გულგრილობა გხდიდა მომხიბვლელს სიყვარულში — უცნაურია? — მაგრამ ასეა...

იცი, მე რომ ბოლომდე დავიჯერო, თითქოს შენ ჩემთან არასოდეს, აღარასოდეს არ იქნები, ახლავე დავეშვებოდი სამზარეულოში, დავავლებდი ხელს ყველაზე დიდ და ყველაზე უფრო ბასრ დანას და პირდაპირ გულში ჩავიცემდი. გეფიცები, გავაკეთებდი! მაგრამ ერთი რამე მაკლია მე, დამარცხებულის ხიბლი, რადგან დანებებას მე არ ვაპირებ, მე უნდა მხოლოდ გავიმარჯვო!

(კროკეტის ბურთებზე დარტყმის ხმა ისმის).

— ოღონდ. რა არის, მინდა ვიცოდე — თუნუქის, გახურებულ თუნუქის სახურავზე მყოფი კატის გამარჯვება?.. ალბათ ის რომ ბოლომდე გაძლოს...

(ისევ კროკეტის ხმები ისმის).

ამაღამ, გვიან, მე გეტყვი რომ მიყვარხარ და შეიძლება იმ დროისთვის უკვე საკმაოდ მთვრალი იყო და დაიჯერო... პო, კროკეტს თამაშობენ...

მამა კიბოთი კვდება.. რაზე ფიქრობდი, როცა მე მიყურებდი? კაპიტანზე ფიქრობდი?

(ბრიკი თავის ყავარჯენს იღებს, დგება).

ო, მომიტევე, მაპატიე, მაგრამ დუმილსაც თავის წესები აქვს, დუმილით თამაში არ გამოდის...

(ბრიკი ბარისკენ მიდის, ისხამს ვისკის, ერთბაშად გადაკრავს და თავს პირსახოცით გაიმშრალებს).

დუმილით თამაში არ გამოდის...

როცა მესხსიერებას თუ წარმოსახვას [illegible] აწამებს, და ასე საშინლად, დუმილით თამაში არ გამოდის. ეს იმას ჰგავს, იცოდე, რომ [illegible] ბი კარგად მიხურო და მაგრად [illegible] ხანძარი არ მეხსომებათ. ცეცხლს შეიძლება არ შეხედო, ოღონდ ამით ვერ ჩააქრობ მას. დუმილი უფრო ზრდის რაღაცას. უფრო დიდდება, წყლულდება და მაინც ხდება... ჩაიცვი, ბრიკ.

(ბრიკს ყავარჯენი უვარდება).

ბრიკი. ყავარჯენი დამივარდა.

(თავს უკვე აღარ იმშრალებს, მაგრამ ისევ პირსახოცის თეთრ ხალათშია და პირსახოცის საკიდს ეჭიდება).

მარგარეტი. მე დამეყრდენი.

ბრიკი. არა, შენ მხოლოდ მომაწოდე ეგ ყავარჯენი.

მარგარეტი. მხარზე დამეყრდენი.

ბრიკი. მე არ მინდა მხარზე დაგეყრდნო, მე მინდა ჩემი ყავარჯენი!

(ამ სიტყვების ტონი უეცარი ჰექა-ქუხილის ხმასა ჰგავს ოდნავ).

მომაწოდებ ყავარჯენს თუ მუხლებით დავეშვა იატაკზე და...

მარგარეტი. აჰა, აილე, ჰა, აილე.

(უწვდის ყავარჯენს).

ბრიკი (ყავარჯენს ეყრდნობა). გმადლობ...

მარგარეტი. ერთმანეთს არ უნდა ვუყვიროდეთ ამ სახლში კედლებსაც კი ესმით...

(ბრიკი კოჭლობით მიდის ბარისკენ ვისკის დასასხმელად).

მაგრამ კარგია, ბრიკ, დიდი ხნის მერე პირველად გავიგონე რომ ხმას აუწიე. რა არის ეს, ბრაზი კედელში — თავდაჭერის? — მე ვფიქრობ კარგი ნიშანია.

დაცვაში მოთამაშის ნერვების ნიშანი!

(ბრიკი მოტრიალდება და გულგრილად გაუღიმებს, ვისკის სვამს).

ბრიკი. უბრალოდ, ჯერაც არ მესმის, მეგი.

მარგარეტი. რა?

ბრიკი. „ტკაც". როცა საკმაოდ დავლევ ვისკის, თავში გაისმის „ტკაც" და ვმშვიდდები.. შეგიძლია ერთი რაღაც შემისრულო?

მარგარეტი. იქნებ შემიძლია. რა?

ბრიკი. ჩუმად ილაპარაკე, კარგი?

მარგარეტი (ჩახლეჩილი ხმით, ჩურჩულით). ამას როგორ არ შეგისრულებ, ჩურჩულით ვილაპარაკებ. ან სულაც ხმას არ ამოვიღებ, თუ მეც რაღაცას შემისრულებ და საზეიმო სადამომდე მეტს აღარ დალევ.

ბრიკი. რა საზეიმო საღამომდე?

მარგარეტი. მამას დაბადების დღე.

ბრიკი. დღეს მამას დაბადების დღეა?

მარგარეტი. იცი რომ მისი დაბადების დღეა.

ბრიკი. არა, არ ვიცი, დამავიწყდა.

მარგარეტი. სამაგიეროდ მე გამახსენდა,

(ორთავე ისე სუნთქვაშეკვრით ლაპარაკობს, როგორც ბავშვები ჩხუბის მერე, სულს ძლივს ითქვამენ და უყურებენ და არც უყურებენ ერთმანეთს, ორთავე კანკალებს და ისე სულშეგუბებულები არიან, გეგონება ეს-ეს არის ძლივს გააშველესო).

ბრიკი. პო, ეგრე, მეგი.

მარგარეტი. შენ მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი წააწერე ამ ღია ბარათს.

ბრიკი. შენ წააწერე რამე, მეგი.

მარგარეტი. შენი ხელით უნდა ეწეროს: ეს შენი საჩუქარია. ჩემი საჩუქარი უკვე გადავეცი, აქ შენი ხელით უნდა ეწეროს.

(დაძაბულობა ისევ იზრდება, ხმა ისევ მკვეთრი უხდებათ).

ბრიკი. მე არავითარი საჩუქარი არ მიყიდია.

მარგარეტი. მე ვიყიდე შენს მაგივრად.

ბრიკი. ძალიან კარგი, ჰოდა, ბარათსაც წააწერე.

მარგარეტი. და მიხვდეს რომ არ გახსოვდა მისი დაბადების დღე?

ბრიკი. მე არ მახსოვდა მისი დაბადების დღე.

მარგარეტი. არ არის საჭირო ამის ჩვენება.

ბრიკი. მე არ მინდა მისი მოტყუება.

მარგარეტი. ღვთის გულისათვის, ორი სიტყვა. „მიყვარხარ, ბრიკი"...

ბრიკი. არა.

მარგარეტი. ახეა საჭირო!

ბრიკი. არაფერიც არ არის საჭირო, თუკი არ მინდა. შენ დაგავიწყდა პირობები, რითაც ჩვენი ერთად ცხოვრების გაგრძელებაზე დავთანხმდი.

მარგარეტი. ეს შეუძლებელი პირობებია!

ბრიკი. მაშინ რატომ არ...?

მარგარეტი. შშშ! ვინ არის, კართან ვინმეა?

(ნაბიჯების ხმა ჰოლში).

მეი (გარედან): შეიძლება ცოტა ხნით შემოსვლა?

მარგარეტი. ა, ეს შენა ხარ! რა თქმა უნდა, შემოდი, მეი.

(შემოდის მეი, ორთავე ხელით ქალის მშვილდ-ისარი უჭირავს).

მეი. ბრიკ, ეს შენია?

მარგარეტი. რას ამბობ დაქალო. — ეს ჩემი „დაიანას ნადავლია", მისისიპის ძველი უნივერსიტეტის ეზოში გამართულ მშვილდოსანთა კოლექთაშორის შეჯიბრში მოვიპოვე.

მეი. ძალიან სახიფათოა ასეთი რამის დატოვება იმ სახლში, სადაც ამდენი ცოცხალი და ხალი ბავშვია და იარაღზე უჭირავთ თვალი.

მარგარეტი. „ცოცხალსა და ხალ ბავშვებს, რომლებსაც იარაღზე უჭირავთ თვალი", უნდა ასწავლოთ, რომ სხვისი ნივთის ხელის ხლება არ შეიძლება.

მეი. მეგი. გეთაყვა, შენ თვითონ რომ გყავდეს შვილები, გეცოდინებოდა, რა სასაცილო რამეს ამბობ. ჯობია სადმე ჩაკეტო და გასაღები ისეთ ადგილას შეინახო, რომ ვერა ნახონ.

მარგარეტი. ოჰო, დაქალო, მაგ ბავშვებზე ხელი არავის აღუმართავს და არც აპირებს. მშვილდით ნადირობაზე მე და ბრიკს ჯერ ისევ გვაქვს სპეციალური ნებართვა და როგორც კი სეზონი დაიწყება, მუნლეიკზე წავალთ ირმებზე სანადიროდ. მიყვარს მეძებარ ძაღლებთან გრილ ტყეში რბენა, დაბრკოლებებს თუ წააწყდი — გადახტები.

(მშვილდით — კედლის დიდ კარადაში შედის).

მეი. კოჭი როგორ გაქვს ბრიკ, ისევ გტკივა?

ბრიკი. არა, უბრალოდ, მექავება.

მეი. ო, რად მოხდა ეგრე. ბრიკ, ბრიკ, ვახშმის მერე რატომ არ დარჩით გენახათ ერთი ბავშვებმა რა შოუ გამართეს. მამა სიხარულისგან მთლად ბრწყინავდა!

მარგარეტი (კარადიდან, ირონიაშეპარული სიცილით). ოჰ, რასაკვირველია, გული ლამის გასკდეს მაქვს. რანაირად გავუშვით ეს შესაძლებლობა!

(გამოდის).

მაგრამ არ მესმის, მეი! ძაღლის სახელი რად დაარქვი ხუთივე ბავშვს?

მეი. ძაღლის სახელი?

(მარგარეტი ამ სიტყვებს მაშინ ამბობს, როცა ბამბუკის შტორების გასაწევად გაემართება, რადგან ჩამავალი მზის ნათელი შუქი უკვე გამქრქალდა. გავლისას თვალს ჩაუკრავს ბრიკს).

მარგარეტი (ღიმილით). დიქსი, თრიქსი, ბასტერ, სონი, პოლი! — ვით ოთხი ძაღლი და თუთიყუში... გეგონება ცირკში გამოდიან!

მეი. მეგი!

(მარგარეტი ღიმილით მიუტრიალდება).

რადა ხარ ასე კატასავით?

მარგარეტი. იმიტომ რომ მე კატა ვარ! მაგრამ, დაქალო, შენ რაღადა ხარ ასე, ხუმრობა არ იცი?

მეი. როცა ხუმრობა სასიამოვნოა, ძალიანაც ვაფასებ მას. მშვენივრად იცი ბავშვების სრული სახელები. ბასტერის სრული სახელი რობერტია, სონის — სონდერსი, — თრიქსის — მერლინი, ხოლო დიქსის...

(ქვემოდან ისმის ხმა: „მეი, მეი"! — მეი კარისკენ გაქანდება).

ანტრაქტი დამთავრდა!

მარგარეტი (როცა მეი კარს მიიხურავს, ზუსტად იმ დროს): დიქსის სახელი როგორღაა?

ბრიკი. მეგი, რა აზრი აქვს, კატასავით რას იკაწრები?

მარგარეტი. მერე, რად გავხდი ასე ბრაზიანი და ასე კაპასი? — იქნებ იმიტომ რომ შური მღრღნის და ვნება მათავებს? — ბრიკ, მე გაგიმზადე შენი მშვენიერი ჩესუჩის პიჯაკი. რომიდან ჩამოტანილი, და მონოგრამიანი აბრეშუმის პერანგი. მანჟეტებში საკინძე გავუყარე — ლამაზ ვარსკვლავა-საფირონებს, ისე იშვიათად იკეთებ, რომ ხეირიანად აღარც მახსოვს...

ბრიკი. ამ თაბაშირის სახვევზე შარვლის ჩაცმას ვერ შევძლებ.

მარგარეტი. შეძლებ, მე მოგეხმარები.

ბრიკი. არა, არ ჩავიცვამ, მეგი.

მარგარეტი. თეთრი აბრეშუმის პიჟამა მაინც ჩაიცვა, ბრიკ?

ბრიკი. კარგი, პიჟამას ჩავიცვამ, მეგი.

მარგარეტი. გმადლობ, ძალიან დიდი მადლობა!

ბრიკი. არაფერს.

მარგარეტი. ო, ბრიკ! კიდევ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ასე? ეს დასჯა? არ მეყო? თქვი, აღარ გათავდა? არ შეიძლება ვითხოვო... შეწყალება?

ბრიკი. მეგი, შემარგე ვისკი, შენ მე მიშხამავ სიამოვნებას. ბოლო დროს ყოველთვის ისეთი ხმა გაქვს, გეგონება ზევით ავარდი იმ ამბით რომ სახლი ცეცხლშია გახვეული!

მარგარეტი. სულაც არ არის გასაკვირი, იცი, როგორ ვგრძნობ თავს, ბრიკ, იცი?

(ქვევით ბავშვები და დიდები ხმამაღლა ერთად და ცოტა არეულად ამბობენ ლექსს — „ირლანდიური

ველური ვარდი“). თავს ისე ვგრძნობ, თითქოს კატა ვარ, კატა თუნუქის გახურებულ სახურავზე!

ბრიკი. ადექი და ჩამოხტი იმ სახურავიადნ, კატებს ეხერხებათ სახურავიდან ჩამოხტომა და მშვიდობით დაშვება ოთხ ფეხზე!

მარგარეტი. ო, დიახ!

ბრიკი. გააკეთე, — ღვთის გულისათვის, გააკეთე ეს!..

მარგარეტი. რა გავაკეთო?

ბრიკი. გაიჩინე საყვარელი!

მარგარეტი. მე მარტო შენ მჭირდები, შენ, სხვა კაცი მე არავინ მინდა. თვალდახუჭულიც კი მხოლოდ შენ გხედავ! აჰ, ბრიკ, რად არა ხდები უშნო, სქელი. დაუშნოვდი — იქნებ გავუძლო ამ წამებას?

(კარისკენ გაქანდება, გამოაღებს, უსმენს).

ისევ გრძელდება კონცერტი, ბრავო, კის-რებო, ბრავო! (კარს მიაჯახუნებს და გასაღებით კეტავს).

ბრიკი. რად ჩაკეტე?

მარგარეტი. ცოტა ხნით რომ მარტო დავრჩეთ.

ბრიკი. სისულელეს თავი დაანებე, მეგი,

მარგარეტი. არა, მინდა რომ სულელი ვიყო!

ბრიკი. გეუბნები მეგი, ძნელ დღეში მაგდებ.

მარგარეტი. ჩავარდი! ოღონდ აღარ მინდა რომ ასე მაწამო. არ შემიძლია დაუსრულებლად ასე ცხოვრება.

ბრიკი. შენ დათანხმდი რომ...

მარგარეტი. ვიცი, მაგრამ...

ბრიკი. მიიღებდი იმ პირობას!

მარგარეტი. არ შემიძლია! არ შემიძლია! არ შემიძლია (თითებს მხარში წაავლებს ბრიკს).

ბრიკი. გამიშვი!

(მხარს გამოგლეჯს. ბუდუარის დაბალ სკამს დასწვდება და ისე უჭირავს. გეგონება ცირკის მომთვინიერებელია და დიდ კატას ათვინიერებსო. ხუთი წამი გაივლის. მარგარეტს მომუჭული ხელი მიაქვს პირთან და გაშტერებით უყურებს ბრიკს. მერე უცებ ხმამაღლა, ლამის ისტერიკულად იცინის. ბრიკს რალაც წამით ისევ ისეთი გამოხედვა აქვს, მუქარის. მერე ეცინება და ძირს უშვებს სკამს. დაკეტილი კარების იქით დიდი დედის ძახილი ისმის.

დედა. ბიჭი! ბიჭი! ბიჭი!

ბრიკი. რა, დედა?

დედა (გარედან). ოჰ, შვილო! რა კარგი ახალი ამბავი მოგვივიდა მამაზე. მოვედი რომ გახარო. ეს — (კარის სახელურს აჩხაკუნებს).

რა ხდება? კარი რად არის ჩაკეტილი? ხომ არ ხვიქრობთ რომ ქურდები არიან სახლში?

მარგარეტი. დედა, ბრიკი იცვამს, ჯერ კიდევ ჩაუცმელია.

დედა. მერე რა მოხდა, გეგონება გახდილი ბრიკი ჯერ არ მინახავს, ახლავე გააღეთ კარები!

(მარგარეტი დაღრეჯით მიდის ჰოლში გასასვლელი კარის გასაღებად, აღებს ამასობაში ბრიკი კოჭლობით სწრაფად მიდის სააბაზანოსკენ და ფეხით მიიხურავს კარს. დედა ჰოლში აღარ არის).

მარგარეტი. დედა!

(დედა საპირისპირო მხრიდან გამოჩნდება — გალერეის ერთ-ერთი კარიდან, მარგარეტის ზურგს იქით, ბებერი ბულდოგივით ქშინავს და ბრაზობს. დაბალი და სქელი ქალია; უკვე სამოცი წლის ასაკშია და სიმსუქნის გამო, თითქმის უჭირს სუნთქვა, მოკრივესავით, ან უფრო სწორად, იაპონელ მოჭიდავესავით დაძაბულია. წარმოშობით იგი შეიძლება ცოტათი უფრო მაღლა დგას მამაზე, ოდნავ, ცოტათი, შავი თუ ვერცხლისფერი მაქმანის [illegible] ცოტა ნახევარი მილიონის [illegible] უკეთია. ძალიან გულწრფელი და პირდაპირია).

დედა (ისე ხმამაღლა რომ მარგარეტს შეეშინდება). აქა ვარ... გუპერისა და მეის ოთახის გალერეის კარიდან შემოვედი. სად არის ბრიკი — ჩქარა გამოდი მანდედან, მე ერთი წამით მოვიცალე რომ მამაზე ახალი ამბავი გითხრა, ვერ ვიტან დაკეტილ კარებს სახლში...

მარგარეტი (მოჩვენებითი უზრუნველობით). ვიცი დედა, მაგრამ ხანდახან განა არ შეიძლება ცოტა ხნით მაინც მარტო დავრჩეთ?

დედა. არა მადამ, ჩემს სახლში არა (უპაუზოდ) ის კაბა რად გაიხადე? მე ვიფიქრე, ის მაქმანის კაბა მეგის ძალიან უხდება-მეთქი, გენაცვალე.

მარგარეტი. მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ ერთმა ჩემმა მშვენიერმა პატარა თანამეინახემ იფიქრა რომ ხელის გასაწმენდად გამოადგებოდა, ასე რომ...

დედა (იატაკიდან წინდას აიღებს). რაა?

მარგარეტი. იცით რა, დედა, მეის და გუპერს ისე სწყინთ, როცა იმათ ბავშვებზე ეტყვი რამეს. გმადლობთ, დედა...

(დედა წინდას ბუზღუნით მიაჩეჩებს ხელში მარგარეტს).

უბრალოდ, ველარ გითქვია რამე იმაზე, რომ მათი საქციელი ცოტა...

დედა. ბრიკ, ჩქარა გამოდი! გეყოფა, მეგი, შენ უბრალოდ არ გიყავრს ბავშვები.

მარგარეტი. მე ძალიან მიყვარს ბავშვები! ვაღმერთებ მათ! კარგად გაზრდილებს!

დედა (ნაზად, სიყვარულით). მაშინ შენ თვითონ რატომ არ გინდა გააჩინო და კარგად აღზარდო, იმის მაგივრად, რომ გაუთავებლად არ ლაპარაკობდე გუპერისა და მეის ბავშვებზე?

გუპერი (კარებიდან იძახის). მეი, მე დედა; ბეტსი და ჰიუ წახვლას აპირებენ, გელოდებიან, გამომშვიდობება უნდათ შენთან.

დედა. უთხარი ერთი წუთიც დაიცადონ, წამიც და ჩამოვალ!

(სააბაზანოს კარისკენ მიტრიალდება და ბრიკს დაუძახებს).

ბიჭი? გესმის ჩემი ხმა?

(ისმის გაურკვეველი პასუხი).

ეს-ეს არის მივიღეთ დასკვნა ოჩსნერის კლინიკის ლაბორატორიიდან. კარგი ამბავია, შვილო, ყველა ანალიზის შედეგი უარყოფითია, სულ უარყოფითი, მამა მთლად ჯანმრთელია, თუ მცირე ფუნქციურ მოშლილობას არ ჩავთვლით, სპასტიკური კოლიტი ჰქონია. გესმის, შვილო?

მარგარეტი. ესმის, დედა, ესმის.

დედა. მაშ, რატომ არაფერს ამბობს? ღმერთო, ძლიერო, ასეთი ახალი ამბის გაგონებაზე ყვირილი უნდა მორთოს. მე ასე მომივიდა. როცა გავიგე, იმისთანა ვიყვირე, დავიჯერე, ვიყვირე, ავქვითინდი და მუხლებზე დავვარდი! ნახე. (ქვედა კაბას იწევს).

ხედავ რა დალურჯებული მაქვს მუხლისთავები?

როივე ექიმმა ხვნეშა-ხვნეშით ძლივს წამომაყენეს!

(იცინის — ყოველთვის მაგრად იცინის თავის თავზე).

მამა კინაღამ გაცოფდა ჩემზე! მაგრამ რა მშვენიერი ამბავია, ჰა? (ისევ აბაზანისკენ მიბრუნდება და ისე ლაპარაკობს):

ამდენი ღელვის მერე — რაღა არ ვიფიქრე. და — — ახეთი დასკვნის მიღება მამას — დაბადების დღეზე! მამა ცდილობდა დაეფარა. მაგრამ მე რახ გამახუღლდებს, საშინელი და დიდი რაღაც რომ მოეხსნეხა კაცს, აი ისეთი სახე ჰქონდა. თვითონვე ძლივს იკავებდა თავს რომ სიხარულით არ ელრიალა!

(ქვევით ისმის გამომშვიდობების წამოძახილები, დედა კიბეებისკენ გაქანდება).

ცოტა ხნით კიდევ გააჩერეთ, არ გაუშვათ! — მიდი ახლა, ჩქარა ჩაიცვი, ხუყველა აქ ამოვალთ და მამას დაბადების დღეს ამ ოთახში აღვნიშნავთ, რაკი შენ ფეხი გტკივა. ისევ ხტკივა კოჭში ფეხი, მეგი?

მარგარეტი. გატეხილი აქვს, დედა.

დედა. ვიცი რომ გატეხილი აქვს.

(ჰოლში ისმის ტელეფონის ხმა. ვიღაც იღებს და ზანგური აქცენტით უპასუხებს). „მისტა პოლიტის სახლი". მე გეკითხები კიდევ ძალიან ხტკივა ფეხი?

მარგარეტი. ამაზე ვერ გიპასუხებთ. ეს თვითონ უფრო კარგად იცის. ბრიკს ჰკითხეთ, დედა ისევ ძალიან ხტკივა თუ არა.

სუკი (ჰოლიდან). მემფისიდან რეკავენ, მისის პოლიტ, მისს სალი არის, მემფისიდან.

დედა. კარგი, სუკი. (დედა ჰოლისკენ გაიქცევა და ისმის, როგორ ჩაჰყვირებს მილში).

ჰელო, მისს სალი, როგორ ხართ, მისს სალი?.. დიახ, ჰო, ახლა ვაპირებდი დამერეკა და მეთქვა. ისმის? (მთელი ხმით ყვირის).

მისს სალი? „გეითზის" ვესტიბიულიდან აღარ დამირეკოთ მისს სალი, მაგ ოტელში ისეთი ხმაურია და იმდენი ხალხი ლაპარაკობს, გასაკვირი არ არის რომ მე რასაც ვამბობ, აღარ გესმით! ახლა მისმინეთ, მისს სალი. მამას სერიოზული არაფერი სჭირს. ახლახან მივიღეთ სამედიცინო დასკვნა, ყველაფერი რიგზეა. მარტო რაღაცა, — სპასტიკური კოლიტი ჰქვია... სპასტიკური! კოლიტი...

(ჰოლში გამავალი კარის ჭრილში გამოჩნდება და მარგარეტს დაუძახებს) მეგი მოდი აქ, ილაპარაკე ამ შტერს, ხმა ჩამეხლიჩა!

მარგარეტი (ჰოლში გადის და დაბალი, მკვეთრი ხმით ტელეფონზე ლაპარკობს).

მისს სალი? მეგი გელაპარაკებით, ბრიკის ცოლი. ძალიან სასიამოვნოა თქვენი ხმის გაგონება. გესმით ჩემი ხმა?.. ჰოდა, ძალიან, ძალიან კარგი! დედას უნდოდა თქვენთვის ეთქვა, რომ ოჩსნერის კლინიკიდან მივიღეთ დასკვნა და მამას სპასტიკური კოლიტი აღმოაჩნდა. დიახ. სპასტიკური კოლიტი, მისს სალი. დიახ, დიახ, სპასტიკური კოლიტი. ნახვამდის, მისს სალი, იმედი მაქვს მალე გნახავთ!

(ტელეფონის მილს დაკიდებს, ცოტათი უფრო ადრე, ვიდრე მისს სალი, იქნებ კიდევაც აპირებდა ლაპარაკის გაგრძელებას. ოთახში ბრუნდება ჰოლში გასასვლელი კარით).

დედა (კედლის კარადის კარს, სადაც მიყრილ-მოყრილი ტანსაცმელი შეყარა, მიხურავს). ეს მისს სალი მაინც რა არის!

(ვილაც ეძახის ქვევიდან, თვითონაც ხმამაღლა გასძახებს). მოვდივარ! (ჰოლის კარისკენ გაემართება, მაგრამ გასასვლელში მოტრიალდება, საჩვენებელ თითს ჯერ სააბაზანოსკენ გაიშვერს, მერე ბარისკენ და ამრიგად, გამოხატავს: „ბრიკმა დალია!" მარგარეტი თავს ისე იჭერს, ვითომ ვერ იგებს, თვალებს და წარბებს ასწევს თითქოს ეს პანტომიმა საგონებელში აგდებს და ვერაფერი გაუგია. დიდი დედა ისევ მარგარეტისკენ გაქანდება).

გეყოფა! თავს ნუ ისულელებ, ვითომ ვერ იგებ! მე გეკითხები, ძალიან ბევრი გადაკრა-მეთქი?

მარგარეტი (ღიმილით). ო, მე მგონია ერთი ჭიქა დალია ვახშმის მერე.

დედა. არ არის ეს სასაცილო! ზოგი კაცი ცოლის მოყვანის მერე თავს ანებებს სმას, სხვები პირიქით, იწყებენ სმას! მანამდე ბრიკი ერთხელაც არ გამკარებია ვისკის!

მარგარეტი (წამოიძახებს). ეს უსამართლობაა!

დედა. სამართლიანია თუ უსამართლო, მე მინდა გკითხო ერთი რამ: ერთად წოლისას აბედნიერებ და ალაღებ ბრიკს?

მარგარეტი. რატომ არ მეკითხებით მე თუ მალაღებს და მაბედნიერებს?

დედა. იმიტომ რომ მე, ვიცი რომ...

მარგარეტი. ეს ორმხრივი ამბავია!

დედა. აქ რაღაც ისე არ არის საქმე! შენ უშვილო ხარ, ჩემი ვაჟი — სვამს!

(ქვევით ვილაც ეძახის და ბოლო სიტყვების წარმოთქმისას სწრაფად მიდის კარისკენ. კართან მობრუნდება და საწოლზე მიუთითებს). როცა ცოლ-ქმრობა იშლება, დაშლის მიზეზი აქ არის, აქ!

მარგარეტი. ეს.. (დედა თავაწეული ღირსეულად გადის ოთახიდან, კარს გაიჯახუნებს). უსამართლობაა...

(მარგარეტი მარტო რჩება, სრულიად მარტო, ამ მარტოობის სიმძაფრეს გრძნობს მაყურებელი. მხრებს ასწევს, თავს დაბლა ხრის, მომუჭულ ხელებს აღმართავს, თვალებს მაგრად ხუჭავს, იმ ბავშვივით, ვინც იცის, რომ საცაა ნემსს გაუკეთებენ. როცა ისევ გაახელს თვალებს, მოგრძო ოვალურ სარკეს ხედავს თავის წინ და იქითკენ წავა სწრაფად, სახე ემღვება, დაჟინებით უყურებს თავის თავს და ამბობს: „ვინა ხარ შენ?" — მერე ოდნავ მოიხრება, გაინაბება და თავის თავს შეცვლილი, განაზებული, მაღალი ხმით, გამოჯავრებით ეუბნება: „მე ვარ კატა მეგი! (როგორც კი სააბაზანოს კარი ოდნავ გაიღება და იქიდან ბრიკი გამოსძახებს, სწრაფად სწორდება).

ბრიკი. დედა წავიდა?

მარგარეტი. წავიდა.

(ბრიკი სააბაზანოს კარს აღებს და კოჭლობით მიდის ბარისკენ, ხელში ცარიელი ჭიქა უჭირავს. ხმადაბლა უსტვენს. მარგარეტი თავს ნელა ატრიალებს, მოხდენილი ყელის მოღერებით და მზერას აყოლებს ბრიკს. გეგონება ყლაპვა უჭირსო, ყელთან გაუბედავად მიაქვს ხელი და ისე ლაპარაკობს).

იცი, ჩვენი ინტიმური ცხოვრება თანდათან და ბუნებრივად რომ ჩამქრალიყო, სხვა საქმეა, მაგრამ უცებ შეწყდა, იმაზე გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ეს ხდება საერთოდ და ამიტომაც აუცილებლად აღდგება იგი, მე ეს მჯერა. ამიტომ ვცდილობ ასე ძალიან — შევინარჩუნო მომხიბვლელობა იმ დროისთვის, როცა შენ ისევ დამინახავ ისეთს, როგორსაც

სხვა კაცები მხედავენ ახლა. ისინი ისევ მიყურებენ ბრიკ, და მოსწონთ რასაც უყურებენ. ააჰ, ზოგი მათგანი რას არ დათმობდა რომ... ბრიკ, შემომხედე!

(მოგრძო ოვალურ სარკესთან დგას, თავის მკერდსა და თეძოებს ეხება ხელით).

ისევ მკვრივი ვარ! (წყნარი, მთრთოლვარე ხმით ლაპარაკობს: ბავშვური ვედრება ისმის ამ ხმაში. იმ წუთიდან, როცა ბრიკი მობრუნდება, რათა სწრაფად შეხედოს მას — მზერა, რომელიც მოთამაშის მიერ სხვა მოთამაშისთვის გოლის გასატანად ბურთის გადაცემას ჰგავს — მარგარეტს დაძაბულად, შეუნელებელი ყურადღებით უნდა „ეჭიროს" მაყურებელი პირველი ანტრაქტის დამთავრებამდე).

სხვა კაცებს ვუნდივარ. ხანდახან სახე მომეშვება, მაგრამ სხეული მეც კარგადა მაქვს შენახული და კაცები ალტაცებით მიყურებენ ქუჩაში. წინა კვირაშიც ასე იყო. მემფისში ისეთი ანთებული თვალებით მიყურებდნენ, ლამის კაბის შიგნით ატანდა იმათი ცქერა. კლუბში, რესტორანში, მაღაზიებში, ყველა შემხვედრი თვალებით მჭამდა, მერე, გავლისას, მობრუნდებოდა და თვალს მაყოლებდა. ელისთან საღამოზე? თავისი ნიუიორკელი ბიძაშვილებისთვის რომ გამართა? ყველაზე ლამაზი მამაკაცი ზევით ამომყვა და ჩემთან ერთად ქალების ოთახში სურდა შემოსვლა. კარებამდე მომყვა და ძალაზე იყო!

ბრიკი. რატომ არ შეუშვი მეგი?

მარგარეტი. ჯერ ერთი, არც ისეთი უბრალო ვარ, და იმიტომაც — მე რომ მდომებოდა მისი შემოსვლა... გინდა იცოდე, ვინ იყო? ბოი მაქსუელ, მზეჭაბუკი!

ბრიკი. ოჰ, ბოი მაქსუელ, მახსოვს, ეგ კარგი თავდამსხმელი იყო, მაგრამ ზურზემლის ტრამვა მიიღო და დატოვა ასპარეზი.

მარგარეტი. ახლა არც ტრავმა არა აქვს და არც ცოლი ჰყავს, და ჩემს მიმართ კი ისევ ისეა!

ბრიკი. მაშინ არ უნდა დაგეშალა და უნდა შეგეშვა.

მარგარეტი. და იქ იმასთან ერთად ვენახე ვინმეს? მე ასეთი შტერი არა ვარ. ოო, შეიძლება როდისმე კიდეც გილალატო ვილაცასთან, რაკი ასე დამამცირებლად მიბიძგებ! მაგრამ თუკი ეს გავაკეთე, იცოდე, რომ ისეთ ადგილას მოხდება და ისეთ ვინმესთან, მხოლოდ მე და ალბათ იმ კაცს ეცოდინება ამის შესახებ. იმიტომ რომ მე არ ვაპირებ მიზეზი მოგცე გამშორდე როგორც მოღალატე ცოლს, ვთქვათ...

ბრიკი. მეგი, მე შენ როგორც მოღალატეს, თუნდაც ასეთს, არ გაგშორდებოდი. არ იცი ეს? მე კიდევაც გამიხარდება თუ გავიგე, რომ საყვარელი გყავს.

მარგარეტი. არა, არა ღირს რისკზე წასვლა. ისევ ამ გახურებულ სახურავზე ჯობია დავრჩე.

ბრიკი. ჰო, მაგრამ თუნუქის გახურებულ სახურავზე ძნელია ყოფნა...

(წყნარად იწყებს სტვენას).

მარგარეტი. (ბრიკი უსტვენს უკვე). რა თქმა უნდა, მაგრამ მანამდე გავძლებ, ხანამ საჭიროა.

ბრიკი. შეგეძლო ჩემგან წასვლა. მეგი.

(ისევ უსტვენს. მარგარეტი მოტრიალდება და გაafთრებით უყურებს).

მარგარეტი. არ მინდა წასვლა და არ წავალ! თანაც, ვთქვათ წავედი, შენ ერთ ცენტსაც ვერ ჯადამიხდი, თუკი მამა არაფერს მოგცემს, ის კიბოთი კვდება! (ჩანს, მხოლოდ ახლა აღწევს ბრიკის ცნობიერებამდე ის, რომ მამამისი განწირულია და მარგარეტს შეხედავს).

ბრიკი. დედამ ახლახან თქვა, რომ მამა კარგად არის და დასკვნაც კარგია.

მარგარეტი. ეგ ეგრე ფიქრობს, იმიტომ რომ რაც მამას უთხრეს, ის უთხრეს მაგასაც. ორივემ დაიჯერა. საწყალი ბებრები... მაგრამ ამ საღამოს აპირებენ დედას მაინც სიმართლე უთხრან. როცა მამა დაიძინებს, აპირებენ მამაზე უთხრან, რომ კიბოთი კვდება. (კამოდის უჯრას მიაჯახუნებს).

ავთვისებიანი აქვს და ბოლო სტადიაა.

ბრიკი. მამამ იცის?

მარგარეტი. რას ამბობ, როდის იყო ეუბნებოდნენ თვითონ იმას, ვინც ავად არის. ვინ ეტყვის, „კვდებიო". ყველამ უნდა მოატყუოს და თავიც მოიტყუოს.

ბრიკი. რატომ?

მარგარეტი. რატომ? ადამიანები მარადიულ სიცოცხლეზე ოცნებობენ და იმიტომ! ოღონდ, უმრავლესობას დედამიწაზე სურს ასეთი ცხოვრება და არა ზეცაში.

(ბრიკი ოდნავ, ნაღვლიანად გაიცინებს მარგარეტის ამ იუმორზე). ასე... (მასკარათი ილებავს წარბებს და წამწამებს). ასეა საქმე... (მიმოიხედავს). სად დავდე ჩემი სიგარეტი? ამ სახლს კიდევ დაწვა უნდა? მით უმეტეს რომ მეი და გუპერი ცხოვრობენ აქ თავიანთი ხუთი ურჩხულით.

(სიგარეტს ნახავს სადაც არის და ხარბად მოქაჩავს. ბოლს უშვებს და აგრძელებს):

ასე რომ, მამა ამის მერე უკვე ველარ გადაიხდის დაბადების დღეს. მეიმ და გუპერმა კი იციან, ოჰ, ამათ მშვენივრად იციან ეს. ოჩსნერის კლინიკიდან პირველი დასკვნა ამათ მიიღეს. ამიტომ გამოქანდნენ აქ საცხოვრებლად თავიანთი ხუთი ურჩხულით, ამიტომ, და შენ იცი რომ მამას ანდერძი ჯერაც არა აქვს შედგენილი? მთელი თავისი ცხოვრება ანდერძს არ წერდა და ამათ უნდათ დააწერინონ, უნდათ გააგებინონ, რომ შენ სმასა ხარ გადაყოლილი და მე — შვილი არ მყავს!

(წამით ბრიკი ისევ უყურებს მას, მერე რაღაცას ამბობს ბუზღუნით, უკმეხად და გაუგებრად, და კოჭლობით სწრაფად გადის მკრქალი, თითქმის ჩანავლებული ოქროსფერი სინათლით განათებულ გალერეაზე).

მარგარეტი (ისევ აგრძელებს ლიტურგიკულ გალობასავით). და იცი, მე ძალიან მიყვარს მამა, გულწრფელად მიყვარს ეს ბერიკაცი, მართლა მიყვარს, იცი...

ბრიკი (დაბნეულად და წყნარად). ჰო, ვიცი...

მარგარეტი. ყოველთვის აღტაცებას მგვრიდა, მიუხედავად უხეშობის, ავსიტყვაობისა და გინებისა. იმიტომ რომ მამა რაც იყო ისევ ის დარჩა და თავს არ იმტვრევს ამაზე ფიქრით. არც ჯენტლმენ-ფერმერად მოაქვს თავი, მისისიპის კანიონიდან მოვიდა და ისევ ისეთია, არ შეცვლილა იმის მერე რაც აქ უბრალო ზედამხედველად მუშაობდა ამ ადგილის ძველ მფლობელებთან ჯეკ სტროუსა და პიტერ ოჩელოს-

თან. მერე თვითონ გახდა აქაურობის პატრონი და მთელ დელტაში ყველაზე დიდ და ყველაზე შემოსავლიან პლანტაციად აქცია. მე ყოველთვის მომწონდა მამა... (ავანსცენაზე გამოდის). მაშ ეს მისი უკანასკნელი დაბადების დღეა, სამწუხაროა. მაგრამ ასეა. ბევრი ფული მჭირდება, რომ ლოთზე ვიზრუნო და ამ ბოლო დროს სწორედ ეს საზრუნავი გავიჩინე.

ბრიკი. შენ ვალდებული არა ხარ იზრუნო ჩემზე.

მარგარეტი. ვარ. როცა ერთ ნავში ორნი სხედან მათ ერთმანეთზე ზრუნვა მართებთ. ფული დაგჭირდება, როცა მარაგი გამოგელევა საუკეთესო ვისკის „ექოუ სპრინგის" საყიდლად. თუ ათცენტიან ლუდს დასჯერდები?

მეის და გუპერს განზრახული აქვთ დიდი მამის მემკვიდრეობა სულ არ გვერგოს, საამისოდ იმას იმიზეზებენ რომ შენ სმასა ხარ გადაყოლილი. და მე უშვილო ვარ. მაგრამ ეს გეგმა უნდა ჩავუშალოთ. ჩვენ გეგმა უნდა ჩავუშალოთ! მთელი ცხოვრება საშინლად ღარიბი ვიყავი ბრიკ, აუტანლად ღარიბი, ეს მართალია, ბრიკ!

ბრიკი. მე არ მითქვამს, რომ მართალი არ არის

მარგარეტი. ვეფერებოდი იმ ხალხს, ვისაც ვერ ვიტანდი, იმიტომ, რომ მათ ფული ჰქონდათ და მე არაფერი არ მებადა. შენ არ იცი რა არის ეს. გეტყვი: ეს იგივეა რომ შენი საყვარელი ვისკისგან ათასი მილით მოგაშორონ, აი შენი „ექოუ სპრინგისგან!" ადგე და მტკივანი ფეხით გაიარო ის ათასი მილი, იქამდე... აი რასა გრძნობ, როცა ასე ღარიბი ხარ და უნდა ეფერო იმ ახლობლებს, ვისაც ვერ იტან, იმიტომ რომ ბევრი ფული აქვთ, მამაჩემს, იცი, უყვარდა სმა, შეყვარებული იყო სმაზე, თითქმის ისე, როგორც შენ გიყვარს შენი ვისკი „ექოუ სპრინგი"! — საწყალ დედაჩემს კი ისე ეჭირა თავი, ვითომ არაფერი, საზოგადოების თვალში ჩვენი ოჯახის მდგომარეობა რომ არ შეცვლილიყო, იმიტომ. არადა შემოსავალი თვეში იმ ძველი სახელმწიფო ობლიგაციების მიხედვით ას ორმოცდაათ დოლარსაც შეადგენდა! იმ წელიწადს, როცა პირველად გამოვედი საზოგადოებაში, მხოლოდ ორი სადღესასწაულო კაბა მქონდა! ერთი თვითონ დედამ შემიკერა ჟურნალის თარგების მიხედვით, მეორე კი ერთმა აუტანელმა და მდიდარმა ბიძაშვილმა მომცა. ვერ ვიტანდი იმ ბიძაშვილს! როცა შენ გამოგყევი, ბებიაჩემის საქორწილო კაბა მეცვა... ამიტომაც მგონია ჩემი თავი კატა თუნუქის გახურებულ სახურავზე!

(ბრიკი ჯერ ისევ გალერეაზეა. ვიღაც, ხმის მიხედვით ზანგი, გულთბილად ეხმაურება მას ქვევიდან: „გამარჯობათ მისტა ბრიკ, როგორ ხართ, მისტა ბრიკ?" ბრიკი ვისკის ბოკალს ასწევს ზევით, თითოს პასუხად).

როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, შეიძლება უფულოდ ცხოვრება, მაგრამ ხანში რომ შეხვალ, უფულობა ძნელია, რადგან, არც ფული გქონდეს და არც ახალგაზრდობა — საშინელი რამაა, ან ახალგაზრდა უნდა იყო, ანდა მდიდარი, ეს შეიძლება მაგრამ ბებერიც იყო და ღარიბიც — უაზრობაა. ეს სიმართლეა, ბრიკ... (ბრიკი დაბნეულად უსტვენს).

აბა, მეც ჩავიცვი, სხვა ხომ არაფერი, ჰო, ჩავიცვი... (ლამის ცრემლებით, საწყლად).

ჩავიცვი ჰო, ჩავიცვი. და აღარაფერი აღარ დარჩა, რა გავაკეთო... (დაბნეულად, უაზროდ მიდი-მოდის და თითქოს თავისთვის ლაპარაკობს).

მე ვიცი როდის დავუშვი შეცდომა. (თავისთვის): კიდევ რა? ჰო, ჩემი სამაჯური. (მთელ [illegible] ჯურებს იკეთებს, ორივე ხელზე ექს[illegible] ლაპარაკობს).

ამაზე ბევრი ვიფიქრე, და ახლა ვიცი რა საშინელი შეცდომა დავუშვი მაშინ, როცა სიმართლე გითხარი კაპიტანზე. ეს ფატალური შეცდომა იყო. არ უნდა მელაპარაკა იმ ამბავზე, რაც მას, კაპიტანს შეეხება.

ბრიკი. მეგი, ხმა არ ამოიღო კაპიტანზე. მე მართლა გეუბნები, კაპიტანზე ხმა არ გავიგო.

მარგარეტი. გაიგე, რომ მე და კაპიტანი...

ბრიკი. შენ გგონია მე სერიოზულად არ გეუბნები მეგი? ხომ არ ფიქრობ, რომ რაკი წყნარად ვარ, გეხუმრები? იცოდე, მეგი, შენ სახიფათო თამაში წამოიწყე. შენ... შენ... ისეთ რამეს ეხები, რასაც არ უნდა შეეხოს ვინმე, ვინც გინდა იყოს.

მარგარეტი. მე დავამთავრებ, რაც უნდა მეთქვა. მე და კაპიტანმა ვისიყვარულეთ, თუ სიყვარულს დაარქმევ იმას, რომ საბოლოოდ ორივემ უფრო მეტი სიახლოვე ვიგრძენით შენთან. გესმის ოხერო, შენ ბევრს უყვარდა, მე და კაპიტანს გარდა კიდევ ძალიან ბევრს და ზედმეტად ბევრს თხოულობდი იმათგან, ვისაც უყვარდი — შენ, ზეარსება! — შენ, ღვთაებრივი! — ჰოდა, მე და ის ერთად ვიწექით და ორივე შენზე ვოცნებობდით, და ვფიქრობდით, რომ შენთან ვიყავით. ჰო, დიახ, დიახ, მართალია, ეს ასეა. რა არის აქ საშინელი? ასეა, ეს სიმართლეა და... ჰო, დიახ! არა შენთვის არ უნდა მეთქვა...

ბრიკი (თავი ოდნავ უკან აქვს გადაწეული, არაბუნებრივად უმოძრაოდ). შენ კი არა, ეს კაპიტანმა მითხრა მე, მეგი!

მარგარეტი. მე გითხარი!

ბრიკი. იმის მერე რაც იმან მითხრა!

მარგარეტი. რა მნიშვნელობა აქვს ვინ გითხრა?

(ბრიკი უცებ მოტრიალდება: გალერეის მოაჯირზე დაყრდნობით იძახის)

ბრიკი. პატარა გოგო! ჰეი გოგონა!

გოგონა (შორიდან). რა ძია ბრიკ?

ბრიკი. უთხარი ყველას ამოვიდნენ! ამოიყვანე ზევით ყველა!

მარგარეტი. მე ველარ გავჩერდები! ამაზე უნდა ვილაპარაკო, თუნდაც სუყველა ამოვიდეს!

ბრიკი გოგონა! მიდი, მიდი, გაიგე? რაც გითხარი ის გააკეთე, დაუძახე!

მარგარეტი. იმიტომ რომ უნდა გითხრა, უნდა გითხრა! შენ არასოდეს მალაპარაკებ (ტირილი აუვარდება, მერე თავს მოერევა და თითქმის მშვიდად აგრძელებს).

ეს იყო რაღაც მშვენიერი, იდეალური, ისეთი რამ, რაზეც ბერძნულ ლეგენდებშია ლაპარაკი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ეს ამბავი ხომ შენ გეხება. და ამიტომ იყო ასე სევდიანი და საშინელი ეს ყველაფერი; ეს იყო ისეთი სიყვარული, რომლის გამოხატვაც შეუძლებელი იქნებოდა — არასოდეს, და არც არავითარ დაკმაყოფილებას მოითხოვდა, მეტიც, გულახდილ აღიარებასაც კი არ დაუშვებდა. ბრიკ, დამიჯერე, ბრიკ, მე კარგად მესმის, ძალიან კარგად მესმის მეთქი ეს ყველაფერი! მე... მე ვფიქრობ, რომ

გითხრა დაბეჯითებით, რომ ცხოვრებას იმის ნება მისცე, ისევ გაგრძელდეს, თუნდაც ოცნებაც აღარ იყოს ცხოვრებაზე...

(ბრიკი ახლა უყავარჯნოდ არის. ავეჯს ეყრდნობა, იქითკენ მიიწევს, სადაც ყავარჯენია და იღებს მას. მარგარეტი მხურვალედ, თითქოს რაღაც დაუოკებელი ძალით შეპყრობილი აგრძელებს).

მე მახსოვს, როცა კოლეჯში ვხვდებოდით ერთმანეთს — ოთხივე — გლედის ფიცჯერალდი და მე, და შენ და კაპიტანი. ეს უფრო შენი და კაპიტანის პაემანს ჰგავდა. მე და გლედისი კი, გეგონება მხლებლებიაო, ისე ვიყავით, თითქოს აუცილებელი იყო, რომ ვინმე გხლებოდათ! — უფრო კარგი შთაბეჭდილების მოსახდენად...

ბრიკი (შეხედავს და ყავარჯენს ოდნავ ასწევს ზევით). მეგი, გინდა რომ ეს ყავარჯენი გესროლო? შენ რა, არ იცი რომ შემიძლია მოგკლა ამ ყავარჯნით?

მარგარეტი. უფალო, ღმერთო, მიდი და მომკალი, თითქოს სულ ერთი არ იყოს ჩემთვის!

ბრიკი. კაცს ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა რაღაც კარგი და ჭეშმარიტი, კარგი, დიადი და მართალი რაღაც! ჩემთვის ეს იყო მეგობრობა კაპიტანთან. შენ კი საზიზღრად ლაპარაკობ ამაზე!

მარგარეტი. მე საზიზღრად არ ვლაპარაკობ, მე ვლაპარაკობ როგორც საოცრად სუფთა რამეზე.

ბრიკი. მეგი, შენდამი სიყვარული კი არა, კაპიტანთან მეგობრობა იყო ჩემთვის ის ერთადერთი ჭეშმარიტი და დიდი რაღაც, და შენ კი საზიზღრად ლაპარაკობ!

მარგარეტი. ესე იგი, არ მისმენდი, და ვერ გაიგე რას ვამბობ! მე ვამბობ, რომ ეს იმდენად სუფთა რამ იყო... რომ ამან მოკლა ის უბედური კაპიტანი!

თქვენ შორის ისეთი რაღაც იყო, რაც ყინულზე უნდა გვეროდათ, რადგან შენახვა და დაცვა სჭიროდა. ჰო! და სიკვდილი იყო ერთადერთი საშუალება, რომ შეგენარჩუნებინათ ეს...

ბრიკი. მე ცოლად შეგირთე მეგი. რად შეგირთავდი, მეგი, თუ მე ვიყავი...

მარგარეტი. მოიცა ბრიკ, რა მოგივიდა, დამაცადე, ჯერ ბოლომდე ვთქვა! მე ვიცი, დამიჯერე მე ვიცი, რომ მხოლოდ კაპიტანს სურდა და თანაც შეუცნობლად, რომ თქვენს შორის რაღაც ყოფილიყო, რაღაც მთლად სუფთა არა!.. ახლა სული მომათქმევინე, რომ გავიხსენო როგორ იყო ეს. მე შენ შემირთე იმ წელს, ზაფხულის დასაწყისში, როცა მისისიპის ძველი უნივერსიტეტი დავამთავრეთ და ბედნიერები ვიყავით. ბედნიერები ლამის ცაში, ჰო, სიყვარულისას ცას ვწვდებოდით ორივე ერთად! ჰო, ასე იყო! იმ შემოდგომით შენ და კაპიტანმა უარი თქვით შემოთავაზებულ სამსახურზე, შესანიშნავი სამსახური შემოგთავაზეს, მაგრამ უარი თქვით, რადგან გინდოდათ ისევ ფეხბურთის გმირებად დარჩენილიყავით, უკვე პროფესიონალ ფეხბურთელებად. იმავე შემოდგომით აყალიბებთ გუნდს „სამხრეთულ ვარსკვლავებს“, რათა მუდამ თანაგუნდელი მეგობრები ყოფილიყავით! მაგრამ რაღაც ისე ვერ იყავით! მეც, სხვათა შორის! — ყველას რაღაც გვემართებოდა. კაპიტანმა სმა დაიწყო... შენ ხერხემალი დაგიზიანდა და მაღლიერების დღეს ჩიკაგოში ვერ ითამაშე. ტოლიდოში იწექი და ტელევიზიით უყურებდი მატჩს.

კეთილშობილი რაღაც იყო! განა ვერ ხედავ რა გულწრფელად და კრძალვით ვამბობ ამ სიტყვებს ო, ბრიკ! მე მხოლოდ ერთი, მხოლოდ ერთი ღამე მინდა.

მე კაპიტანთან ერთად წავედი. „სამხრეთულმა ვარსკვლავებმა“ წააგეს, რადგან ნაწყალი კაპიტანი მთვრალი იყო. იმ ღამეს ოტელ „ბლექსტოუნის“ ბარში ვსვით ორთავემ, მთელი ღამე, და როცა ტბის თავზე ცივი გარიჟრაჟი ილვიძებდა და როცა მთვრალები გამოვედით რომ შევვხედა ახალი დღისთვის, მე ვუთხარი: „კაპიტანო! შენ ჩემი ქმარი ან აღარ უნდა გიყვარდეს, ანდა უნდა უთხრა მას, რომ დაგთანხმდეს შენ სიყვარულზე“ — ან ერთი, ან მეორე. მოიქნია და ხელი მაგრად დამარტყა პირზე! მიტრიალდა ამის მერე და სირბილით გაქანდა. თითქოს ვხედავ, ერთხელაც არ გაჩერებულა, ისე მივიდა „ბლექსტოუნში“ თავის ოთახამდე.. — ღამე მასთან მივედი, შეშინებული თაგვივით ოდნავ მივადე ხელი კარებს და მან საცოდავად, ამაოდ და ფუჭად სცადა დაემტკიცებინა, რომ მართალი არ იყო ის რაც ვუთხარი... (ბრიკი ყავარჯენს ესვრის მეგის, ყავარჯენი მაგიდაზე მდგარ ძვირფას ლამპას მოხვდება და დაიმსხვრევა).

— და ამით დავღუპე, სიმართლის თქმით. ის სამყარო კი, რომელშიც თვითონ დაიბადა და გაიზარდა, შენი და მისი სამყარო კი, ჩააგონებდა რომ ამ სიმართლის თქმა არ შეიძლება!

— იმის მერე კაპიტანი გათავებული კაცი იყო. მხოლოდ სვამდა და ნარკოტიკებს ეძალებოდა...

— ვინ დაჰკრა შაშვი? მე, მე ჩემი...

(თვალებს მაგრად ხუჭავს და თავს უკან გადაიგდებს). მოწყალების ისრით დავჭერი! (ბრიკი ისევ ესვრის ყავარჯენს; ააცდენს).

ამაცდინე! მაპატიე, მე არ ვამართლებ ჩემს საქციელს, ო, ქრისტე ღმერთო, არა! ბრიკ, მე არა ვარ კარგი. არ მესმის რისთვის სჭირდება ხალხს ის რომ კარგებად მოაქვთ თავი, რადგან კარგი არავინ არ არის, არა. მდიდრებსა და უზრუნველებს შეუძლიათ ნება მისცენ თავიანთ თავს მორალის წესები დაიცვან, მორალის ჩვეულებრივი წესები, მაგრამ მე არასოდეს შემეძლო ასე. ეს ასეა, სამაგიეროდ — მე არ ვთვალთმაქცობ!

ამას ხომ მაინც აღიარებ, ბრიკ? — ღარიბად დავიბადე, ღარიბად გავიზარდე და ალბათ ღარიბად მოვკვდები, თუ რაღაც არ მოვახერხე და რაც გვეკუთვნის ის არ მივიღეთ მამის მემკვიდრეობიდან. როცა კიბოთი მოკვდება მერე! მაგრამ გაიგე, ბრიკ?! — კაპიტანი მოკვდა, მე ცოცხალი ვარ! კატა მეგი.

(ბრიკი უხერხულად, ხტომით მიიწევს და კიდევ ერთხელ ესვრის ყავარჯენს). ცოცხალია, მე ცოცხალი ვარ! მე ვარ... (ბრიკი გამეტებით ესვრის ყავარჯენს, მეგი საწოლს ეფარება, მოქნეული ყავარჯენი საწოლს გადაუვლის. ბრიკი წინ გაქანდება, იატაკზე ეცემა და ამ დროს მეგი ამთავრებს ფრაზას), — ცოცხალი!

ოთახში შემოვარდება პატარა გოგო დიქსი, ინდიელი მეომრის თავსაბურავით, სათამაშო პისტოლეტს მარგარეტს ესვრის და ყვირის: „ბს, ბს, ბს!“ ჰოლის ღია კარში ქვემოდან სიცილი ისმის. ბავშვის გამოჩენისას მარგარეტი საწოლზე ჩამოჯდება, მძიმედ სუნთქავს. მერე დგება და თითქოს თავშეკავებით, მაგრამ გაავთრებით ეუბნება: გოგონა, დედაშენს, ან ვი-

**ლაც სხვას შენთვის უნდა ესწავლებინა** (სულს იბრუნებს), **რომ ჯერ კარებზე დააკაკუნო და მერე შეხვიდე ოთახში. თორემ ხალხს შეუძლია იფიქროს, რომ შენ კარგი ოჯახის შვილი არა ხარ.**

**ᲓᲘᲥᲡᲘ. იააა, იაა, იაა, იატაკზე რას აკეთებს ძია ბრიკი?**

**ᲑᲠᲘᲙᲘ. მე ვცდილობდი შენი დეიდა მეგიმომეკლა, მაგრამ ავაცდინე და ძირს დავეცი. პატარა გოგო, მომაწოდე ყავარჯენი.**

**ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ. ჰო, მიაწოდე ჩემო კარგო ძიას თავისი ყავარჯენი, ხეიბარია, წუხელ კოლეჯის მოედანზე ბარიერებზე ხტებოდა და კოჭში აქვს ფეხი მოტეხილი!**

**ᲓᲘᲥᲡᲘ. რისთვის ხტებოდით ბარიერებზე, ძია ბრიკ?**

**ᲑᲠᲘᲙᲘ. იმიტომ რომ ადრე ვხტებოდი და ხალხს უყვარს იმის გაკეთება, რასაც ყოველთვის აკეთებდა, სულ ერთია, თუგინდ უკვე აღარ შეეძლოს...**

**ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ. ასეა, ესეც პასუხი, ჰა, გაიგე, პატარა გოგო? ახლა კი წადი.**

(დიქსი სამჯერ ესვრის მარგარეტს თავის სათამაშო პისტოლეტს).

**გაჩერდი, გაჩერდი, მაიმუნო, პატარა მაიმუნო!**

(წაართმევს სათამაშო პისტოლეტს და ღია კარებიდან გალერეაზე გადააგდებს).

**ᲓᲘᲥᲡᲘ** (თავისი ასაკისთვის შეუფერებელი უნარით უნდა, რომ ძალიან ატკინოს გული). **თქვენ გშურთ! იმიტომ გშურთ, რომ არ შეგიძლიათ ბავშვების გაჩენა!**

(მუცელგამობერილი გაუვლის მარგარეტს და გალერეაზე გადის, თან ენას უყოფს. მარგარეტი კარებს ძალით მიუჯახუნებს და ზედ მიეყრდნობა. ხშირად და მძიმედ სუნთქავს. პაუზა, ბრიკს ვისკი დაუღვარა და ხელახლა დაისხამს, არსაით არ იყურება, ისე, უაზრო მზერით ჯდება დიდ, ოთხ ბოძალზე დადგმულ საწოლზე).

**ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ. ხომ ხედავ, — ჩვენს უშვილობაზე თავიანთ ხუთ პატარა უკისრო მაიმახთანაც კი ავყითმენ!**

(პაუზა. კიბეზე ამომავალთა ხმები).

**ბრიკ? მემფისში ექიმს ვეჩვენე.. გინეკოლოგს... გულდასმით გამსინჯა და მითხრა, რომ არავითარი მიზეზი არ არსებობს შვილი არ გვყავდეს თუ მოვისურვებთ. და ახლა მაქვს სწორედ ის პერიოდი, ბავშვის ჩასახვის... გესმის? გაიგე?**

**ᲑᲠᲘᲙᲘ. ჰო, მესმის, მეგი.** (მეგის აგზნებულ სახეზე შეაჩერებს მზერას).

**ოღონდ, დალახვროს ეშმაკმა, რანაირად აპირებ ბავშვის გაჩენას იმ კაცისგან, ვინც ვერ გიტანს?**

**ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ. სწორედ ეგა მაქვს ამოცანად.**

(მკვეთრად მიტრიალდება ჰოლში გამავალი კარისკენ). **მოდიან!**

რამპის ჩირაღდნები ქრება.

ფ ა რ დ ა

## ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

(დროის მხრივ არავითარი ცვლილება არ მომხდარა. გრძელდება პირველი მოქმედება, მარგარეტი და ბრიკი იმავე პოზაში არიან).

**ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ** (კარებთან). **მოდიან!**

პირველად მამა გამოჩნდება — მაღალი კაცი, გამჭოლი მღელვარე გამოხედვით. ფრთხილად მოძრაობს, რომ სისუსტე ვერავინ შეამჩნიოს. ყველაზე მეტად თავის თავს უმალავს ამ სისუსტეს.

ბიბლიოთეკა

**ᲛᲐᲛᲐ. აბა, ბრიკ.**

**ᲑᲠᲘᲙᲘ. გამარჯობა, მამა. გილოცავ!**

**ᲛᲐᲛᲐ. ნეტა ერთი...**

(შემოდიან, ზოგი ჰოლიდან, ზოგი გალერეიდან, ორივე მხრიდან მოისმის ხმები. გუპერი და ღირსი ტუკერი გალერეის კარში გამოჩნდებიან და მათი ხმა უფრო მკაფიოდ ისმის. ჯერ ისევ კართან დგანან, გარეთ — სანამ გუპერი სიგარეტს ეწევა).

**ᲒᲣᲞᲔᲠᲘ. და შეწირულებაა იგი, მამაო?**

**ᲦᲘᲠᲡᲘ ᲢᲣᲙᲔᲠᲘ. იცით, გას ჰემის ხსოვნა მისმა ოჯახმა როგორ აღნიშნა? ტუ რივერსში მთლად ახალი ქვის შენობა შესწირა ეკლესიას სარდაფის სართულზე კალათბურთის პატარა მოედნითურთ და...**

**ᲛᲐᲛᲐ** (ხმამაღლა იცინის, ყეფასავით, ეს არ არის მხიარული სიცილი). **ეე, ღირსო მამაო! რა სულ შეწირულებაზე ლაპარაკობთ, მიცვალებულების მოსახსენებლად! ხომ არ ფიქრობთ, რომ აქ აბარგებას აპირებს ვინმე, ჰა?**

(ამ კითხვით დაბნეული ღირსი ტუკერი მეტს ველარაფერს მოახერხებს და გადაწყვეტს გაიცინოს, თან — რაც შეუძლია ხმამაღლა. ასე რომ, როგორ უპასუხებდა შეკითხვას, ვერ გავიგებთ, რადგან ამ უხერხული მდგომარეობიდან იგი გამოჰყავს გუპერის ცოლის, მეის და დოქტორ ბოს, ოჯახის ექიმის გამოჩენას ჰოლის კარებში, მეის მკვეთრ და ხმამაღალ ლაპარაკს).

**ᲛᲔᲘ** (ლამის მოწიწებით). **...მაშ ასე, გაუკეთეს, გუპერ? მეი გუპერ! ბავშვებს რის საწინააღმდეგოდ ვუკეთებდით აცრებს?**

**ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ** (სანამ მეი დაამთავრებდეს, ოდნავ, სულ ცოტა ადრე იწყებს). **ჩართე, ბრიკ! ჯერ მუსიკა მოვისმინოთ!** (საუბარი საერთო ხდება, ოთახი ივსება ერთმანეთში არეული ხმებით, რაც ჩიტების ყიყყივს გაგონებთ. მხოლოდ ბრიკი არ ლაპარაკობს, დაბნეული, თითქოს უაზრო ღიმილით ეყრდნობა ბარს და დროდადრო თხელი ქაღალდით ყინულის ნატეხებს იდებს შუბლზე. მარგარეტის სიტყვები თითქოს არც გაუგონია. მარგარეტი თვითონ მიდის ფირსაკრავთან და პულტისკენ იხრება).

(ოთახი თითქოს უცებ შეიძვრის ვაგნერის ოპერის ან ბეთჰოვენის სიმფონიის კულმინაციის ძლიერი ბგერებით).

**ᲛᲐᲛᲐ. გამორთე ერთი ეგ რაღაც!**

(ამის მერე თითქმის უცებვე ჩამოწვება სიჩუმე, რასაც იქვე დაარღვევს დიდი დედის წამოძახილი, იგი ჰოლის კარიდან იერიშზე გადასულ მარტორქასავით შემოვარდება).

**ᲓᲔᲓᲐ. სად არის ჩემი ბრიკი, ჩემი საყვარელი ბიჭი?**

**ᲛᲐᲛᲐ. ბოდიში, ისევ ჩართეთ, ჩართეთ.**

(ყველა ძალიან ხმამაღლა იცინის. მამა ცნობილია თავისი ხუმრობით დიდ დედაზე, და ყველაზე ხმამაღლა თვითონ დედა იცინის მათზე, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან ძალიან მკაცრად ხუმრობს მამა და ასეთ დროს დედა ხელში რაღაცას იღებს, ან მოუსვენრად ფაციფუცობს, რომ დაფაროს წყენა, რასაც

ხმამაღალი სიცილითაც კი ველარ ფარავს. ამჟერად იგი შესანიშნავ გუნებაზეა, გულზე მოეშვა იმის მერე, რაც მამის შესახებ შეთხზული დასკვნა მოუტანეს და ამის გამოა, რომ კომიკურად, მორიდებით ხითხითებს, ხან მამას შეხედავს და ხან ბრიკს, ამას ყველაფერს ძალიან სწრაფად და ცოცხლად აკეთებს).

**დედა.** აქ არის, აქ არის ჩემი ძვირფასი ბიჭი! ხელში რა გიჭირავს? მომე, მოეშვი ამ ჰიქას შვილო, მაგ ხელში უფრო კარგი რამე უნდა გეჭიროს, ვნახოთ ერთი როგორ დათმობს ბრიკი იმ ჰიქას. (ბრიკი უჭერებს დედას, ვისკის ჰიქას დედას გაუწვდის. ყველა იცინის, ისევ ისე, ზოგი ხმადაბლა და ზოგი — ხარხარებს).

**დედა.** ცუდო ბიჭო, შე ცუდო ბიჭო, დედას ცუდი ბიჭი ხარ, მაშ, ცუდი, ცუდი, მოდი მაკოცე უყურეთ ერთი, პირს იბრუნებს, ბრიკს არასოდეს არ უყვარდა მოფერება და კოცნა. და მე ვიცი რაღაც, იმიტომ რომ ყველა ძალიან ეფერებოდა, სულ ალერსში იყო. გამორთე შვილო ეგ... (ბრიკი გამორთავს ტელევიზორს, რომელიც ის-ის იყო ჩართეს). ვერ ვიტან ტელევიზორს! ჯერ რადიო რა არის და ახლა კიდევ ტელევიზორი.

(ხვნეშით ერთბაშად ჩაჯდება სკამზე).

ერთიმეორეზე უარესია. ჰა, ჰა, არა, აქ რას ჩავჯექი? მე მინდა დივანზე დავჯდე. ჩემ საყვარელ ბიჭთან ახლო, რომ ხელი ხელზე მოვკიდო და ცოტათი მაინც მოვეფერო.

(დედას შავ-თეთრი, სახიანი შიფონის კაბა აცვია. ქსოვილის მსხვილი, ასიმეტრიული სახეები, რაღაც დიდი ცხოველის ტყავს რომ გაგონებთ დიდრონი ბრილიანტებისა და ურიცხვი მარგალიტების ბრჭყვიალი, ვერცხლისჩარჩოიანი სათვალე, ომახიანი ხმა და რიხიანი სიცილი — მისი გამოჩენისთანავე ავსებს მთელ ოჯახს. დიდი მამა მას ქრონიკული გაღიზიანებით და ტალღეჯით უყურებს).

**დედა** (უფრო ხმამაღლა). მალალლირსებავ, ჰეი, მალალლირსებავ. მომეცით ხელი და წამომაყენეთ ამ სკამიდან!

**ღირსი ტუკერი.** ოღონდ არავითარი ოინები არ იყოს!

**დედა.** რა ოინები? მომეცით ხელი რო წამოვდგე ამ... (ღირსი ტუკერი ხელს გაუწვდის. დედა სტაცებს ხელს და კალთაში ჩაისვამს სიცილ-ხარხარით — ერთი ოქტავით მაღალ ტონში;).

გინახავთ როდისმე სქელი მანდილოსნის კალთაში ჩამჯდარი მღვდელი? ჰეი, ჰეი, ხალხო! როდისმე გინახავთ სქელი მანდილოსნის კალთაში მღვდელი?

(მთელ იმ დელტაში იციან, რომ დედას უშნო და უხეში ხუმრობა უყვარს. მარგარეტი ლმობიერი იუმორით ადევნებს თვალს ამ სცენას, დროდადრო მოსვამს წითელ ღვინოს და ბრიკს უყურებს, მეი და გუპერი კი ჟესტებით გამოხატავენ უკმაყოფილებას, დედის ამ მანჭვა-გრეხას იუმორით კი არა, შეშფოთებით შეჰყურებენ, რადგან მეის აზრით, ასეთი გამოხდომები მიუხედავად თავიანთი მცდელობისა, შესაძლოა მემფისის ახალგაზრდა წყვილების ელეგანტურ წრეში მოხვედრის ხელისშემშლელ ფაქტორად იქცეს მათთვის. ზანგ მსახურთაგან ერთ-ერთი, ლეისი ან სუკი ოთახში ხითხითით შემოიხედავს. ისინი ელოდებიან ნიშანს, — რომ სადღეობო ღვეზელი და შამპანური შემოიტანონ. მაგრამ მამას არ ემხიარულება. ექიმის სასურველმა დასკვნამ დიდი სულიერი სიმშვიდე კი მოჰგვარა, მაგრამ ვერ გაუგია მაინც, ასე რად აწამებს ტკივილი, გეგონება მელა [illegible] მის შიგნეულს „ეს სპასტიკური [illegible] უნდა იყოს“, თავისთვის ფიქრობს ამას, მაგრამ ხმამაღლა დედას დაუღრიალებს).

**მამა.** დიდო დედა, გაათავებ თუ არა მაგ უხამსობას? ამ ბავშვური სიგიჟეებისთვის მეტად სქელი ხარ. თან ქალს ეგეთი წნევა გაქვს... გაზაფხულზე ორასი ჰქონდა! — ნავარდი არ გამოგადგება, უფრო აგიწევს...

**დედა.** მამას მივულოცოთ, დიდი მამას დაბადების დღეა! (თეთრჟაკეტიან ზანგებს შემოაქვთ უზარმაზარი სადღეობო ღვეზელი ანთებული სანთლებით და შამპანური ყინულიანი სათლებით. შამპანურის ბოთლებს ყელზე ატლასის ლენტები აქვს შემოხვეული, მეი და გუპერი სიმღერას იწყებენ და ყველანი მათ შორის ზანგებიც და ბავშვებიც აჰყვებიან. მხოლოდ ბრიკია (თავისთვის, ჩუმად).

**ყველა.** გილოცავთ დაბადების დღეს!

(მეი სცენის შუაგულში გამოდის და თავისი ბავშვებით რაღაც სახელდახელო ქოროს ქმნის... ოდნავ გასაგონად ისმის მეის „ერთი, ორი, სამი!“ და ბავშვები ახალ მელოდიას იწყებენ.

ხკინამარინკა — დინკა-დინკ
სკინამარინა — რაა
გვიყვარხაარ
ხკინამარინკა — დინკა-დინკ
ხკინამარინკა — რაა

(ყველა ერთად მიტრიალდება მამისკენ)

დიდი მამა!

შენც, დედაა!

დედა ცრემლად იღვრება. ზანგები გადიან.

**მამა.** (რა მოხდა იდა? არა უშმაკი შეგიჯდა?

**მეი.** ისე, უბრალოდ, ბედნიერია.

**დედა.** მე ისე ბედნიერი ვარ, მამა. ლამის არის ვიტირო, ან სხვა რაღაც გავაკეთო.

(სიჩუმეში უცებ ხმამაღლა).

ბრიკ, იცი რა საოცრად კარგი ახალი ამბავი მოიტანა მამაზე კლინიკიდან დოქტორმა ბოშ? მამა კარგად არის, ავად არ არის, ასი პროცენტით კარგად არის!

**მარგარეტი.** შესანიშნავია!

**დედა.** ახლა, როცა ვიცით, რომ მამას არაფერი არა სჭირს სპასტიკური კოლიტის გარდა, შემიძლია ვთქვა, თუ რა საშინლად ვღელავდი, ლამის მოვკვდი, ლამის ჭკუაზე შევიშალე, ისეთნაირად მეშინოდა, მამას...

**მარგარეტი** (წამოხტება და ხმამაღალი შეძახილით აწყვეტინებს). ბრიკ გენაცვალოს ჩემი თავი, არ აპირებ სადღეობო საჩუქარი გადასცე მამას?

(ბრიკს ჩაუვლის, ვისკიან ჰიქას გამოართმევს და ლამაზად შეკრულ ამანათს აიღებს).

აი ესეც, მამა, ეს ბრიკის საჩუქარია.

**მეი** (მაშინვე). ბრიკ, შიგ რა არის?

**გუპერი.** სანაძლეოს ვდებ — ხუთასი ორმოცდაათზე, რომ ბრიკმა არ იცის შიგ რა არის.

**დედა.** საჩუქრის ხიბლიც ის არის რომ სანამ არ გახსნით ვერ გაიგებ. მამა გახსენი საჩუქარი.

მამა. შენ თვითონ ნახე. ბრიკს მე რაღაც მინდა ვუთხრა! აქ მოდი ბრიკ.

მარგარეტი. მამა გეძახის ბრიკ.

(პაკეტს ხსნის).

ბრიკი. უთხარი, რომ ვკოჭლობ.

მამა. ვხედავ, რომ კოჭლობ. მინდა გავიგო რანაირად მოახერხე ეგ?

მარგარეტი (ყურადღება სხვა რამეზე გადააქვს). ო, შეხედეთ, ო, ნახეთ, ქიშმირის ხალათი!

(სამხრეებით ასწევს ხალათს, რომ ყველამ შეხედოს).

მეი. რა გაკვირვებით ამბობ, მეგი.

მარგარეტი. ამდაგვარი ჯერ არ მინახავს...

მეი. ხაოცარია — მამ!

მარგარეტი (გაშმაგებით მოუტრიალდება და დამაბრმავებელი ღიმილით მიმართავს). რა არის საოცარი? ჩემს ოჯახს მხოლოდ კარგი ოჯახის სახელი ჰქონდა, სხვა არაფერი, და ქიშმირის ხალათები ჩემთვის ახლაც ფუფუნებაა, ამიტომ მიკვირს!

მამა (მუქარით). გაჩუმდით!

მეი (გაცხარებული ვერ იკავებს თავს). რად უნდა გიკვირდეს ასე ძალიან ვერ გამიგია. შენ თვითონ იყიდე მემფისში. გინდა გითხრა საიდან ვიცი?

მამა. გაჩუმდით-მეთქი!

მეი. მაღაზიაში მითხრა იმ ქალიშვილმა „ო, მისიზ ბოლიტ, ეს-ეს არის თქვენმა რძალმა მამამთილისთვის ქიშმირის ხალათი შეიძინა!“

მარგარეტი. რა ნიჭი ცდება თურმე დაქალო, დაზვერვის ფედერალურ ბიუროში იქნებოდი მისწრება ანდა...

მამა. გაჩუმდით!

(ღირს მამა ტუკერს სხვებთან შედარებით უფრო შენელებული რეფლექსები აქვს. დაწყებულ ფრაზას იგი მხოლოდ ახლა ამთავრებს).

ღირსი ტუკერი (ექიმ ბოს)... სტორკი და რინერი თავებით — მიდიი!

(ხმამაღლა მხიარულ სიცილს იწყებს, მაგრამ შეამჩნევს, რომ ჩუმად არიან. მამა კი გააფთრებით უყურებს მას. ნირშეცვლილი დუმდება).

მამა. მაღალღირსებავ მემორიალურ ვიტრაჟებზე კიდევ რაღაც თუ გინდოდათ გეთქვათ, იმედი მაქვს მე არ გიშლით ხელს თუ, როგორ არის? (ღირსი ტუკერი ძალად იცინის, მერე უხერხულ სიჩუმეში მშრალად ახველებს). მაღალღირსებავ?

დედა. მოიცა, მამა, რას ჩააცივდი მაღალღირსებას? (მარგარეტი შემკრთალი ჩაიცინებს) და მხოლოდ ეს არღვევს პაუზას. ერთადერთი მარგარეტია, ვისაც შეუძლია გროტესკული ნათქვამის გაგება და გაცნობიერება).

მამა. ბრიკ, შენზე მითხრეს რომ — თუ ტყუილი არ არის ეს — წუხელ ღამით ბარიერებზე ხტებოდაო კოლეჯის სპორტულ მოედანზე?

დედა. ბრიკ, შენ გეუბნება მამა, შვილო.

ბრიკი (გაურკვეველი ღიმილით, დროდადრო სვამს). რა იყო, მამა?

მამა. მე მითხრეს, რომ წუხელ კოლეჯის მოედანზე ყოფილხარ და ბარიერებზე ხტებოდი.

ბრიკი. მეც ეგრე მითხრეს.

მამა. რას აკეთებდი შუაღამისას, სამ საათზე? რას შვრებოდი, ხტებოდი თუ ქალი გყავდა წაქცეული იმ წიდაყრილზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა. მამა, შენ ახლა ავად აღარ ხარ და ამგვარ ლაპარაკს არ მოვითმენ, ასეთი რამით... ასეთი რალაცით...

მამა. ჩუმად!

დედა. საძაგლობაა, მისი მაღალღირსების თანდასწრებით და...

მამა. ჩუმად! — გეკითხები, ბრიკ, დროს ატარებდი იმ წიდაყრილზე წუხელ? მე ვიფიქრე სიამოვნებას გადაჰყვა-მეთქი, გამოეკიდა, მერე კი, გაქანებულმა თავი ვეღარ შეიკავა და დაეცა-მეთქი. ეგრე იყო?

(გუპერი ხარხარებს, ხმამაღლა და ყალბად, სხვებიც აჰყვებიან ნერვული სიცილით. დედა ფეხს აბაკუნებს, ტუჩებს კუმავს, მეისთან მიდის და რაღაცას ჩუმად ეუბნება. ბრიკი უძლებს მამამისის მკაცრ, დაჟინებულ და დამცინავ მზერას — გაურკვეველი ღიმილით და ვისკით ხელში, ამ ორ რამეს ყველა სიტუაციაში დაცვასავით მიმართავს ბრიკი).

ბრიკი. არა, სერ, არა მგონია ასე ყოფილიყო...

მეი (იმწამსვე, წყნარად): მე და ღირს ტუკერს იქნებ ცოტა გაგვევლო გარეთ... (ტუკერთან ერთად გალერეაზე გადის, მამა ისევ აგრძელებს).

მამა. ეშმაკმა დალახვროს, მაშ რა ოხრობას აკეთებდი იქ ღამის სამ საათზე?

ბრიკი. ბარიერებზე ვხტებოდი, მამა სირბილი და ბარიერებზე ხტომა მომინდა. მაგრამ ის ბარიერები ჩემთვის ახლა უკვე ძალიან მაღალია.

მამა. იმიტომ რომ მთვრალი იყავი?

ბრიკი (გაურკვეველი ღიმილი ოდნავ უქრება). ფხიზელი მე არც ვეცდებოდი, იმ ბარიერებზე დაბალზეც კი...

მარგარეტი (მაშინვე). მე მინდა შემოგთავაზოთ სამოცდახუთი წლის მამა პოლიტის სადღეგრძელო, მთელ ამ დელტაში ბამბის უდიდესი პლანტატორის...

მამა (ბრაზითა და ზიზღით გაშმაგებული). გეყოფათ-მეთქი ხომ გითხარით, მოეშვით ამას!...!

დედა (ღვეზელი მიაქვს მამასთან): ასე ლაპარაკის ნებას არავითარ შემთხვევაში არ გაძლევ, მამა, თუნდაც შენი დაბადების დღეს, მე...

მამა. ვილაპარაკებ მხოლოდ ისე, როგორც მსურს. იდა, ჩემი დაბადების დღესაც და წელიწადის რომელ დღესაც გინდა, და თუ აქ ვინმეს არ მოსწონს ეს, აიბარგოს!

დედა. არა შენ ასე არ ფიქრობ!

მამა. რატომ გგონია, საიდან იცი რომ არ ვფიქრობ ასე?

(ამასობაში გუპერი გაცხოველებით და ფრთხილად ანიშნებს რაღაც-რაღაცებს ვიღაცას და თვითონაც გადის გალერეაზე.

დედა. ვიცი, ვიცი, რომ ასე არ ფიქრობ.

მამა. არაფერი შენ არ იცი და არც არაფერი გაგეგება.

დედა. ასე არ ფიქრობ, მამა, არა.

მამა. ასე ვფიქრობ! და რასაც ვფიქრობ, იმასვე ვამბობ! ამ ხნის მანძილზე რაღას აღარ ვითმენდი, რადგან მე მეგონა ჩემი დღეები დათვლილი იყო. შენც გეგონა რო ვკვდებოდი უკვე და აქ გამგებლობა დამიწყე. ჰოდა, იცოდე, არა ვკვდები! ბრძანებებს თავი

დაანებე, იმიტომ რომ არა ვკვდები და საქმესაც მხოლოდ მე მივხედავ.

(უკვე თითქმის ყველა გადის გალერეაზე, და ხანში შესულ ცოლსა და ქმარს მარტო ტოვებენ. სანთლებანთებული ღვეზელის თავზე ორთავე დაჟინებით უყურებს ერთმანეთს, დედას მკერდი აუდ-ჩაუდის, მძიმედ სუნთქავს, ფუნთუშა ხელი პირთან მიაქვს. მამა ჩახლეჩილი ხმით აგრძელებს).

ჰო, რა იდა? ახია? ხო შეუშვი თავში ის აზრი რომ მე კიბოთი ვკვდებოდი და აქაურობის გაძღოლაზეც დაიწყე ფიქრი? საცა არ გინდა შენი ყვირილი გაისმის და თვალში სუ შენი ბებერი და ლოხი სხეული გეჩხირება კაცს!

დედა. შშშ! მღვდელია აქ!

მამა. ერთი ეგეც ვითომ ვინმეა!

(დედა ხმამაღლა ოხრავს და ჯდება დივანზე, რაც ცოტა არ იყოს მეტისმეტად პატარაა მისთვის).

გაიგონე რაც გითხარი? ერთი ეგეც ვინმეა-მეთქი!

(გარედან ვიღაც გალერეის კარს კეტავს, ზუსტად იმ დროს, როცა ცაში შუშხუნები აბრიალდება და ბავშვების აგზნებული ყვირილი ისმის).

დედა. ჭერ არ მახსოვს ახე როდისმე გელაპარაკა, და არ მესმის ახლა რა დაგემართა!

მამა. გავიარე ეს გამოკვლევა, და კიდევ რა არა, იმისათვის რომ გამეგო ბოლოს ვინ არის აქ ბატონპატრონი — შენ თუ ისევ მე! და გაირკვა, რომ მე ვარ, შენ არადა ეს არის ჩემი სადღეობო საჩუქარიც. ღვეზელიცა და შამპანურიც. აქაურობა მე შევქმენი, ზედამხედველად ვიყავი აქ! სტროუსა და ოჩელოხ ძველი პლანტაციის ზედამხედველად. ათი წლისამ დავანებე სკოლას თავი და ველზე გავედი სამუშაოდ, ვიღაც ზანგივით. სტროუს და ოჩელოს პლანტაციის გამგებელი ვიყავი, მერე გაიზარდა, გაიზარდა ეს პლანტაცია! მე გავაკეთე ეს ყველაფერი. შენ — არაფერი, და ახლა გინდა ხელში ჩაიგდო? ეს არ გამოვა, ბაიგე, იდა? ჩამიტარეს გამოკვლევა, ის რაღაცა ოპერაციაც გააკეთეს, რო რამე გაეზოთ და ვერაფერი აღმოაჩინეს. სპასტიკური კოლიტის გარდა, ისიც ალბათ ზიზღით გამიჩნდა! ამ წყეული სიცრუისა და მატყუარების ზიზღის გამო, აბა, სხვა რა, რა — და მთელი სიცოცხლე იგუე ეს! და ფარისევლობაც, — რაც მე და შენ ერთად ვცხოვრობთ — ორმოცი წელი ვითმენ ამას! ჰეი, იდა! ჩააქრე მიდი სადღეობო ღვეზელზე ეგ ანთებული სანთლები, ჰო, მოფხუწე ეგ ტუჩები და შეუბერე!

დედა. ოო, მამა, მამა, ოჰო-ჰო, მამა!

მამა. რა მოგივიდა?

დედა. მთელი ეს წლები არ გჯეროდა, რომ მე მიყვარდი?

მამა. ჰა?

დედა. მიყვარდი ,და ძალიანაც მიყვარდი, ძაან! შენი სიძულვილიც კი მიყვარდა და უხეშობაც კი მიყვარდა შენი! (აქვითინდება და მოუხეშავად გავარდება გალერეაზე).

მამა (თავისთვის). სახაცილო არ იქნება რომ ახე არ იყოს? (პაუზა, რასაც ფეიერვერკით ცის უეცარი აელვარება მოჰყვება).

ბრიკ, ჰეი, ბრიკ!

(სანთლებანთებულ თავის სადღეობო ღვეზელთან დგას. ცოტა ხნის მერე ოთახში კოჭლობით შემოდის. ბრიკი, ყავარჯენს ეყრდნობა, ხელში ჭიქა უჭირავს. მარგარეტი გაბრწყინებული და თან შეშფოთებული ღიმილით შემოჰყვება ბრიკს).

მე შენ არ გეძახდი, მეგი, მე ბრიკს ვეძახდი.

მარგარეტი. მე მხოლოდ შემოგიყვანეთ ბრიკი.

(პირზე კოცნის ბრიკს, ბრიკი მაშინვე ხელის ზურგით იწმენდს ტუჩებს. მარგარეტი პატარა გოგოსავით, სწრაფად და ლაღად გადის ოთახიდან. ბრიკი და მამამისი მარტო რჩებიან).

მამა. ეგ ამბავი რა იყო ვითომ?

ბრიკი. რა ამბავი, მამა?

მამა. ისე მოიწმინდე პირი, გეგონება კი არ გაკოცა, შეგაფურთხა.

ბრიკი. არ ვიცი, ეს უნებურად მომივიდა.

მამა. ბრიკ, შენ იცი, რომ კარგა მაგრად ჩაგითრია მაგ შენმა ვისკიმ?

ბრიკი. დიახ, სერ, დიახ, ვიცი.

მამა. და იმიტომ ველარ მუშაობ რეპორტიორად, მაგ ვისკის გამო?

ბრიკი. დიახ, სერ, დიახ სერ, ეტყობა ახეა.

(შევსებული ჭიქა უჭირავს ხელში; გაურკვევლად და გულითადად ულიმის მამას).

მამა. მაგას „ეტყობა" არ უნდა, შვილო: ეგ სახუმარო საქმე არ არის.

ბრიკი (გაურკვევლად). დიახ, სერ.

მამა. და, მომისმინე, ამ ოხერ ჭალს ნუ მიშტერებიხარ...

(პაუზა, დიდი მამა ჩახლეჩილი ხმით ლაპარაკობს.

ეგეც ევროპაში ვიყიდეთ, დიდ აუქციონზე ბევრი რამე გაიყიდა და იქ ვიყიდეთ.

(კიდევ პაუზა).

სიცოცხლე — აი რასა აქვს ფასი. კაცმა უნდა იცოდეს ეს, რომ სხვას არაფერს არ ჩაეჭიდოს, ვინც ხვამს, არ იცის, რომ სიცოცხლეს ფლანგავს. დააფასე შენი სიცოცხლე, ჩაეჭიდე მას, სხვა არაფერი არა ღირს ამად... დაჭექი რომ თავისუფლად ვილაპარაკოთ, ხმას არ ავუწიოთ, თორემ აქ კედლებსაც კი ყურები აქვთ.

ბრიკი (კოჭლობით გაივლის ოთახს, რომ დივანზე დაჯდეს მამასთან ახლოს). კარგი, მამა.

მამა. აღარ მუშაობ! რად მოხდა ეს? გული აიყარე რამეზე?

ბრიკი. მე არ ვიცი. იქნებ შენ იცი?

მამა. მე შენ გეკითხები, ეშმაკმა დალახვროს! შენ თუ არ იცი, მე რა ოხრობიდან მეცოდინება?

ბრიკი. ისეთი არაფერი, მალე მივხვდი, რომ ვერ ვასწრებდი, გადმომეცა ის, რაც მინდორზე ხდებოდა... ავდექი და...

მამა. წამოხვედი!

ბრიკი (გულითადად). ჰო, წამოვედი:

მამა. ბიჭო!

ბრიკი. ჰო?

მამა (ხმაურით და ღრმად მოქაჩავს სიგარას; მერე უცებ დაიხრება, ხმაურით ამოაბოლებს და შუბლთან მიიტანს ხელს). უჰუჰუ-ჰა! მაგრად მოვქაჩე, ცოტა გავბრუვდი....

(ბუხარზე საათი რეკავს).

რად არის ახე, ეს ოხერი, ერთმანეთთან ლაპარაკი რად უჭირს ხალხს?

(მოხერხებულად და კარგად ჯდება დივანზე; მამა გამართული და გაშეშებული ზის, სავსეა რაღაც გა-

მოუთქმელი შეშფოთებით. ლაპარაკისას ყველა ჟეს-ტი მკვეთრი და დაძაბული აქვს. თავისი ნერვული საუბრისას მძიმედ სუნთქავს, ქოშინობს, ქშინავს და დროდადრო სწრაფად და გაუბედავად უყურებს შვილს).

მამა. ეს საათი იმ ზაფხულს ვიყიდეთ, როცა ნი და დედა ევროპაში ვიყავით. ისე ცუდად დრო არასოდეს გამიტარებია ცხოვრებაში, გეუბნები; ეს ამოდენა ოტელები, თაღლითები და გაქნილები ხომ უთვალავი, გაფცქვნაზე არიან! დედამ იმდენი ხარახურა იყიდა, რომ... ხაცა კი ღმერთი გაუწყრა და ხაცა შევიდა, ყიდულობდა, ყიდულობდა და ყიდულობდა, მერიდა — დღესაც ბევრი რამე სარდაფში ყრია, არც უნახავს, ამ გაზაფხულზე წყალში ეყარა! (იცინის) ეს ევროპა, გეუბნები, უზარმაზარი აუქციონია, ყიდვა-გაყიდვა... მადლობა უფალს მდიდარი ვარ, კიდევ კარგი, მდიდარი და რა მდიდარი.

(წამით თვალები აენთება).

იცი, რა შემოსავალი მაქვს? თუ მიხვდები, ბრიკ! აბა მიხვდი, რამდენი ვღირვარ!

(ბრიკი ვისკის სვამს და გაურკვევლად იღიმება.)

თითქმის ათი მილიონი, და ეს მარტო ფული და აქციები, ამას მიუმატე კიდევ ოცდარვა ათასი აკრი საუკეთესო მიწა მთელ დელტაში!

(გაელვება, ტკაცატკუცი და ღამის ცა მუქ, იდუმალად მომწვანო ფრად ინთება. გალერეაზე ბავშვების მხიარული ყვირილი ისმის.) მაგრამ თავის სიცოცხლეს ვერც ერთი კაცი ვერ იყიდის ამით, გათავებულ სიცოცხლეს ვერ გამოისყიდის, სიცოცხლე ისეთი რამეა, რასაც ვერც ევროპისა და ვერც ამერიკის ვერც ერთ ბაზარზე ვერ იშოვი. დედამიწის ზურგზე ისეთი ბაზარი არ არსებობს. გათავებული კაცი სიცოცხლეს ფულით ვერ იყიდის, სიცოცხლეს ვეღარ დაიბრუნებს...

ეს აზრი გაფხიზლებს, ძალიან გაფხიზლებს. მე მოუშორებლად თანა მდევდა, თავში სულ ტრიალებდა, დღემდე... იმის მერე რაც ბოლო ხანს გადავიტანე, უფრო ბრძენი ვარ, და სევდაც უფრო მომემატა, ბრიკ. კიდევ ერთი რაღაც მახსოვს ევროპიდან..

ბრიკი. რა, მამა?

მამა. ბარსელონის გორაკები, ესპანეთში, და იმ შიშველ გორაკებზე — ბავშვები, დედიშობილა რომ დარბოდნენ, მშიერი ძაღლებივით წკმუოდნენ და წკავწკავებდნენ და მოწყალებას თხოულობდნენ. ბარსელონის ქუჩებში კი ხქელ-ხქელი მღვდლები შეგხვდებიან, ხქელები და ხათნოები, ჰა, ჰა! — იცი, მე შემეძლო მთელი იმ ვერანა ქვეყნის დაპყრობა, ფული მაქვს, იმდენი მაქვს, მთელ იმ ქვეყანას ეყოფა. მაგრამ ადამიანი — ცხოველი, ეგოისტი მხეცია და ის ფული, რომელიც ბარსელონის გარშემო გორაკებზე იმ საცოდავად დაღრეჯილ ბავშვებს დავურიგე, აი იმ ხკამისთვის ერთი ახალი გადასაკრავი რომ მეყიდა, იმისთვისაც არ მეყოფოდა, დალახვროს ეშმაკმა. ისე გადავუყარე ფული, როგორც წიწილებს უყრიან საკენკს, რომ თავიდან მომეშორებინა, მანქანისკენ წავსულიყავი და გავცლოდი იქაურობას...

კიდევ — მაროკოში მახსოვს ერთი შემთხვევა. იმათ, არაბებს პროსტიტუციას ბავშვობიდან აჩვევენ. ოთხი თუ ხუთი წლიდან, არ ვაჭარბებ. ერთ დღეს მარაკეშში ვარ — ძველი არაბული ქალაქია, გარშემო კედელი აქვს შემოვლებული, და იმ კედელთან, ჩამონგრეულ ქვასთან მივჯექი სიგარის მოსაწევად, რაღაც საშინლად ცხელოდა, მახსოვს, ვხედავ, ერთი არაბი ქალი დადგა გზაზე და მიყურებს, მიყურებს... დგას იმ სიცხისაგან ალმურადენილ მტვრიან გზაზე და მიყურებს, მეუხერხულა ლამის. მაგრამ მომისმინე რა იყო მერე. იმ ქალს ხელში ბავშვი ეჭირა, პატარა გოგო, სულ შიშველი, ახალი ფეხადგმული იქნებოდა, ცოტა ხნის მერე ძირს დასვა ბავშვი, რაღაც უჩურჩულა და უბიძგა. მომიახლოვდა ის ბავშვი ნელა, გეუბნები, ალბათ დიდ ხანი არ იქნებოდა რაც ფეხი აედგა და... ოჰო, ღმერთო, გახსენებაზეც გული მერევა! გამოიწოდა პატარა ხელი და ცდილობს შარვალი გამიხსნას მე! ხუთი წლისაც არ იქნებოდა. დაიჯერეთ? ან იქნებ გგონია, მოვიგონე ეს ამბავი? დავბრუნდი ოტელში და დედას ვუთხარი: აიბარგე! ახლავე მივდივართ ამ ქვეყნიდან...

ბრიკი. მამა, დღეს რაღაც ლაპარაკის ხასიათზე ხარ.

მამა (ამ რემარკას არაფრად აგდებს). დიახ, სერ, ცხოვრება ასეა, ადამიანი ცხოველია, მოკვდავი, მაგრამ ფაქტია, რომ კვდება და მაინც სიბრალული და შეცოდება არ გააჩნია სხვათა მიმართ, რა შეცოდება, არა, სერ, იგი. მითხარი რამე?

ბრიკი. დიახ...

მამა. რა?

ბრიკი. ის ყავარჯენი მომაწოდე, ვერა ვდგები.

მამა. სად მიდიხარ?

ბრიკი. ცოტას გავივლი, „ექოუ სპრინგი“ მინდა დავისხა.

მამა. სად?

ბრიკი. ბარში...

მამა. ჰოო, აჰა, აილე (ყავარჯენს მიაწვდის).

ადამიანი ცხოველია და მოკვდავი, და თუ ფული აქვს, ყიდულობს და ყიდულობს. მე მგონია, იგი ყველაფერს იმ მიზეზით ყიდულობს, რომ გადარეული იმედი აქვს — იქნებ ისეთი რამეც იყიდოს, რაც სამარადისო ცხოვრებას მისცემს — ასეთი რამე არ მოხდება... ადამიანი ეს ისეთი ცხოველია, რომ...

ბრიკი (ბართან დგას). მამა, დღეს მართლა იმდენს ლაპარაკობ, მე მგონია ხალერილელი აგეშალა.

(პაუზა, გარედან მოისმის ხმები)

მამა. ბოლო ხანებში კარგა დიდხანს ვიყავი ჩუმად, სიტყვა რა არის, ერთი სიტყვაც არ დამიძრავს, ვიჯექი — სივრცეს მიშტერებული, სულში კი ისეთ სიმძიმეს ვგრძნობდი... ამ საღამოს კი ასე მგონია, ლოდი მომეხსნა, აი ამიტომ ვლაპარაკობ. ასე მგონია, ცაც სხვანაირად დამყურებს ახლა...

ბრიკი. იცი, რა მინდა ყველაზე მეტად?

მამა. რა?

ბრიკი. მყუდროება, დაურღვეველი მყუდროება.

მამა. რატომ?

ბრიკი. იმიტომ რომ მყუდროება არის სიმშვიდე.

მამა. ეგ სიმშვიდე საფლავშიც კარგა ბლომად არის (ჩაიცინებს).

ბრიკი. გაათავე ჩემთან ლაპარაკი?

მამა. ასე ძალიან რად გინდა ჩემი გაჩუმება?

ბრიკი. შენ ისე ხშირად მეუბნები ხერ, — ბრიკ. შენთან მინდაო ლაპარაკი.. მერე გამოდის, რომ არავითარი ლაპარაკი არ ხერხდება. იმიტომ რომ ადამიანებს ხშირად უჭირთ ურთიერთობის დამყა-

რება ერთმანეთთან, მე და შენ ხომ საერთოდ არ..

მამა. შენ იცი, — გამოგიცდია, რა არის შიში? ანდა, როდისმე რაიმეს გამო საშინელება თუ გიგრძვნია? (ადგება), ერთი წუთით, ამ კარებს დავხურავ...

(გალერეის ორივე კარებს ისე ხურავს, თითქოს ძალიან დიდი საიდუმლოს გამჟღავნებას აპირებდეს).

ბრიკი. ჰო, რა?

მამა. ბრიკ?

ბრიკი. ჰა?

მამა. შვილო, მე მეგონა, რომ მე მქონდა...

ბრიკი. გქონდა რა? ჰო, რა გქონდა, მამა?

მამა. კიბო!

ბრიკი. ო...

მამა. მე მეგონა სულთამხუთავი დამადგა თავს და თავისი ცივი და მძიმე ხელი დამადო მხარზე!

ბრიკი. ამაზე შენ ერთი სიტყვაც არ გითქვამს, მამა, არასოდეს.

მამა. ჰყვირილი ღორებმა იციან, კაცს კი, კაცს შეუძლია სიტყვაც არ თქვას, მიუხედავად იმისა, რომ კაცს არა აქვს ის უპირატესობა, რაც ღორსა აქვს.

ბრიკი. რა უპირატესობაა?

მამა. არცოდნა იმისა, რომ მოკვდავი ხარ, ეს დიდი ნუგეშია. კაცს ეს ნუგეში არ გააჩნია, ყველა ცოცხალ არსებას შორის ერთადერთი კაცია, ვინც ფიქრობს სიკვდილზე, და იცის რაც არის. დედამიწაზე. სხვამ არავინ არ იცის ეს — ისე ცხოვრობენ და ისე მიდიან ამ ქვეყნიდან, ეს არ იციან, მოდა, ღორები ჰყვირიან, კაცს კი... კაცს შეუძლია გაჩუმება, შეუძლია ამაზე ხმა არ ამოიღოს. დიახ, კაცს ზოგჯერ...

(ბერიკაცის ხმაში ძალა და შეკავებული რისხვა იგრძნობა). შეუძლია გაჩუმება. შეუძლია ერთი სიტყვაც კი არ თქვას ამაზე. როგორ გგონია...

ბრიკი. რა, მამა?

მამა. ერთი ვისკი ამ კოლიტს ვითომ რამეს უზამს?

ბრიკი. არა, სერ, არაფერს. შეიძლება არგოს კიდევაც.

მამა. (უეცარი, რაღაც მგლური ჩაცინებით). ღმერთო, ღმერთო, ვერც ვამბობ! ცა გაიხსნა, ისევ გაიხსნა! ღმერთო, ვიცოცხლებ, ვიცოცხლებ, შვილო!

(ბრიკი თავის ჭიქაში იყურება).

ბრიკი. უკეთესად ხარ, მამა?

მამა. უკეთესად? ოჰ, რას ამბობ! თავისუფლად ამოვისუნთქე! — მთელი სიცოცხლე მაგრად შეკრული მჯიღივით ვიყავი. (ვისკის ისხამს). დარტყმა, მსხვრევა, განადგურება! — ახლა კი მჯიღის გაშლას ვაპირებ, რათა მსუბუქად შევეხო ხელით სუყველაფერს... (ხელს გაიწვდის და თითქოს ჰაერს მიეფერება). იცი, რაზე ვფიქრობ?

ბრიკი (უაზროდ). არა, სერ, რაზე?

მამა. ჰა, ჰა! — გართობაზე, ქალებთან, სიამოვნებაზე! (ბრიკს ღიმილი არ მოეშლება სახიდან, მხოლოდ ოდნავ უქრება ეს ღიმილი).

ბრიკ, ეს ბანგი მწვავს, ჰო, ბიჭო. ერთ რამეს გეტყვი, შენ ალბათ ვერც ხვდები. სამოცდახუთი წლისა გავხდი და ქალები მაინც ჯერ ისევ მინდა.

ბრიკი. ჩემი აზრით ძლიერი ხარ, საოცარია.

მამა. საოცარი?

ბრიკი. ჩინებულია, მამა.

მამა. მართალი ხარ. ზუსტად ეგრეა. საოცარიც და ჩინებულიც. ახლაღა მივხვდი, თურმე რა მცირეს ვჯერდებოდი ცხოვრებაში, რამდენი შანსი გამიშვია ხელიდან, რადგან ვყოყმანობდი, პატიოსნებაზე და წესრი-რებაზე ვფიქრობდი — მიქარვაა. [illegible] დაუბდაა, სისულელე! სიკვდილისთვის [illegible] და შემეხედა, რომ ეს გამეგო. ახლა, როცა სიკვდილმა უკან დაიხია, ახლა ვეცდები დავიბრუნო, რაც დავკარგე, თავს ავიშვებ, როგორც იტყვიან.

ბრიკი. თავს აიშვებ, ჰა?

მამა. ზუსტად ეგრე, თავს ავიშვებ, და მერე როგორ! მთელი ცხოვრება დედაშენთან მეძინა, ეს ხუთი წელია მხოლოდ რაც ცალ-ცალკე ვართ, ესე იგი, მე სამოცის ვიყავი, უკვე, და ეგ ორმოცდათვრამეტისა, და არასოდეს არ მომწონდა, სულ არ მომწონდა. (ჰოლში უკვე კარგა ხანია რეკავს ტელეფონი. დედა შემოდის, წამოძახილით).

დედა. კაცებო, არ გესმით ამ ტელეფონის ხმა? მე გალერეიდან გავიგე ზარი.

მამა. ამ მხრიდან გალერეას ხუთი კარი აქვს, შენ შეგეძლო იმ ხუთი ოთახიდან, გალერეაზე გასასვლელი ხუთი კარიდან ერთ-ერთიდან გასულიყავი, მაინცდამაინც აქედან რატომ მოგინდა გასვლა? (დედა ანცი გამომეტყველებით გავარდება კარში). ჰამ! იცი, იცი, როცა ოთახიდან გადის დედა, ვერ ვიხსენებ, რანაირია ეს ქალი, მაგრამ როცა ბრუნდება, ძალიან კარგად ვიცი რასაც ჰგავს. ნეტა კი არ ვიცოდე და ჩემი თვალები არ ხედავდეს მას!

(თავის ამ ხუმრობაზე წინ იხრება და ხარხარებს, ვიდრე სიცილისგან ტკივილს არ იგრძნობს მუცელში, და დაღრეჯით წელში გასწორდება. სიცილი უკვე ჩახშობილად გაისმის, როცა ექვით შეხედავს თავის ვისკის ჭიქას და მაგიდაზე დგამს.) ჰეი, საით?

ბრიკი. გავალ ჰაერზე.

მამა. არა მოიცა, დარჩი აქ, ყმაწვილო, სანამ ამ ლაპარაკს გავათავებდეთ.

ბრიკი. მე მეგონა, რომ გავათავეთ, მამა.

მამა. არც დაგვიწყია.

ბრიკი. შემეშალა. მაპატიე. უბრალოდ მინდოდა მდინარიდან მობერილი ნიავი მეგრძნო.

მამა. ჩართე ჰერის ვენტილატორი და ისევ ამ სკამზე დაჯექი! (ჰოლიდან ისმის დედის ხმა).

დედა. რა უცნაური ვინმე ხართ, მისს სალი! რას არ მოიფიქრებთ. ჩემთვის, გეთხოვათ და აგიხსნიდით, ვერ მითხარით?

მამა. ქრისტე ღმერთო! ისევ იმ ჩემ შინაბერა დას ელაპარაკება!

დედა (ხმა). კარგი, მისს სალი, მშვიდობით, კარგი. მალე განახავთ, რაც შეიძლება მალე მოდით...

(ტელეფონს დებს, ისმის აგრეთვე მისი ხარხარი, მამა ამოიკვნესებს და ყურებზე ხელს იფარებს დედას ხმაურით მოახლოებისას).

დედა. ო, მამა! შენ ხომ მართლა ისე არ ფიქრობ როგორც მითხარი, ის რაღაცა, წეღან რო თქვი, მამა?! (მამა მაგრად ხურავს კარს. დედა იქიდან იხავეწება). ძვირფასო! ძვირფასო! მამა! მე ვიცი რომ, ისე არ ფიქრობ. მე ვიცი, რომ გულით სულაც არ ფიქრობ ასე...

(ბავშვურად გაბმული ხმა ქვითინში გადადის, მისი ფეხის ხმა ისმის მძიმედ, და თანდათან მიწყდება. ერთხანს ბრიკი ყავარჯენზე დაყრდნობით ადგომას

პირებს გალერეისკენ წასასვლელად. მერე ჯდება).

მამა. ერთ რაღაცას ვთხოვ ამ ქალს მხოლოდ, დამანებოს თავი, რომ ჩემთვის ვიყო, ვერა და ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ თავს მაბეზრებს. ეს იმიტომ რომ ამდენი წელი მეძინა მასთან. ბევრია, ბევრი, ადრე უნდა მეფიქრა ასე. მაგრამ ეს ბებერი ვერ ძლებოდა — ერთად წოლისას კარგი ბიჭი ვიყავი... ოღონდ, იმდენი ძალა მაგაზე არ უნდა დამეხარჯა... ამბობენ, კაცს ბუნებით ძალა გარკვეული ოდენობით ეძლევაო... ამდენჯერ და ამდენჯერ და — მერე მორჩა. ჰოდა, კიდევ დამრჩა რაღაც. კიდევ დამრჩა და უკეთეს ქალს მოვნახავ, რაც დამრჩა, ახლა უკვე იმ უკეთესთან დავხარჯო! საუკეთესო მოვძებნი და არ დავინანებ, რაც გინდა ღირდეს, ავავსებ, წაულასა ქურქებს შემოვახვევ! ჰა, ჰა! გავაშიშვლებ, და წაულებით და ბრილიანტებით შევუგუბებ სულს! ჰა ჰა! მთლად გავაშიშვლებ, წაულებსა და ბრილიანტებს დავაყრი და მერე მიდიიი.
ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

მეი (კარებთან, მხიარულად). ვინ იცინის მანდ?

ბუპერი. მანდ მამა იცინის?

მამა. ტარაკუჭები! — ოჰ, ეს ორი პამპლავაქი... (ბრიკთან მიდის და მხარზე ხელს ადებს).

ახე, ბრიკ, ჩემო ბიჭო. ბედნიერი ვარ! ბედნიერი ვარ, ბრიკ, ბედნიერი!

(თითქოს რაღაც დაადგა გულზე, ზედა ტუჩს მოიკვნეტს, სწრაფად და მორიდებით მიადებს თავს ვაჟიშვილის თავს, მერე უხერხულად ახველებს და გაუბედავად ბრუნდება მაგიდასთან, სადაც ცოტა ხნის წინათ ვისკი დადგა. სვამს. შიგნეულობას უწვავს სასმელი და სახეზე ტკივილი გადაუვლის. ბრიკი ამოიოხრებს და ადგომას შეეცდება). რა იყო, გეგონება ჭიანჭველები ჩაგიძვრაო, გაწუხებს რამე?

ბრიკი. ჰო, სერ...

მამა. რა?

ბრიკი. რაღაც... არ მოდის...

მამა. ჰო? რა არ მოდის?

ბრიკი (სევდიანად). „ტკაც"...

მამა. რაო? — „ტკაც"?

ბრიკი. ჰო, „ტკაც".

მამა. რა „ტკაც"?

ბრიკი. როცა თავში გაისმის ეს „ტკაც", ვმშვიდდები ხოლმე.

მამა. ღმერთია მოწმე, ვერ ვიგებ, მაგრამ ეგ ლაპარაკი ცოტა მაშფოთებს.

ბრიკი. ეს მექანიკურად ხდება, უბრალოდ.

მამა. რა ხდება მექანიკურად?

ბრიკი. ეს „ტკაც". თავში, რაც მე მამშვიდებს. ხანამ ეს არ მოხდება, მანამდე ვსვამ. ეს მექანიკურად ხდება, უბრალოდ, როგორც... აი როგორც... როგორც...

მამა. როგორც...

ბრიკი. ამომრთველი, — გატკაცუნდება. ცხელი სინათლე ჩაქრება თავში, გრილი ღამე გაიშლება და...
(აიხედავს, ნაღვლიანად იღიმება).
— მერე უეცრად — სიმშვიდე დგება!

მამა (გაოცებით, ნელა და გაბმით უსტვენს, ისევ ბრიკთან მიდის და ვაჟიშვილს ორივე მხარზე ხელებს მოხვევს). უფალო იესო! მე არ ვიცოდი, აქამდე თუ მიხვედი უკვე. ბიჭი, ეს უკვე... ალკოჰოლიკი გამხდარხარ!

ბრიკი. სრული სიმართლეა, მამა. მე ალკოჰოლიკი ვარ.

მამა. აი რა გამოვიდა იქიდან რომ [illegible] თავი მივანებე.

ბიბლიოთეკა

ბრიკი. ეს „ტკაც" უნდა გავიგონო თავში რომ საბოლოოდ დავმშვიდდე. სხვა დროს ამაზე ადრეც მოდის, ზოგჯერ დღისითაც, მაგრამ... დღეს თითქოს რაღაც აგვიანებს.. ალკოჰოლის აწევაა საჭირო სისხლში!

(ბოლო ფრაზას ენერგიულად წარმოთქვამს და ისევ ისხამს).

მამა. ა-ჰა. სიკვდილის მოლოდინმა დამაბრმავა. ფიქრადაც არ მომივიდოდა რომ ჩემი ვაჟიშვილი, ვისაც, დღე არ გავა რომ არ ვხედავდე ლოთდება თურმე.

ბრიკი (რბილად). სამაგიეროდ, ახლა უკვე იცი, მამა. ამ ახალ ამბავს უკვე მიხვდი.

მამა. ჰო, ჰო, ახლა კი ვიცი, ამ სიახლეს უკვე მივხვდი...

ბრიკი. ჰოდა, თუ ნებას დამრთავ...

მამა. არა, არ დაგრთავ.

ბრიკი. ჯობია რომ მარტო ვიჯდე, სანამ თავში „ტკაცს" გავიგონებ, ეს უბრალოდ მექანიკური რამეა, ოღონდ, როცა არ ვლაპარაკობ, ანდა, მარტოკა უნდა ვიყო...

მამა. შენ ძალიან ბევრი დრო გქონდა, ჩემო ბიჭო, იმისთვის რომ არავისთან გელაპარაკა. მაგრამ ახლა შენ ჩემთან ლაპარაკობ, ან — მე ვლაპარაკობ შენთან ახლა. იჯექი მანდ და მომისმინე, სანამ არ გეტყვი რომ საუბარი უკვე გათავდა!

ბრიკი. ჰო, მაგრამ ეს საუბარიც ადრინდელებს ჰგავს, ისეთივეა რაც მე და შენ ადრე გვქონდა ცხოვრებაში, და არაფერთან არ მივყავართ მას, არაფერთან! — ეს-ეს წამებაა, მამა...

მამა. იყოს წამება, კარგი, მაგრამ მაგ სკამიდან ჯერ არ ადგები! — ამ „ყავარჯენს სადღაც მოვისვრი...

(ყავარჯენს მისწვდება და ოთახის მეორე მხარეს გადააგდებს).

ბრიკი. მე შემიძლია ერთ ფეხზე ხტომა, და თუ დავვარდები, გავცოცდები!

მამა. ფრთხილად იყავი, ამ პლანტაციიდან არ გაცოცდე, და მერე ღმერთო, იცი ვისთან მოგიწევს, ხმა? მაწანწალებთან!

ბრიკი. ეგრე იქნება, მომიწევს, მამა.

მამა. ეგ არ იქნება. ჩემი ვაჟი ხარ და მე მოგივლი. მე ახლა უკვე მოვლილი ვარ, ჩემი საქმე კარგად არის, და შენ მე მოგივლი!

ბრიკი. ააჰ?

მამა. დღეს ოჩსნერის კლინიკიდან დასკვნა მოვიდა და იცი რას წერენ?

(საზეიმოდ უბრწყინავს სახე).

ერთადერთი რამ, რაც იმ უზარმაზარ ჰოსპიტალში აღმომიჩინეს, ის არის, რომ სპასტიკური კოლიტი მაქვს! (ოთახში შემორბის პატარა გოგო, ბენგალიური ცეცხლი უჭირავს, შეშლილი მაიმუნივით დახტის და ყვირის, და როცა პაპასგან მოხვდება, უკანვე გარბის. სიჩუმე. მამა-შვილი ერთმანეთს უყურებს.

გარედან ქალის მხიარული სიცილი ისმის). მინდა იცოდე, რომ თავისუფლად ამოვისუნთქე, ცა გამეხსნა!

ბრიკი. წასახვლელად მზად არ იყავი?

მამა. სად წასახვლელად? ეგ ჩამხვაა... როცა კაცი აქედან მიდის, ჩემო ბიჭო, ის სიცარიელეში მიდის, არსად. ადამიანი ისეთივე მექანიზმია, როგორც ცხოველი, ან თევზი, ჩიტები, ანდა ქვეწარმავლები, ანდა მწერები! ოღონდ, ათი ათასჯერ უფრო რთული და ამის მიხედვით, უფრო ძნელი და ჭირვეული. ეგ-რეა. ჰო, მე მეგონა კიბო მქონდა, მიწა ფეხიდან მეცლებოდა, შავი ხუფივით ეშვებოდა ცა და სუნთქვა მიჭირდა! — დღეს კი! — ის ხუფი მოშორდა სადღაც, თავისუფლად ამოვისუნთქე, — რამდენი წელი გავიდა ახე? ღმერთო ჩემო! — სამი წელი...

(გარედან სიცილი ისმის, ღარბიან, ხმადაბალი, რბილი ტკრციალით სკდება და ცაში აბრიალდება შუშხუნები. ერთ ხანს ბრიკი ფხიზელი თვალით შეჰყურებს მამას, ჩუმი, შეშინებული ხმა მერელა ალმოხდება, ცალ ფეხზე ხტომით და ავეჯზე დაყრდნობით ოთახს გადაჭრის, რათა თავის ყავარჯენს მისწვდეს. იღებს ყავარჯენს და თითქოს შიშმა აიტანაო, გალერეისკენ გაქანდება. მამამისი თეთრი აბრეშუმის პიჟამის სახელოში ჩაავლებს ხელს).

— გაჩერდი აქ! სანამ არ გეტყვი, წადი-მეთქი, აქ იქნები!

ბრიკი. არ შემიძლია.

მამა. შეძლებ-მეთქი, ვნახოთ ერთი, თუ ვერ შეძლებ!

ბრიკი. არა, არ შემიძლია. ჩვენ ვლაპარაკობთ... შენ ლაპარაკობ რაღაც წრეებით! არაფერთან არ მივყავართ ამას, არაფერთან! და ყოველთვის ახე მეთრდება, ამბობ რომ ჩემთან სათქმელი გაქვს და ჯამოდის, თითქოს სალაპარაკო არაფერი გაქვს!

მამა. არაფერი? მე გითხარი ვიცოცხლებ-მეთქი, იმის მერე რაც მეგონა რომ ვკვდებოდი და ამაზე ამბობ, არაფერიო?

ბრიკი. ოჰ — ეს! ეს არის ის, რაც გინდოდა გეთქვა?

მამა. კარგი ვინმე ხარ! განა ეს, ეს რა, ცოტაა?!

ბრიკი. კარგი, კარგი, რაც გინდოდა უკვე მითხარი, და რაკი ახეა ახლა მე...

მამა. ახლა შენ ისევ დაჯდები აქ.

ბრიკი. შენ თვითონ არ იცი რა გინდა, შენ...

მამა. მე კარგად ვიცი, რაც მინდა მე.

ბრიკი. არა, არ იცი!

მამა. შენ ვერ მასწავლი, მთვრალო ლეკვო! აი ამ სახელოს ჩამოგახევ, ჯობია დაჯდე!

ბრიკი. მამა...

მამა. რაც გითხარი, ის გააკეთე! ამ სახლში ისევ მე ვარ უფროსი! მინდა იცოდე რომ საჭეს ისევ მე ვმართავ ახლა! (ოთახში შემოიჭრება დედა, ხელებს აწეულ მკერდზე იჭერს). რა ეშმაკი გინდა აქ, დედა?

მამა (ხელს აიქნევს). გადი აქედან!

(დედა ქვითინით გავარდება ოთახიდან).

ბრიკი (წყნარად და სევდიანად). ოჰ, ქრისტე ღმერთო...

მამა (გაცოფებით). დიახ! მართლაც, ქრისტე ღმერთო! (ბრიკი თითქოსდა „თავს აიშვებს“, და კოჭლობით მიდის გალერეისკენ. მამა ხელიდან გამოგლეჯს ყავარჯენს და ბრიკი მტკივან ფეხს ადგამს რატაკზე. ტკივილისაგან წამოიყვირებს, სკამს მისწვდება და სკამიანად დაეცემა ძირს). ამას უყურე!.. გაჩვენებ სეირს...

ბრიკი. მამა! მომეცი ყავარჯენი.

(მამა ყავარჯენს იქით, შორს გადააგდებს).

ყავარჯენი მომეცი, მამა.

მამა. რატომ სვამ?

ბრიკი. არ ვიცი, მომე ყავარჯენი!

მამა. იფიქრე რად სვამ, თუ არა და მოეშვი მაგ სმას!

ბრიკი. იქნებ მაინც მომაწოდო ეგ ყავარჯენი, რომ ადგომა შევძლო?

მამა. ჯერ მიპასუხე — რაც ახლა გკითხე. რად სვამ? ცხოვრებას ახე რად ექცევი, ბიჭო, გეგონება საძაგელი რაღაცა ნახე ქუჩაში და ჩქარა გინდა რომ გადააგდო?

ბრიკი (მუხლებზე წამოიწევს). მამა, მტკივა, ეს ფეხი დავადგი და ძალიან მტკივა.

მამა. ღმერთო! კარგია. მიხარია რომ შეგრძნება მთლად არ დაგიკარგავს მაგ ვისკისაგან!

ბრიკი. შენ... ძალვარე.. ჩემი ვისკი...

მამა. მოდი, შევთანხმდეთ: შენ მეტყვი რადაც სვამ, მე კი ვისკის დაგისხამ და მოგაწოდებ. ჩემი ხელით დაგისხამ და მე თვითონ მოგცემ.

ბრიკი. რად ვსვამ?

მამა. ჰო! რატომ?

ბრიკი. მომეცი ვისკი, მერე გეტყვი.

მამა. ჯერ მითხარი!

ბრიკი. გეტყვი, მხოლოდ ერთი სიტყვით.

მამა. რა სიტყვაა?

ბრიკი. ზიზღი.

(საათი წყნარად და ნელა რეკავს. მამა სწრაფად დაბრაზით შეავლებს თვალს).

ბრიკი. ახლა მომეცი ვისკი.

მამა. რა გეზიზღება? ჯერ ეგ მითხარი. ისე უბრალოდ, მარტო ზიზღი არაფერს ნიშნავს.

ბრიკი. მომეცი ყავარჯენი.

მამა. ხომ გაიგე! ჯერ მიპასუხე, კარგად იცი, რაც გკითხე და მიპასუხე.

ბრიკი. მე გიპასუხე: იმისთვის რომ ზიზღი ჩავიხშო!

მამა. ზიზღი რის მიმართ?

ბრიკი. შენ სხვანაირად მომირიგდი.

მამა. რა იწვევს შენში ამ ზიზღს, მითხარი და მიიღებ ვისკის.

ბრიკი. მე შემიძლია ერთ ფეხზე ხტომა, თუ დავეცემი, შემიძლია გავცოცდე იატაკზე.

მამა. ახე ძალიან გინდა ვისკი?

ბრიკი. (ძლივძლივობით, საწოლს ეჭიდება და დგება). ჰო, ვერ ვითმენ.

მამა. ბრიკ, თუ ვისკის მოგცემ, მეტყვი რა იწვევს შენში მაგ ზიზღს?

ბრიკი. დიახ, სერ, ვეცდები გითხრა.

(ბერიკაცი უსხამს ვისკის და საზეიმოდ აწვდის ჭიქას. როცა ბრიკი სვამს, სიჩუმეა).

გაგიგია ახეთი სიტყვა — „ბლეფი“?

მამა. რა თქმა უნდა. ეს ერთი იმ ხუთდოლარიანი სიტყვა გახლავს, რასაც ჩალის ფასის პოლიტიკოსები იმეტებენ ერთმანეთისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიკი. იცი, რაც არი?

მამა. ტყუილი და მატყუარები.

ბრიკი. დიახ, სერ, ტყუილი და მატყუარები.

მამა. მოგატყუა ვინმემ?

ბავშვები (სცენის მიღმა, ერთად მღერიან); მამა, დიდი მაა-მაა! დიდი მაა-ამაა! (გალერეაში გასასვლელ კარში გუპერი გამოჩნდება).

გუპერი. მამა, ბავშვები გეძახიან.

მამა (გაშმაგებით). წადი აქედან, გუპერ!

გუპერი. მაპატიეთ!

(მამა კარებს მიუჯახუნებს).

მამა. ვინ მოგატყუა, ბრიკ, მარგარეტმა მოგატყუა, შენმა ცოლმა მოგატყუა რამეში, ბრიკ?

ბრიკი. არა, მაგას გადავიტანდი.

მამა. მაშ ვინ მოგატყუა და რაში?

ბრიკი. ერთი ვინმე რომ იყოს ანდა მხოლოდ ერთი რამე...

მამა. ღვთის გულისათვის, მაშ რადა ხარ ეგრე?

ბრიკი. მთელი ეს... მთელი ეს...

მამა. შუბლს რად იხრეს? თავი გტკივა?

ბრიკი. არა, ვცდილობ...

მამა. და ვერ ახერხებ, იმიტომ რომ გონება ალკოჰოლით გაქვს გაჟღენთილი, არა? ეგ გაწუხებს, ხელი ჰკუა!

(ხელიდან ჭიქას გამოგლეჯს ბრიკს).

შენ რა იცი, რა არის ბლეფი? ეეჰ! მე შემიძლია მთელი წიგნიც კი. დავწერო და სათქმელი მაინც ბოლომდე ვერ ვთქვი! აბა იფიქრე, რამდენს და რალანაირ სიცრუეს აღარ წავწყდომივარ! ან თვალთმაქცობა — ბლეფი არ არის? — რასაც არ ფიქრობ, არა გრძნობ და არც კი იცი — იმაზე თავის გამოდებაც ეგ არ არის? გინდაც ის, თითქოს დედაშენი მიყვარდეს მე! — უკვე ორმოცი წელიწადია თუნდაც დანახვა, მაგისი ხმა, ან მაგის სუნი აუტანელი რამეა ჩემთვის! დროდან დრომდე ფისტონივით გადავაქცევდი და — იმ წუთებშიაც ვერ ვიტანდი. ისიც თავის მოჩვენებაა, თითქოს ეს უგემური გუპერი და იმისი ცოლი მეი საამურად მეხატოს გულზე, ანდა იმათი ხუთი ჭყვირილა — ისე ჩხავიან, თითქოს ფერადი თუთიყუშებია ჯუნგლებშიო, მათი დანახვაც არ მინდა! ეკლესია! მოსაწყენია! — მაგრამ მაინც მივდივარ, ვზივარ და ვუსმენ იმ ბენტერა მღვდელს. ახლა კლუბები?! — რომელი გინდა — ელკს მეისკონზ, ანდა როტარი! — ყველა ერთია! (ძლიერი ტკივილი დაუვლის და მუხლზე იჭერს ხელს. სკამზე ეშვება, ხმა — ჩახლეჩილი და წყნარი უხდება). შენ ჩემთვის რატომღაც უფრო მეტად ახლობელი ხარ, უფრო მიყვარხარ, მომწონხარ და პატივსაც გცემ — ჰო, შენ ყოველთვის... და კიდევ ეს ჩემი წარმატება პლანტატორისა... სულ ესაა, მთელი ცხოვრება მხოლოდ ამას ვაფასებდი, ეს სიმართლეა... არ ვიცი რატომ, მაგრამ ასეა! ბლეფით ვცხოვრობდი, გარშემო სულ სიყალბე იყო!.. შენ რატომ არ შეგიძლია ასე იცხოვრო? სხვა არაფერი არ არის და რით იცხოვრებ?

ბრიკი. სერ, კიდევ არის ერთი რამ, რითაც შეიძლება იცხოვრო კაცმა.

მამა. რა არის ეგ?

ბრიკი (ჭიქას ასწევს). აი ეს! ვისკი...

მამა. ეგ რა ცხოვრებაა? ეგ გაქცევაა ცხოვრებიდან.

ბრიკი. მე სწორედაც რომ გაქცევა მინდა.

მამა. თუ ეგრეა, თავს რად არ იკლავ? მოიკალი და ეგ იქნება.

ბრიკი. მე მიყვარს სმა.

მამა. ო, ღმერთო, შენთან ლაპარაკი არ შეიძლება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიკი. ვწუხვარ, მამა...

მამა. მე უფრო ვწუხვარ. ერთ რამეს გეტყვი. ცოტა ხნის წინათ, როცა ვფიქრობდი, რომ ჩემი საქმე წასული იყო... (მშფოთვარედ გაშმაგებული ლაპარაკობს). მანამდე სანამ გავიგებდი, რომ მე მხოლოდ სპასტიკური კოლიტი მჭირდა, შენზე ვფიქრობდი — რახან ამ ქვეყნის აღარ ვიყავი, მომეცა შენთვის თუ არ მომეცა ეს პლანტაცია? გუპერს და მეის მე ვერ ვიტან და ვიცი, რომ ისინიც ვერ მიტანენ. იმათი ხუთი ერთნაირი მაიმახი კი ზედგამოჭრილი მეი და გუპერია. ხან ვიფიქრე — არა-მეთქი; მერე ვიფიქრე, მივცემ-მეთქი, ჰო, ვერა და ვერ გადავწყვიტე: გუპერს, იმის ხუთ ერთნაირ მაიმახსა და იმ ძუკნა მეის მე ვერ ვიტან! და რად მივცე ჩემი ოცდარვა ათასი აკრი საუკეთესო მიწა დელტაში იმათ, ვინც გულზე არ მახატია? მაგრამ მეორე მხრივ, სუბსიდია, რა ოხრობად მივცე ისეთ შტერს, ვინც ბოთლზე ჰკუას გიჟივით კარგავს? მერე რა რომ მომწონს იგი და მიყვარს კიდეც! რად უნდა ვქნა ეს? ულირსი საქციელის სუბსიდირება? გატიალების? კორუფციის?

ბრიკი (იღიმება). გასაგებია.

მამა. ჰოდა, თუ ეს გასაგებია, მაშინ შენ უფრო მიხვედრილი ყოფილხარ ჩემზე, იმიტომ რომ, დალახვროს ღმერთმა, მე ვერაფერი ვერ გავიგე. გულწრფელად გეტყვი, საბოლოოდ ეს საკითხი აქამდე ვერ გადავჭერი, და დღევანდელ დღემდე არც ანდერძი შემიდგენია. ახლა კი სულ არ მეჩქარება. დაძაბულობამ გაიარა. შემიძლია დავიცადო, მოერევი თავს თუ ვერ მოერევი, ვნახავ ერთი.

ბრიკი. სწორია, მამა.

მამა. მაგრამ ეს შენთვის სულ ერთია?..

ბრიკი (კოჭლობით მიდის გალერეისკენ). ჰო, სულ ერთია, სერ... ახლა კი იქნებ დაბადების დღის აღსანიშნავ ფეიერვერკს ავხედოთ ცაში და მდინარიდან მობერილი გრილი ნიავი ჩავისუნთქოთ.

(გალერეის კარებში დგას. ღამის ცა ხან ვარდისფერია, ხან მწვანე და ხან ოქროსფერი შუქით ნათდება).

მამა. მოიცა! ბრიკ... (ხმა უვარდება, რბილი უხდება. მერე უცბად რაღაც მორცხვი და თითქმის ნაზი ჟესტით შეაჩერებს ბრიკს). არ მინდა, რომ ეს საუბარიც უარაფროდ გათავდეს ახლა, სხვა დროსაც ასე იყო, მუდამ, სათქმელს ყოველთვის გარს ვუვლიდით, იმიტომ, რომ პატიოსნება არ გვყოფნიდა, ერთმანეთთან...

ბრიკი. მე შენთვის ტყუილი არასოდეს არ მითქვამს, მამა.

მამა. მე მითქვამს შენთვის?

ბრიკი. არა, სერ...

მამა. მაშ ორი კაცი მაინც არის, ვინც ერთმანეთს არასოდეს არ ატყუებდა.

ბრიკი მაგრამ ჩვენ არასოდეს ვლაპარაკობდით ერთმანეთთან.

მამა. ჩვენ შეგვიძლია აი ახლა ვილაპარაკოთ.

ბრიკი. ისე გამოდის, ბევრი რამე არა გვაქვს თითქოს სალაპარაკო, მამა.

მამა: შენ ამბობ, რომ ვისკით გინდა ზიზღის ჩახშობა?

ბრიკი. შენ ხომ გინდოდა მიზეზი მეთქვა.

მამა. მერე, სასმელში ჩახრჩობაა ერთადერთი გზა ზიზღის მოსაკლავად?

ბრიკი. ახეა.

მამა. ადრე?

ბრიკი. ადრე არა, ახალგაზრდა ვიყავი და მჯეროდა კიდეც. სმით ის კაცი სვამს, ვისაც უნდა დაივიწყოს, რომ უკვე აღარც ახალგაზრდაა და აღარც სჯერა.

მამა. რა არ სჯერა?

ბრიკი. არა სჯერა...

მამა. რა?

ბრიკი (ჯიუტად არიდებს თავს პასუხს). არ სჯერა...

მამა. მე არ ვიცი მაგ სიტყვაში რას გულისხმობ, ასე მგონია, შენ თვითონაც არ იცი, მაგრამ თუ სისხლში გაქვს გამჯდარი ეგ შენი სპორტი, დაბრუნდი ისევ, კომენტატორად...

ბრიკი. იჯექი იმ მინის ჯიხურში, უყურე თამაშს და იფიქრე, რომ შენ უკვე ველარ ითამაშებ. და თანაც უკვე გვიანლაა იქ დაბრუნება, წავიდა ის დრო, ჩამოვრჩი, მამა.

მამა. მე მგონია თავს არ იწუხებ, — არ გინდა თავი შეიწუხო.

ბრიკი. ბევრ მსმელს იცნობდი ცხოვრებაში?

მამა (ოდნავი ღიმილით, მომხიბვლელად). ბევრს შევხვედრივარ. ცხადია, ლოთებს ბევრს ვიცნობდი.

ბრიკი. შეეძლო თუნდაც ერთ იმათგანს აეხსნა შენთვის — რად, რისთვის სვამდა?

მამა. ეე, შენ ისევ შენსას გაიძახი, არ გინდა თავი შეიწუხო, ხან დროს აბრალებ, ხან კიდევ ზიზღს სიცრუისადმი და ხან რა მიქარავს! როცა კაცი სიტყვებს ასე ეთამაშება, იმისათვის რომ რაიმე თქვას, რაღაცას ჩმახავს, და შენ მე მაგით ვერ გამაცურებ.

ბრიკი. რაღაც მიზეზი ხომ უნდა მეთქვა, რომ ვისკი მოგეცა!

მამა. შენ სმა დაიწყე მაშინ, როცა შენი მეგობარი, კაპიტანი მოკვდა.

(ხუთ წამს გრძელდება სიჩუმე. მერე ბრიკი რაღაც შეშინებული მოძრაობით იღებს ყავარჯენს).

ბრიკი. მაგით მაინც რისი თქმა გინდა?

მამა. ამით არაფრის თქმა არ მინდა.

(ბრიკი ფეხის არევით და ყავარჯნის რაკარუკით სწრაფად გაეცლება მამის დაჟინებულ და დაკვირვებულ მზერას).

მაგრამ გუპერს და მეის იმის თქმა უნდათ, რაღაც „მთლად რიგზე არ" იყოთ შენს...

ბრიკი (უეცრად კედელზე მიკრულივით ჩერდება ავანსცენაზე). რაღაც „მთლად რიგზე არ" იყოთ?

მამა. ეე მთლად — როგორა ვთქვა... ნორმალური შენს მეგობრობაში იმ...

ბრიკი. მაშ იმათაც აქვთ ასეთი ეჭვი? მე მეგონა მხოლოდ მეგის გაუჩნდა-მეთქი ასეთი ფიქრი.

(ბოლოს და ბოლოს შემოემსხვრა ჯავშანი ბრიკს. გული აჩქარებით უცემს; შუბლი ოფლით აქვს დაცვარული. სუნთქვა უხშირდება, ხმა ეხლიჩება. ორივე მსჯელობს, მამა მორიდებით და გაწამებით, ბრიკი შმაგად და გააფთრებით, დაუშვებელ-შეუძლებელზე. კაპიტანი მოკვდა იმიტომ რომ ეჭვი გაექრო. შეიძლება ფაქტი რომ თუ რაღაც ე[illegible] და მოუხდებოდათ ეუარათ, რათა [illegible]ვათ თავიანთ წრესა და სამყაროში — არსებითი საფუძველია იმ „სიყალბისა", რის მიმართ ზიზღსაც ბრიკი სმაში კლავს. შეიძლება ესეც არის მიზეზი მისი დაცემისა. ანდა იქნებ მრავალთაგან ეს ერთ-ერთი გამოვლენაა იმ „სიყალბისა" და შესაძლოა — საგულისხმო არც არის იგი. ერთი კაცის ფსიქოლოგიური პრობლემის გადაწყვეტა პიესის ამოცანა არ არის მე სხვა რამის „დაჭერას" ვცდილობ — ურთიერთობის ჭეშმარიტი ბუნების — ისე ვით მახეში ჩიტის — დაჭერას ადამიანთა ერთ ჯგუფში, ამ ბუნდოვანი, მღელვარე, მთრთოლვარე, საშინელი ძალით ალსავსე — ცხოვრების თამაშის, მათთვის საერთო. ავდრის ღრუბლებით სავსე კრიზისში. პიესის პერსონაჟების ხასიათის გახსნისას ზოგი რამ ბოლომდე უთქმელი და დაფარული რჩება, ისე როგორც ცხოვრებაშია, როცა ხასიათი არასოდეს არ მჟღავნდება ბოლომდე და ბევრი რამ იდუმალია, თუნდაც საკუთარი ხასიათი საკუთარ თვალში. ეს გარემოება არ ათავისუფლებს დრამატურგს მოვალეობისგან, დააკვირდეს და გამოიკვლიოს მთელის სიცხადითა და სიზუსტით, მაგრამ ამავე გარემოებამ — „პატენტურ" დასკვნებს და იოლსა და ზედაპირულ ახსნასაც უნდა აარიდოს, რაც პიესას მხოლოდ პიესად ხდის და არა კაცთა ცხოვრების სიმართლის მახედ.

მომდევნო სცენა თამაშდება უზარმაზარი დაძაბულობით და შეკავებული ძალით, რაც იმით არის მისახვედრი, რაც უთქმელი რჩება). კიდევ ვის შეიძლება გასჩენოდა ასეთი ფიქრი, იქნებ შენ? კიდევ ვინ ფიქრობდა, რომ კაპიტანი და მე ვიყავით...

მამა (რბილად). მოიცადე, მოიცა, შვილო! ცოტა რამ როდი მინახავს ამ ცხოვრებაში...

ბრიკი. რა შუაშია, რა საერთო აქვს ამას...

მამა. მე გითხარი, „მოიცა-მეთქი!" მთელი ქვეყანა მოვიარე, ეს ქვეყანა, სანამდე...

ბრიკი. ვინ ფიქრობდა, კიდევ ვის ჰქონდა, ასეთი ეჭვი?

მამა. მაწანწალებთან მძინებია, ვაგზლებში მითენებია და რა ქალაქში, რა ღამის სათევ სახლებში აღარ...

ბრიკი. ო, შენც ასე, მაშ, შენც ასე ფიქრობ! შვილს მეძახი და უზნეოდ მთვლი, იქნებ ამიტომაც მოგვიჩინე მე და მეგის ეს ოთახი, სადაც ეძინათ ჯეკ სტროუსა და პიტერ ოჩელოს, იმ ორ როჯაპს, მთელი სიცოცხლე, ამ ორადგილიან საწოლში, და ამ საწოლშივე მოკვდა ორთავე!

მამა. მოიცა ახლა, რაებს ისვრი...

(უეცრად კარებში გალერეადან გამოჩნდება ღირსი ტუკერი, თავი ოდნავ აქვს გადახრილი, რაღაც ანცად იხედება. გეგონება სულელურადაც, იცის, რანაირი ღიმილიც უხდება მღვდელს და სწორედ ისეთი ღიმილი აქვს, ისე გულწრფელი, ვით ჩიტის სტვენა მონადირის ხმით, თავაზიანი სიცრუე ჩანს ამ ღიმილში მისი, თითქოსდა ვანგებ უდროო დროს გამოჩენისას დიდ მამას ლამის სული შეეხუთება აღშფოთებისგან).

რას ეძებთ, მაღალღირსებავ?

ლირსი ტუკერი. კაცების საპირფარეშოს, ჰა-ჰა-ჰე-ჰე!

მამა (ხაზგასმული თავაზიანობით). დაბრუნდით უკან, თქვენო მაღალღირსებავ! გაიარეთ ეგ გალერეა ბოლომდე და რაც გჭირდებათ იქ ნახავთ, სააბაზანოში ჩემი საძინებლის ახლო, და თუ ვერ ნახეთ, იქ ვინმეს ჰკითხეთ და გაჩვენებენ!

ლირსი ტუკერი. აჰ, გმადლობთ.

(მობოდიშების ღიმილით ტოვებს ოთახს).

მამა. კაცს ვერ გილაპარაკია ამოდენა სახლში...

ბრიკი. ეს ვინ არის?!

მამა (ბევრ რამეს ტოვებს უთქმელს). ჰო, ბევრი რამე მინახავს და გამიგია ათას ცხრაას ათ წლამდე, და იმ წელს კი, ღმერთო — ლანჩები წამძვრა, სულ ჟველაფერი მძვრებოდა ლამის — და აქედან ნახევარ მილზე ერთ საბარგო მანქანიდან გადმოვხტი გზაზე და ბამბით სავსე ოთხთვალაში გავათენე ღამე. ჯეკ სტროუმ და პიტერ ოჩელომ ამიყვანეს, ამ პლანტაციის გამგებლად დამაყენეს, და გაიზარდა, გაიზარდა აქაურობა. როცა ჯეკ სტროუ მოკვდა, ბებერი პიტერ ოჩელო აღარ ჭამდა, ისე როგორც ძაღლი აღარ ჭამს, როცა პატრონი მოუკვდება, მალე ისიც მიჰყვა ჯეკ სტროუს!

ბრიკი. უფალო იესო!

მამა. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ასეთი რამე გამეგება...

ბრიკი (გაშმაგებული). კაპიტანი მოკვდა, მე ჭამა არ შემიწყვეტია!

მამა. არა, მაგრამ, შენ სმა დაიწყე.

(ბრიკი მკვეთრად ტრიალდება თავის ყავარჯნით, ჰკრავს ისვრის ოთახში და წამოიყვირებს).

ბრიკი. შენც ასე ფიქრობ?

მამა. შშშ!

(გალერეაზე ისმის ჩქარი ფეხის ხმა, ქალების შეძახილი. მამა კარისკენ მიდის. წადით აქედან! ჰიქი გატყდა, სხვა არაფერი.. ბრიკი ერთიანად გარდაიქმნება , ისე ვით ჩუმი, უწყინარი მთა, როცა იგი ცეცხლს ამოაფრქვევს და ვულკანი ხდება).

ბრიკი. შენც ასე ფიქრობ? შენც ასე ფიქრობ? შენ ფიქრობ, რომ კაპიტანი და მე ორთავე ერთად... სოდომის ცოდვას ჩავდიოდით?

მამა. მოიცა!..

ბრიკი. აი თურმე შენ..

მამა. ერთი წუთი!

ბრიკი. შენ ფიქრობ, რომ საძაგლობას ჩავდიოდით, კაპიტანი და მე...

მამა. რა გაყვირებს? ასე რად...

ბრიკი. საზიზღრობას! ამას ფიქრობ კაპიტანსა და ჩემზე?

მამა. ...ღელავ? მე არაფერსაც არ ვფიქრობ. მე არაფერი ვიცი, უბრალოდ, მე გეუბნები, რომ..

ბრიკი. შენ ფიქრობ, რომ კაპიტანიც და მეც ისეთები ვიყავით, როგორიც ის ორი ბილწი ბებერი?

მამა. ეს უძვე...

ბრიკი. სტროუ? ოჩელო? როგორც ის ორი...

მამა. მოიცადე...

ბრიკი. ის ორი ბილწი აზიზი? შენ ასე...

მამა. შშშ...

ბრიკი. ....ფიქრობ?

(წონასწორობას კარგავს და მუხლებზე ეცემა, ყურადღებას არ აქცევს ტკივილს, საწოლს ეჭიდება და წამოიწევა).

მამა. უფალო იესო! ჰუუ... მომეიდე ხელი!

ბრიკი. აარა, არ მჭირდება მე შენი ხელი!

მამა. მე მჭირდება, წამოდექი!

(წამოაყენებს ვაჟიშვილს, ერთი ხელით ისევ სიყვარულით ეხვევა და ეფერება).

სულ ოფლს გასხამს! ისე სუნთქავ, გეგონება მოგდევენო და გასწრებაზე ხარ...

ბრიკი (ხელს გააშვებინებს მამას). მამა, შენ მე მაოცებ, მაოცებ, მამა! ასე...

(შეტრიალდება, მამისგან პირს იბრუნებს).

ადვილად ლაპარაკი ასეთ რამეზე! — ასეთი... — განა არ იცი, ხალხი როგორ უყურებს ამას? როგორ ეზიზღებათ?! რა... როცა უნივერსიტეტში აღმოჩნდა, რომ ერთი ბიჭი იმ ძმობაში, სადაც მე და კაპიტანი ვიყავით, ისეთი იყო,... სცადა რაღაც არაბუნებრივი ჩაედინა იმ... ჩვენ არა მარტო ჩამოვშორდით მას, უნივერსიტეტიდან გადაკარგვაც კი მოვთხოვეთ და ასეც მოიქცა, დასაკარგავში წავიდა... (ჩერდება, სულს ძლივს ითქვამს).

მამა. სად?

ბრიკი. ჩრდილო აფრიკაში, როგორც გავიგე!

მამა. მე, მე უფრო შორი ადგილებიდანაც დავბრუნდი, და სულ ახლახან — მთვარის სხვა მხრიდან, მკვდრების ქვეყნიდან, და აქ ძალიან ძნელია ჩემი გაკვირვება. (ავანსცენაზე გამოდის, დარბაზში იყურება). ასე თუ ისე, გარშემო იმხელა სივრცე იყო, თავის აზრებს ვერავინ გადამღებდა. არ მეშინოდა, რადგან საკუთარი გონება მქონდა. დიდ პლანტაციაზე ბამბის გარდა სხვა რამის გაზრდაც შეიძლება! ბამბაზე უფრო ღირსსაცნობის — მოთმინების! — მე მაქვს მოთმენა.

(ბრიკთან ბრუნდება).

ბრიკი. არ შეიძლება ორი კაცის არაჩვეულებრივ მეგობრობას, მართალსა და ღრმას, ღრმასა და მართალს, პატივისცემით შეხედონ და იფიქრონ, რომ წესიერი და სუფთაა იგი და არა...

მამა. შეიძლება, და ასეც არის, ცხადია, ღმერთო!

ბრიკი. ბილწი...

(იმის მიხედვით თუ რანაირად წარმოთქვამს იგი ამ ბოლო სიტყვას, ვხვდებით, რა ღრმად და მკვიდრად არის გამჯდარი მის ცნობიერებაში იმ სამყაროს ზნეობრივი შეხედულებები, რომელმაც ადრიდანვე დაადგა დაღნა).

მამა. მე ვუთხარი მეის და გუპერს..

ბრიკი. რაში მეკითხება მეი და გუპერი?! ფეხებზე მკიდია ყველა ჭუჭყიანი მატყუარა და ყველა სიცრუე! მე და კაპიტანს ჭეშმარიტი, სუფთა მეგობრობა გვქონდა. ფაქტიურად, მთელი სიცოცხლე ვმეგობრობდით, სანამ მეგიმ არ შეუშვა თავში ეგ რაღაც, რაზედაც ახლა ლაპარაკობ. ნორმალურია ეს ამბავი? აარა! — ასეთი მეგობრობა იშვიათია, ძალიან იშვიათი იმისათვის, რომ ნორმალური იყოს. ო, ზოგჯერ მხარზე მადებდა ხელს, ანდა პირიქით, მე ვადებდი მხარზე ხელს, და ისეც ხდებოდა, რომ როცა ფეხბურთში გასვლით თამაშებს ვატარებდით, სხვადასხვა ქალაქში, და ოტელში ერთი ოთახი გვქონდა, ძილის წინ, ვიდრე თავ-თავის საწოლს მივაშურებდით, ხელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვართმევდით ერთმანეთს და ძილი ნებისას ვუსურვებდით. ჰო, ერთი ორჯერ ჩვენ...

მამა. ბრიკ, არავის არ ჰგონია, რომ არანორმალურია ეგ ამბავი!

ბრიკი. ცდებიან, ასე არ უნდა ეგონოთ. რადგან ნორმალური არ იყო ეს. ეს იყო სუფთა და მართალი რამ და ამიტომ — არანორმალური.

(დიდხანს და დაკვირვებით შეჰყურებენ ერთმანეთს. ბოლოს დაძაბულობა კლებულობს და ორივე, თითქოს დაღლილი და დაქანცული, შეტრიალდება).

მამა. ჰო, ძნელია, ძალიან ძნელი, ლაპარაკი...

ბრიკი. კარგი, მაშინ, დავანებოთ...

მამა. რამ გატეხა კაპიტანი, რამ დაგაგდო შენ?

(ბრიკი ისევ ჩააშტერდება მამას. ჯერ არ გაუცნობიერებია, რომ უკვე გადაწყვიტა უთხრას მამას კიბოთი რომ კვდება. მხოლოდ ასე თუ გაუსწორდებიან ერთმანეთს: ერთი დაუშვებელი რამ მეორის მაგივრად).

ბრიკი (ავისმომასწავებლად). კარგი, შენ თვითონ მეკითხები ამას, მამა. ბოლოს და ბოლოს როგორც გინდოდა, ისე, პირდაპირ ვლაპარაკებთ, გვიანღა არის გაჩერება და ბოლომდე ვთქვათ, რაც სათქმელია. (ბარისკენ მიდის კოჭლობით). ა-ჰა. (ყინულიან სათლს ახდის, იქიდან დათრთვილულ ვერცხლის სამტვრევს იღებს და ჰირხლის ელვარებით ნეტარებს). მეგი ამბობს, კაპიტანი და შენ უნივერსიტეტის მერე პროფესიულ ფეხბურთში იმიტომ ჩაებით, შეგეშინდათ. უკვე დიდები იყავითო და...

(ფეხის თრევით და ყავარჯნის რაკარუკით ავანსცენაზე გადის. მარგარეტის მსგავსად, როცა მისი საუბარი „რეჩიტატიულია", ბრიკი დარბაზს უყურებს, მაყურებლის ყურადღებას თავისი პირდაპირი და დაჟინებული მზერით იპყრობს — „ტრაგიკულად ელეგანტური ფიგურა" გატეხილი კაცისა, რომელიც უბრალოდ და გულწრფელად ამბობს მთელ იმ სიმართლეს, რაც მან იცის). გინდოდათო — ისევ ისეთი გადაცემები ბურთით, ის გრძელი, მაღალი! გრძელი, მაღალი გადაცემები, რომელსაც ვერავინ ვერ ჩაჰრიდა, დ. თქვენი ცნობილი საჰაერო იერიშით გარღვევაო. ასეც იყო. კიდევ ერთი სეზონი ვითამაშეთ ისე კარგად. ისეთი კლასით! — დიახ, მაგრამ... იმ ზაფხულს მეგიმ აიტეხა, ან ახლა, ანდა არასდროსო, და მე იგი ცოლად მოვიყვანე...

მამა. როგორი იყო მეგი, როცა ერთად გეძინათ?

ბრიკი (ჩაცინებით). შესანიშნავი! დიდებული!

(მამა თავს უქნევს).

შემოდგომით იგი „სამხრეთელ ვარსკვლავებთან" ერთად იყო სპორტულ ტურნეში. ო, მეგისთანა გულშემატკივარი ბევრი არ არის ქვეყანაზე. თავზე... თავზე მაღალი, დათვის ტყავის ქუდი ეხურა! თხუნელის შეღებილი ქურქი ეცვა. წითლად შეღებილი თხუნელის ქურქი! რაღას აღარ იგონებდა, გადარეული! ოტელებში სამეჯლისო დარბაზებს ქირაობდა, რომ გამარჯვებისახ გვეზეიმა. იმ შემთხვევაში, თუ დამარცხებას ვიგემებდით, არ გადადებდა, და არ ჩაშლიდა ზეიმს... კატა მეგი! ჰა ჰა!

(მამა თავს უქნევს).

მაგრამ კაპიტანს რაღაც შებრუნებული ციებ-ცხელება აწამებდა. ექიმებმა ვერაფერი მოუხერხეს. მე კი იმხანად ტრავმა მივიღე — დიდი არაფერი, რენტგენის სურათზე უბრალოდ მხოლოდ მუქად ჩანდა... კლინიკაში ვიწექი. ტელევიზორით ვუყურებდი [illegible] მამშებს და სათადარიგო მოთამაშეებს შორის ვხედავდი მეგის, გრძელ სკამზე იჯდა [illegible] ერთად, როცა რაღაც შეცდომის გამო [illegible] მაშობდა! და — ვგიჟდებოდი, რომ კაპიტანს მკლავზე ეყრდნობოდა! იცი რა, მეგი ისე გრძნობდა თავს, თითქოს ყოველთვის განზე იდგა, იმიტომ რომ მე და ის არასოდეს არ ვიყავით ახლო, ჭეშმარიტად, ეს იყო იმ ორი ადამიანის სიახლოვე, ვისაც საწოლში ერთად სძინავთ, და რაკი ასეა, რაღა ლობეზე კატები და... ასე! იმ ხნის მანძილზე, რაც კლინიკაში ვიწექი, საწყალ კაპიტანს შეგონებით მიადგა მეგი — კაპიტანი უთქმელი იყო, და არც ისქ დიდი ჭკუა ჰქონდა, საშუალო სტუდენტი იყო, შენ ხომ იცი?! ჰოდა, კაპიტნის თავში მეგიმ საზიზღარი და მცდარი აზრი შეუშვა, ვითომ ჩემი და იმის მეგობრობა ჩახშობილი გატაცების შემთხვევა იყო, იმ ორი ბებერი აზიზივით, აი ამ ოთახში რომ ცხოვრობდნენ, — ჯეკ სტროუ და პიტერ ოჩელო! მე, ის საწყალი კაპიტანი, ადგა და მეგისთან დაწვა, სურდა ამით ეჩვენებინა, რომ სიცრუე ითქვა და რაკი ვერ შეძლო, და არაფერი გამოუვიდა მეგისთან, დაიჯერა, რომ ეს ყველაფერი მართალი იყო! და კაპიტანი გატყდა როგორც დამპალი ჯოხი — ასე სწრაფად არავინ არ გალოთებულა და ისე ხელდახელ არც ლოთობისგან მომკვდარა ვინმე. — კმაყოფილი ხარ ახლა?

(მამა მოისმენს ამ ამბავს, ფიქრით აცალკევებს არსებითს ზედაპირულისგან — ახლა იგი ვაჟიშვილს შეჰყურებს).

მამა. შენ — ხარ კმაყოფილი?

ბრიკი. რით?

მამა. მაგ ნახევრად ნათქვამი ამბით!

ბრიკი. ნახევრად რატომ?

მამა. რაღაც აკლია მთელ მაგ ამბავს. რა არა თქვი?

(ჰოლში ტელეფონის ზარი გაისმის. თითქოს ამ ტელეფონმა გაახსენა რაღაც, ბრიკი უეცრად მიიხედავს იქითკენ და ამბობს).

ბრიკი. უთქმელი დამრჩა ის, კაპიტანმა რომ დამირეკა, — საქალაქთაშორისო ზარით, მთვრალი კაცის აღსარება, რაც ბოლომდე არ მოვისმინე, და დავუკიდე! — ეს იყო ჩვენი საბოლოო ლაპარაკი ცხოვრებაში... (ოდნავ ისმის, როგორ გაჩერდა ტელეფონის ხმა, ვიღაცამ აიღო და წყნარად, გაურკვევლად ლაპარაკობს).

მამა. და დაუკიდე?

ბრიკი. დავუკიდე. უფალო იეხო, ხომ...

მამა. ესეც ასე, ბრიკ! — იმ სიცრუემდე მივედით უკვე, რაც შენ ზიზღსა გგვრის და რის მიმართ ზიზღსაც ახლა ვისკით ჰკლავ. სხვა რამეს თავი დავანებოთ. სიყალბისადმი ეგ ზიზღი ისევ შენი თავისადმი ზიზღია მხოლოდ. შენ გაუთხარე შენს მეგობარს სამარე და შენვე ჩააწვინე იმ სამარეში! რათა პირდაპირ არ შეგეხედა სიმართლისთვის იმასთან ერთად,

ბრიკი. ვის შეუძლია სიმართლისთვის პირდაპირ ცქერა? შენ შეგიძლია?

მამა. ისევ ისე დაიწყე, ბიჭო, აბა რაებზე გადადიხარ!

ბრიკი. ჰო, რას იტყვი მაგ დაბადების დღის მილოცვებზე, ამდენ ბედნიერ წელს გისურვებს ყველა კი-

დევ ხიცოცხლეს, და ყველამ, მხოლოდ ერთადერთმა: შენ არ იცი და ყველამ იცის, რომ არავითარი წელიწადი აღარ გექნება!

(ის, ვინც ტელეფონით ლაპარაკობდა ჰოლში, წვრილი მკივანა ხმით გაიცინებს; ხმა მკაფიო უხდება და ისმის სიტყვები: „არა, არა, თქვენ ვერ გაიგეთ! სწორედ პირიქით! ხომ არ გაგიჟდით!" ბრიკი უცებ ხვდება, რომ საშინელი რამ წამოსცდა და უცებვე ჩერდება. რამდენიმე ნაბიჯს წადგამს კოჭლობით, მერე ადგილზე გაშეშდება, თავზარდაცემულ მამას არ შეხედავს, ისე წარმოთქვამს).

„წავიდეთ... ახლა... წავიდეთ და..."

(მამა უცებ ჭადგება წინ და თავისი ვაჟის ყავარჯენს ისე წაავლებს ხელს, გეგონება იარაღია და ერთმანეთისთვის იმ იარაღის წართმევა სურთო).

მამა. არა, არა! არსად არ წახვალ! რას ამბობდი?

ბრიკი. აღარ მახსოვს.

მამა. „ბედნიერ წლებს მისურვებს ყველა და იციან, რომ არავითარი წლები უკვე აღარ იქნება?"

ბრიკი. ოო, რა ეშმაკად, — მამა დაივიწყე ეგ! მოდი გავიდეთ გალერეაზე, ვნახოთ როგორ გაუშვებენ დაბადების დღის ფეიერვერკს...

მამა. ჯერ დაამთავრე შენი ფრაზა, ჯერ დაამთავრე. „ბედნიერ წლებს გისურვებს ყველა და იციან, რომ არავითარი წლები უკვე აღარ იქნება?" — ახე არა თქვი?

ბრიკი. მოიხედე, უყავარჯნოდ შემიძლია სიარული, თუ მოვინდომებ, მაგრამ ავეჯისთვის და ჰურჭლეულისთვის უკეთესი იქნება თუ ტარზანივით არ დავიწყებ ხტომას...

მამა. დაამთავრე! რასაც ამბობდი!

(ავისმომასწავებელი მწვანე ფერით განათდება იმის უკან (ცა).

ბრიკი (თავისი ჭიქიდან ყინულს წუწნის, უკვე მკაფიოდ აღარ ისმის რასაც ამბობს). დაუტოვე გუპერს და მეის, და იმათ ერთნაირ ხუთ მაიმუნს პლანტაცია. თუ რამე მინდა, მე...

მამა. დაუტოვე პლანტაციაო, ახე არა თქვი?

ბრიკი (გარკვეულად). მთელი ოცდარვა ათასი აკრი საუკეთესო მიწა, მთელ ამ ხეობის...

მამა. ვინა თქვა რომ მე „პლანტაციას ვუტოვებ" გუპერს, ანდა კიდევ სხვას? მე სამოცდა ექვსი წლისა გავხდი! თხუთმეტ, ან ოც წელს ვიცოცხლებ კიდევ! შენზე მეტ ხანს ვიცოცხლებ მე! მე დაგმარხავ, სახაზლის ფულს მე გადავიხდი!

ბრიკი. რა თქმა უნდა. მრავალ ბედნიერ წელს გისურვებ. ახლა გავიდეთ, რომ ფეიერვერკი დავინახოთ. წამო...

მამა. მაშ მომატყუეს? მომატყუეს, კლინიკიდან ახეთი დასკვნა მოვიდაო? მაშ რაღაც ნახეს, ნახეს? სიმსივნე? მა, ახეა?

ბრიკი. სიცრუეა ხისტემა მთელი ჩვენი ცხოვრებისა და გამოხავალი ვისკია მხოლოდ, ან — სიკვდილი...

(მამას ყავარჯენს გამოართმევს, რაკი მას მაგრად აღარ უჭირავს იგი და სწრაფად გადის გალერეაზე, კარს ღიად ტოვებს. ისმის სიმღერა — „აილე ბამბა, მთელი ბარდანა".

მეი (კარებში გამოჩნდება): ო, მამა, პლანტაციაში ფერიან შენთვის!

მამა (ხმაჩახლეჩით ყვირის). ბრიკ! ბრიკ!

მეი. გავიდა, იქ ხვამს, მამა.

მამა. ბრიკ!

(მისი გაშმაგებული ხმით შეშინებ[illegible] ბავშვები ბრიკს მამას ხმის გამოჯავრებ[illegible] სახე ეშლება, დამსკდარი ყვითელი ბათქაშივით უხდება, გეგონება საცაა ძირს ჩამოვარდება და მტვრად იქცევა. ცა განათდება. გალერეის კარიდან ბრუნდება ბრიკი. ნელა შემოდის, სერიოზული და სრულიად ფხიზელი სახით).

ბრიკი. მაპატიე, მამა. თავი უკვე აღარ მუშაობს და მიჭირს გაგება, თუ კაცს რად უნდა ალელვებდეს — ცოცხალია თუ მოკვდა უკვე, ანდა კვდება, ან საერთოდ, რაც გინდა იყოს, გარდა იმისა, დარჩა თუ არა კიდევ ვისკი ბოთლში და, — იმიტომ ვთქვი ის, რაცა ვთქვი, დაუფიქრებლად, რაღაცით მე არა ვარ სხვებზე უკეთესი, რაღაცით უფრო უარესიც, იმიტომ რომ სხვები ცოცხლები არიან და მე კი თითქმის აღარა ვცოცხლობ. იქნებ ამიტომ ხდება ახე, — ცოცხლობენ და სწორედ ამიტომ ცრუობენ, მე კი, რაკი თითქმის აღარ ვცოცხლობ, ეს შემთხვევით თუ მხდის მე მართალს და — არ ვიცი, მაგრამ ახე თუ ისე, მეგობრები ვართ... მეგობრები კი ყოველთვის მართალს ეუბნებიან ერთიმეორეს...

(პაუზა).

შენ მე მითხარი! მე შენ გითხარი!

(ოთახში შემორბის ბავშვი, შუშხუნებს დაავლებს ხელს და უკანვე გარბის).

ბავშვი (ყვირის). ბხ, ბხ, ბხ, ბხ, ბხ, ბხ! ბხ! ბხ!

მამა (ნელა, გაშმაგებული). ქრისტე ღმერთო — მატყუარები — წყეულები — ყველა ცრუები — საზიზღრები!

(ბოლოს წელში სწორდება და შუა კარისკენ გადაჰრის ოთახს. ჰოლის კარებში მოტრიალდება, უკან მოიხედავს ისე, თითქოს სასოწარკვეთილი შეკითხვა აქვს და სიტყვებით ველარ გამოუთქვამს. მერე თავს იქნევს — თითქოს პასუხად — რაღაც ფიქრებზე და ჩახლეჩილი ხმით ამბობს).

დიახ, ცრუები, ყველა, ყველა, ყველა ცრუები, მატყუარები!

(ეს წარმოითქმება ნელა, ნელა, გაშმაგებული გაუცხოებით). — ყველა—ცრუები! მატყუარები!

(ხმა მიწყდება. ისმის, როგორ მისცხებენ ბავშვს. დასჯილი ბავშვი შემორბის ოთახში. საშინლად ღრიალებს და ჰოლის კარებში გავარდება.

ბრიკი უმოძრაოდ რჩება, რამპის ჩირაღდნები თანდათან ქრება და ფარდა ეშვება).

ფ ა რ დ ა

## მოქმედება მესამე

(დროის მხრივ არავითარი ცვლილება არ მომხდარა. შემოდის მეი ღირს ტუკერთან ერთად).

მეი. მამა სად არის! მამა?

დედა (შემოსვლისთანავე). ამ დამწვარმა შუშხუნებმა ისეთი ბოლი დააყენა, ცოტაც და უკვე ბულმუცელი ამემღვრევა.

მამა სად არის?

მეი. მეც მაგის გაგება მინდა, სად არის მამა! სად წავიდა?

დედა. ალბათ თავის ოთახშია, დასაძინებლად წავიდოდა.

(შემოდის გუპერი).

გუპერი. მამა სად არის?

დედა. მე მგონია დაიძინა.

გუპერი. თუ ახეა, შეგვიძლია ვილაპარაკოთ.

დედა. რაზე უნდა ვილაპარაკოთ, მაინც რაზე?

(გალერეაზე გამოჩნდება მარგარეტი, დოქტორ ბოს ელაპარაკება.)

მარგარეტი (მჟღერი ხმით). ჩემს გვარში მონებმა ჯერ კიდევ მონობის გაუქმებამდე, ათი წლით ადრე მიიღეს თავისუფლება. ჩემმა პაპის პაპამ თავის მონებს თავისუფლება მიანიჭა ხუთი წლით ადრე, ვიდრე ომი დაიწყებოდა — სამხრეთ და ჩრდილო შტატებს შორის!

მეი. ო, ღვთის გულისათვის, მეგი ისევ თავისი გენეალოგიის ხეზე ავიდა!

მარგარეტი (მელოდიურად). რათ, მეი? ო, სად არის მამა? (საუბარი ძალიან სწრაფად მიმდინარეობს — იგრძნობა სამხრეთელების მეტყველების ცნობილი სიცხოველე).

დედა (ყველას): მე მგონია მამა დაიღალა. ძალიან უყვარს თავისი ოთახი, უყვარს როცა ახლობლებს გარშემო ჰყავს, მაგრამ იქანცება. დღეს საღამოს ველარ იცნობდი, დიდი მამა სულ სხვა იყო დღეს. ძალიან, ძალიან დაიღალა.

ღირსი ტუკერი. მე ვფიქრობ, რომ კარგად, მხნედ არის.

დედა. კიი! სწორედ, რომ მხნედ. შეამჩნიეთ, რა კარგად ჭამდა; ვახშამზე მართლა კარგად მიირთვა ლამის ორმაგი!

გუპერი. იმედი მაქვს ხანანებლად არ გაუხდება.

დედა. ხომ ნახე, კაცმა იმოდენა პური შეჭამა, — ზედ ბადაგით, და ორჯერ გადაიღო მოშუშული ღორის ხორცი ლობიოთი.

მარგარეტი. მამას უყვარს მოშუშული ღორის ხორცი. აშკარად სოფლური ვახშამი გვქონდა.

გუპერი (ღვარძლიანი კმაყოფილებით). მერე კი მწარედ არ ინანოს და...

დედა (აღშფოთებით). რაებს ლაპარაკობ, გუპერ?

მეი. გუპერი ამბობს, ახე ჭამამ არ გაამწაროსო ამ ღამეს მამა.

დედა. თოჰ, კარგი ერთი — გუპერი ამბობს, გუპერი ამბობს"! — რატომ უნდა გაამწაროს? უბრალოდ, კარგი, მადა აქვს, სხვა რა, კაცმა დიდი ლოდი მოიშორა, ეგონა ღმერთმა გაწირა და ახლა გაიგო, რომ არ გაუწირავს...

მარგარეტი (სევდიანად და კეთილხმოვნად). ღმერთმა დალოცოს ბერიკაცის კეთილი სული...

დედა (დაბნეულად). ჰო, მისი გული დალოცოს ღმერთმა, ბრიკი სად არის?

მეი. გავიდა.

გუპერი. სვამს...

დედა. ვიცი რომ სვამს და არ არის საჭირო წამდაუწუმ მითხრათ, ბრიკი სვამსო. გეგონება, თუ არ მითხარით, არ ვიცი რომ ბიჭი-ბრიკი სვამს!

მარგარეტი. ბრავისიმო, დედა!

(ტაშს უკრავს).

დედა. ხალხი სვამდა, სვამს და დალევს. ვერც ამ ბანგს აკეთებენ და ბოთლებში ასხამენ.

მარგარეტი. ეს მართალია. მე ვერასოდეს ვერ ვენდობოდი კაცს, თუ არ სვამდა, ასეთი [illegible].

მეი. გუპერი არ სვამს, არასოდეს [illegible] ენდობი მას?

მარგარეტი. მოიხედე, გუპერ, შენ არა სვამ? მე რომ მცოდნოდა, ასეთ რამეს არ ვიტყოდი აქ...

დედა (იძახის). ბრიკ?!

მარგარეტი. შენი თანდასწრებით მაინც...

(მიმზიდველად იცინის).

დედა. ბრიკ!

მარგარეტი. ისევ იქ არის, გალერეაზე. წავალ, მოვიყვან და მერე შეიძლება ვილაპარაკოთ.

დედა (შეშფოთებით). არ მესმის, ეს ოჯახური საიდუმლო ლაპარაკი რაღა არის.

(უხერხული სიჩუმე. დედა სათითაოდ უყურებს ყველას. ოდნავ აბოყინებს და გაურკვევლად წაილუღლუღებს „ბოდიშს ვიხდი..." მერე ყელზე ჩამოკიდებულ მოხატულ, შავ, მაქმანიან მარაოს ხსნის, მაქმანის შავ კაბას რომ ესადაგება, და კორსაჟზე მიმაგრებულ დამჭკნარ ყვავილს უნიავებს. ნერვიულად ქშინავს. ყველას ისევ რიგრიგობით შეხედავს სახეში. იმ უხერხულ სიჩუმეში, მარგარეტი იძახის — ბრიკ! ბრიკი რაღაცას ღიღინებს მთვარით განათებულ გალერეაზე).

მეი. იმის თქმა მინდოდა, რომ ჩვენი ლაპარაკიდან მამამ ერთი სიტყვაც კი არ უნდა გაიგოს.

დედა. გაშტერებას ვარ! აქ ისეთი არაფერი არ უნდა ითქვას, რასაცა მამა არ გაიგონებს, თუ მას სურს, ეს... ეს მისი სახლია!

გუპერი. იცი, დედა, საქმე ახეა...

(მეი ხელს წაჰკრავს, და კარგა მაგრადაც, გაჩუმდიო. გუპერი გაცოფებით შეხედავს მას, მეი კი მის წინ პაროდიულად, ბალერინასავით ტრიალებს, თავზემოთ შიშველსა და მჭლე მკლავებს ასწევს, სამაჯურებს აწკარუნებს და წამოიძახებს).

მეი. ნიავი! ნიავმა დაუბერა!

ღირსი ტუკერი. მე ვფიქრობ, ეს სახლი ყველაზე გრილი სახლია მთელ ხეობაში. თქვენ იცით, ყველამ, რით აღნიშნა მელხის ხსოვნა მელხის ბენქსის ქვრივმა? ეკლესიაში და სამრევლო მღვდლის სახლში — ფრაიერ პოინტში — ვენტილაცია დააყენა.

(საერთო საუბარი ისევ აღდგება; ყველა ლაპარაკობს და სცენაზე ისე შეერევა ხმები ერთმანეთს, გეგონება მთელი ოთახი ჩიტების დიდი გალიააო).

გუპერი. ცუდია, რომ თქვენს ეკლესიაში ამას არავინ არ აკეთებს, მაღალღირსებავ, ხანძლეოს ვდებ, ამისთანა სიცხეში, კვირაობით ქადაგებისას, ოფლად იღვრებით კათედრაზე.

ღირსი ტუკერი. დიახ, სამოსელი სულ ერთიანად მისველდება.

დედა (გალერეის კარებში). მეგი, მეგი, სად არის ბრიკი, რატომ არ მოდის?

**მეი** (მოულოდნელად და ხმამაღლა, ისე რომ ყველა ჩუმდება). უცნაური გრძნობა მაქვს, რაღაც ძალიან უცნაური!

**დედა** (გალერეიდან ბრუნდება). რა გრძნობა?

**მეი.** რომ ბრიკმა უთხრა მამას ის, რაც არ უნდა ეთქვა.

**დედა.** რა, რა შეეძლო ბრიკს ეთქვა მისთვის?! რაა ისეთი, რისი თქმაც არ შეიძლებოდა?

**გუპერი.** დედა, არის რაღაც, რაც...

**მეი.** ოოჰ, მოიცადე!

(მივარდება დედას, სწრაფად ეხვევა და კოცნის. დედა მოუთმენლად იშორებს მას. ვიდრე პაუზა გაგრძელდება, ღირსი ტუკერის მშვიდი და წყნარი ხმა გაისმის).

**ღირსი ტუკერი.** დიახ, გასულ კვირას სამოსელზე ოქრო მეწამული გახდა და...

**გუპერი.** მამაო, გასულ კვირა დღეს ალბათ ჯოჯოხეთის ცეცხლზე ქადაგებდით!

(თავის გამჭრიახობაზე ხარხარებს, მაგრამ ღირსი ტუკერი არ იცინის. ამასობაში დედა უახლოვდება დოქტორ ბოს).

**დედა** (ხმამაღლა, ქოშინისაგან ჩახლეჩილი ხმით, ისე რომ სხვების ლაპარაკს ფარავს). ჩემსობას გამოუსწორებელ ლოთებს ექიმ კილის წამლით კურნავდნენ. მაგრამ ახლა, რამდენადაც ვიცი, რაღაც აბებს აძლევენ, რაღაც „ანი ბასტს", მაგრამ ბრიკს სავროთოდ არაფრის მიღება არ სჭირდება.

(გალერეის კარებში გამოჩნდება ბრიკი. მარგარეტი მოჰყვება თან).

**დედა** (ლაპარაკს აგრძელებს, არ იცის, რომ ბრიკი უკვე შემოვიდა). ბიჭზე უბრალოდ, ძალიან იმოქმედა კაპიტნის სიკვდილმა. ძალიან დიდი დოზით მისცეს ნატრიუმის ემიტალი ჯერ სახლში, და მერე, „სასწრაფოთი" რომ წაიყვანეს, კლინიკაშიც ისევ ძალიან დიდი დოზით, ცხადია, ველარ გაუძლო გულმა, მით უმეტეს რომ თვეების მანძილზე ალკოჰოლით გაინადგურა თავის თავი... ამ შპრიცების ისე ძალიან მეშინია! დანაზე უფრო ნემსებისა მეშინია... მე თუ მკითხავთ, ამ ნემსებმა უფრო | მეტი გაისტუმრა იმ ქვეყანაზე, ვიდრე...

(უცებ ჩერდება და მკვეთრად ტრიალდება).

ოო! ბრიკიც შემოვიდა! ჩემი ძვირფასი ბიჭი, ბრიკი!..

(ბრიკისკენ გაემართება, მოკლე, ფაშფაშა ხელებს გაიწვდის მისკენ და თან ხმამაღლა, სლუკუნით ტირის, რაც კომიკურ და ამაღელვებელ შთაბეჭდილებას ახდენს.

ბრიკი იღიმება და ოდნავ თავს ხრის, კარიკატურულად გალანტური ჟესტით გაატარებს წინ მეგის ოთახში. მერე კოჭლობით და ყავარჯენზე დაყრდნობით პირდაპირ ბარისკენ მიდის. სრული სიჩუმეა, ყველა ბრიკს უყურებს, როგორც ყოველთვის უყურებდა ბრიკს ყველა, როცა იგი ლაპარაკობდა, მოძრაობდა ან გამოჩნდებოდა, ჭიქაში სათითაოდ დებს ყინულს, პაუზის შემდეგ უცებ მოიხედავს მხარზემოთ, პირს ოდნავ ხსნის და მომხიბვლელი ღიმილით ამბობს).

**ბრიკი.** ხოდიშს ვიხდი! კიდევ ვის გნებავთ?

**დედა** (სევდიანად). არა, შვილო, კარგი იქნებოდა, შენთვისაც არ ისხამდე მაგას!

**ბრიკი.** კარგი იქნებოდა დედა, მაგრამ, სხვა გზა არ არის, ველოდები, თავში იქნებ „ტკაც" გავიგონო — აღარ მოდის, რომ მეც დავმშვიდდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დედა.** ო, ბრიკ, შენ მაგიჟებ, გულს მიხეთქავ!

**მარგარეტი** (იმავდროულად). ბრიკ, მიდი, დაჯექი დედასთან ერთად!

**დედა.** მე ამას, მე... ვერ გაააა-დავვიტან...

(ტირის).

**მეი.** ახლა, როცა ყველა შევიკრიბეთ...

**გუპერი.** შეგვიძლია ვილაპარაკოთ...

**დედა.** გულს მიხეთქავს...

**მარგარეტი.** დაჯექი დედასთან, ბრიკ, და ხელი მოჰკიდე.

(დედა სამჯერ ხმამაღლა ამოიტირებს და ეს ხმა დაფდაფზე სამჯერ დარტყმასავით გაისმის სიჩუმეში).

**ბრიკი.** შენ მიდი, მეგი. ხეიბარი ვარ და მიჭირს ჯდომა. მე ჩემს ყავარჯენს ვერ ვშორდები.

(გალერეის კარისკენ მიდის და კართან ისე გაჩერდება, გეგონება ელოდებაო. მეი დიდ დედას მიუჯდება, ხოლო გუპერი წინ წავა, დივანის კიდეზე ჩამოჯდება და დედას შეჰყურებს, ღირსი ტუკერი ნერვულად დგება ამათ შორის. მეორე მხარეს დგას დოქტორი ბო, იგი არავის და არაფერს არ უყურებს, სიგარას ეწევა, მარგარეტი შეტრიალდება).

**დედა.** რა ყველა გარს შემომეხვიეთ? ასე რად მიყურებთ და ერთმანეთს რაებს ანიშნებთ ყველა? თითქოს თვალებით ლაპარაკობთ...

(ღირსი ტუკერი შეშინებული დაიწევს უკან).

**მეი.** დაწყნარდით, დედა.

**დედა.** შენ თვითონ დაწყნარდი, დაქალო. როგორ დავწყნარდე, როცა სუყველა ისე მიყურებთ, გეგონება სახეზე სისხლი ჩამომდიოდეს? რაშია საქმე, რა ხდება, რა?

(გუპერი ჩაახველებს და შუაში დგება).

**გუპერი.** მაშ ასე, დოქტორო ბო.

**მეი.** დოქტორო ბო?

**ბრიკი** (უეცრად). შშშ!

(მერე გაიღიმებს და სინანულით აქნევს თავს).

— აარა! ეს „ტკაც" არ არის.

**გუპერი.** გაჩუმდი, ბრიკ, ანდა, იყავი მანდ, გალერეაზე, მაგ შენი ვისკით! აქ სერიოზული სალაპარაკო გვაქვს, დედას უნდა სიმართლე იცოდეს იმ დასკვნაზე, რაც ოჩსნერის კლინიკიდან მივიღეთ დღეს.

**მეი** (სულსწრაფად). იმაზე, რაც მამას ეხება!

**გუპერი.** დიახ, იმაზე, რაც მას ეხება. პირდაპირ უნდა შევხედოთ იმას, რაც სიმართლეა.

**დოქტორი ბო.** აასე...

**დედა** (შეშინებული წამოიწევს). რამე არის? რაღაცა აქვს? რაღაც ისეთი? რაც არ ვიცი?

(ამ რამდენიმე კითხვაში, რასაც დედა, თავზარდაცემული, ჩუმად წარმოთქვამს, ჩანს მთელი ორმოცდახუთი წლის ურთიერთობა დიდ მამასთან, მთელი მისი თაყვანისცემა და უდიდესი, ლამის თავგზის ამბნევად გულუბრყვილო და თავდადებული სი-

ყვარული მამისადმი, რომელიც, ბრიკივით, ალბათ, აბეზრებდა ჰყვარებოდათ მეტად „უბრალო საშუალებით" — თვითონ არ ჰყვარებოდა ძალიან — არ დაეკარგა მომხიბვლელი გაუცხოება, და ბრიკივით, ისიც ვაჟკაცურად ლამაზი იყო. ამ წუთებში დედა ღირსებით არის აღსავსე: იგი თითქმის არ არის სქელი).

**დოქტორი ბო** (პაუზის მერე, უხერხულად). **დიახ? ეე...**

**დედა.** მე მინდა ვიიი-ცოდე!... (უმალვე პირზე იდებს მომუჭულ ხელს, გეგონება ამ სიტყვების უარსაყოფად, მერე, რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო, დამჭკნარ ყვავილს კორსაჟს აგლეჯს, იატაკზე აგდებს და თავისი მოკლე სქელი ფეხებით შედგება ზედ). მაშ მომატყუეს — მინდა ვიცოდე!

**მეი.** დაჯექი, დედა, აქ, ამ დივანზე.

**მარგარეტი** (სწრაფად) ბრიკ, მიდი, დაჯექი დედასთან.

**დედა.** რა აქვს, რა არის?

**დოქტორი ბო.** ახეთი გულდასმითი და საფუძვლიანი გამოკვლევა, რაც ოჩსნერის კლინიკაში ჩაუტარეს მამა პოლიტს, ჩემს პრაქტიკაში არ მინახავს.

**გუპერი.** ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო კლინიკა.

**მეი.** ყველაზე საუკეთესო, და არა ერთ-ერთი.

(რაღაც მიზეზის გამო იგი, გავლისას მაგრად წაჰკრავს ხელს ფერდში გუპერს. გუპერი ხელზე დაარტყამს ხელს ისე, რომ თან თვალმოუშორებლად უყურებს სახეში დედას).

**დოქტორი ბო.** ოღონდ, რა თქმა უნდა, გამოკვლევის დაწყებამდე ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით იცოდნენ კიდეც.

**დედა.** რა, რა იცოდნენ — რა იცოდნენ ,რა?!

(შიშით, ტირილით ამბობს ამას, სუნთქვა ეკვრის. მეი სწრაფად კოცნის, ძალით იშორებს მეის, ექიმს შეჰყურებს).

**მეი.** დედა, გამაგრდით!

**ბრიკი** (კარებში, წყნარად).

„ეცემა შუქი, შუქი ნათელი,
იმ ვერცხ-ლის-ფერი მთვა-აა-რის..."

**გუპერი.** გაჩუმდი, ბრიკ!

**ბრიკი.** ბოდიშს ვიხდი... (აუჩქარებლად გადის გალერეაზე).

**დოქტორი ბო.** მაგრამ ახლა.. ახლა იმ შეხიებული ადგილიდან ააჭრეს მათ... ეხე იგი, ის ქსოვილი გასინჯეს და...

**დედა.** შეხიებული — შენ გინდა თქვა, რომ მამა პოლიტს...

**დოქტორი ბო.** მოიცადეთ.

**დედა** (გაშმაგებით). თქვენ მე მითხარით, მეც და მამასაც, რომ მას არაფერი არ ჰქონდა, გარდა...

**მეი.** დედა, ყოველთვის ახეა, როცა...

**გუპერი.** ალაპარაკე დოქტორი ბო, დააცადე!

**დედა.** ...რაღაც სპასტიკური კოლიტისა...

(ქვითინებს).

**დოქტორი ბო.** დიახ, სწორედ ახე ვუთხარით მამას. მაგრამ ქსოვილის ის ნაწილი ლაბორატორიაში გამოვიკვლიეთ და ვწუხვარ, რომ ამის თქმა მიხდება... ავთვისებიანი... (პაუზა).

**დედა.** კიბო?! კიბო?!

(დოქტორი ბო დაღვრემილი იქნევს თავს, დედა გაბმით ტირის, ხმა ეხლიჩება).

**მეი და გუპერი.** კარგი, კარგი, დედა, გამაგრდი! შენ მაინც ხომ უნდა იცოდე...

**დედა.** რატომ არ ამოაჭრეს, ჰა? ჰა?

**დოქტორი ბო.** მოდებული აქვს.

**მეი.** დედა, ღვიძლზე და თირკმელზეც გადავიდა. ორივეზე! ისეა გადგმული, რომ ოპერაცია...

**გუპერი.** სარისკო იყო.

**მეი.** ა-ჰააა... (დედა ისე ამოიოხრებს, გეგონება სული ამოაყოლაო).

**ღირსი ტოკერი.** ჩშ, ჩშ, შშ, ჩშ, ჩშ!

**დოქტორი ბო.** დიახ, დანის დასმა ზედმეტი იყო.

**მეი.** იმიტომაც გაყვითლდა ისე მამა, დედა!

**დედა.** გამეცალე! იქით, მეი, გამეცალე!

(უეცრად წამოდგება).

ბრიკი სად არის! ბრიკი მინდა! სად არის ჩემი ერთადერთი ვაჟიშვილი!

**მეი.** დედა! „ერთადერთი" თქვა?

**გუპერი.** მაშ მე ვიღა ვარ?

**მეი.** ღირსეული, ფხიზელი კაცი და ხუთი საყვარელი ბავშვის მამა! ექვსის!

**დედა.** მე მინდა, რომ ბრიკმა მითხრას. ბრიკ! ბრიკ!

**მარგარეტი** (ფიქრებში წასული ცალკე იჯდა და გამოერკვა). ბრიკი ისე აღელდა და მოიშალა, რომ გარეთ გავიდა.

**დედა.** ბრიკ!

**მარგარეტი.** ნება მომეცით, მე გითხრათ, დედა!

**დედა.** არა, არა, თავი დამანებე, შენ ჩემი სისხლი არა ხარ. ბრიკ!

**გუპერი.** დედა, მე შენი ვაჟი ვარ და მე მომისმინე!

**მეი.** გუპერი თქვენი ვაჟიშვილია, თქვენი პირმშო!

**დედა.** გუპერს არასოდეს არ უყვარდა მამა.

**მეი** (ვითომ საშინელი აღშფოთებით). არ არის ეს მართალი!

(პაუზა. მღვდელი ახველებს, წამოდგება).

**ღირსი ტუკერი** (მეის). მე ვფიქრობ, შეიძლება წავიდე ახლა.

**მეი** (თავაზითა და ნაღვლიანად). დიახ, მამაო, დიახ, წაბრძანდით.

**ღირსი ტოკერი** (კეთილგონივრულად). ღამე მშვიდობის, ღამე მშვიდობის! ღმერთმა დაგლოცოთ ხუყველა და... აქაურობაც... (გადის).

**დოქტორი ბო.** კარგი კაცია, მაგრამ უტაქტო. რა ლაპარაკი წამოიწყო იმ შეწირულობებზე და სულის მოსახსენებელ ვიტრაჟებზე — თანაც, ერთ ვიტრაჟს თუ ახსენებდა, კიდევ ჰო, მაგრამ სხვა ათზეც იქვე ლაპარაკობდა. ანდა ის რომ თქვა, — საშინელებაა როცა ვინმე ანდერძს არ ტოვებს და ისე კვდებაო, მერე იწყება იურიდიული კინკლაობა და ათასი დადავიდარაბაო. (მეი ახველებს და დედაზე მიუთითებს).

**დოქტორი ბო.** ჰო, ახე...



ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა. ეს შეცდომაა, მე ვიცი, რომ ეს სიზმარია, ცუდი სიზმარი.

დოქტორი ბო. რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვილონებთ იმისათვის, რომ მამას ნუგეში არ მოეშალოს.

დედა. ეს მხოლოდ ცუდი სიზმარია, აი რა არის... ეს საშინელი სიზმარია...

გუპერი. მე მგონია მამას რაღაც ტკივილი ტანჯავს და არ უნდა რომ გაამხილოს.

დედა. სიზმარი, ცუდი სიზმარია...

დოქტორი ბო. ხდება ახე. ბევრს ჰგონია, თუ არ გავამხელ, რაცა მტკივა, არც სატკივარი მექნებაო ამიტომაც მალავენ ტკივილს.

გუპერი (ღვარძლიანად). ჰო, ეშმაკობენ ამის გამო,

მეი. მე და გუპერი ვფიქრობთ...

გუპერი. გაჩუმდი, მეი! მამას ალბათ უნდა დაჰუწყოთ მორფის კეთება.

დოქტორი ბო. როცა ტკივილი ემატება, მერე და მერე ისეთი აუტანელი და საშინელი ხდება, რომ მამას უთუოდ დასჭირდება მორფი, რომ ტკივილს გაუძლოს.

დედა. გეუბნებით, მამას მორფს აქ არავინ მისცემს. მე არ დავუშვებ.

მეი. დედა, თქვენ გინდათ მის ტანჯვას უყუროთ? ხომ იცით... (გუპერი მეის გვერდით დგას და გაცოფებით წაჰკრავს ფერდში).

დოქტორი ბო (მაგიდაზე კოლოფს დადებს). ამას აქ ვტოვებ, იმ შემთხვევისთვის, თუ ტკივილი დაეწყება, რომ აფთიაქში არ გაგზავნოთ ვინმე.

მეი. მე ვიცი მაგის გაკეთება.

გუპერი. ომის დროს მეი მედიცინის დის კურსებზე სწავლობდა.

მარგარეტი. მე ვფიქრობ, მამა არ მოისურვებს, რომ ნემსები მეიმ გაუკეთოს.

მეი. შენ ფიქრობ, იმას მოისურვებს, რომ შენ გაუკეთო? (დოქტორი ბო დგება).

გუპერი. დოქტორი ბო მიდის.

დოქტორი ბო. დიახ მე წავალ, ჰოო, დედა პოლიტ, მაგრად იყავით.

გუპერი (ხუმრობის კილოთი).რა თქმა უნდა, მაგრად იქნება, არა დედა?

(დედა ქვითინებს)..

ჰო, კარგი, დედა.

მეი. დედა, მოდით, ჩემთან დაჯექით.

გუპერი (კარებში, დოქტორ ბოსთან ერთად). ექიმო, ძალიან მადლიერი ვართ თქვენი. კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, თუ რა ძალიან დაგვავალეთ...

(დოქტორი ბო მიდის, ზედაც არ უყურებს მას).

გუპერი. ამ ექიმს თავის საზრუნავი აქვს, გასაგებია, მაგრამ მაინც შეეძლო უფრო ადამიანური ყოფილიყო...

(დედა ქვითინებს).

გამაგრდი, დედა, კარგი, კარგი!

დედა. არ არის მართალი, მე ვიცი, რომ მართალი არ არის ეს ამბავი!

გუპერი. დედა, ანალიზებში შეცდომის დაშვება გამორიცხულია!

დედა. რად გეჩქარება მამაშენის სიკვდილი ახე?

მეი. დედა!

მარგარეტი (რბილად). მე მესმის, რასაც გულისხმობს დედა.

მეი (გაცოფებით).ოჰოო, რას ამბობ!

მარგარეტი (წყნარად და ნაღვლიანად). ჰო, მე მგონია, ვხვდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეი. ამ ოჯახში მაინცდამაინც დიდი ხანი არ არის, რაც შემოდგა ფეხი და რა ბევრს ხვდება!

მარგარეტი. სხვანაირად აქ არ ხერხდება, მიხვედრაა საჭირო.

მეი. მე ვფიქრობ, შენ ჯერ კიდევ საკუთარ ოჯახში მიხვდი ბევრ რამეს, მეგი, მამაშენი ხომ ძალიან სვამდა, ახლა ბრიკი გყავს ასეთ დღეში. გალოთებული.

მარგარეტი. ბრიკი არ არის გალოთებული, ბრიკს შეუძლია თავი გადადოს მამამისისთვის, ამ ამბავმა მართლა ძალიან შეაწუხა.

დედა. ბრიკი საყვარელი ბიჭია მამასთვის, მარგარეტ, შენ უნდა მოგვეხმარო მე და მამას დაერთად უნდა ვუშველოთ ბრიკს, რომ გამოსწორდეს. ბრიკი თუ სმას არ შეეშვება და საქმეს თუ არ მოჰკიდებს ხელს, მამა ამ ამბავს ვერ გაუძლებს.

მეი. რა საქმეს, დედა?

დედა. პლანტაცია...

(მეი და გუპერი სწრაფად და გაოცებით შეხედავენ ერთმანეთს).

გუპერი. დედა, მამის ამბავმა შეგარყია შენ.

მეი. ჰო, აქ ყველა შეგვარყია, მაგრამ...

გუპერი. რეალისტები უნდა ვიყოთ...

მეი. მამა არასოდეს, არასოდეს არ ჩაიდენს ისეთ სისულელეს, რომ...

გუპერი. პლანტაცია ხელში ჩაუგდოს იმას, ვისაც მოვალეობა არაფრად უღირს!

დედა. მამა არც აპირებს პლანტაცია ვინმეს გადასცეს. მამა სიკვდილს არ აპირებს. მინდა რომ ეს ყველამ კარგად შეუშვათ თავში!

მეი. დედა, დედა, საყვარელო, ჩვენც ხომ თქვენსავით იმედითა და სასოებით შევყურებთ მამას. გვჯერა, რომ კარგად იქნება, ჩვენი მხურვალე ლოცვა დაიხსნის მას, მაგრამ ამასთან ერთად, არსებობს ბევრი ისეთი რამ, რაზეც უნდა ვიმსჯელოთ და გადავწყვიტოთ, იმიტომ რომ...

გუპერი. გასათვალისწინებელია შესაძლებელი შემთხვევები. წინასწარ ფიქრი გვმართებს ყველას და ახლა ზუსტად ის დროა, რომ... მეი, ჩვენი ოთახიდან ჩემს პორტფელს ხომ არ მომიტანდი?

მეი. ახლავე, ჩემო თვალისჩინო.

(წამოდგება და გალერეის კარიდან გადის).

გუპერი (დედამისის წინ დგება). ემე-მე, დედა. შენ იცი, რომ ის რაც ახლა თქვი, სიმართლეს არ შეეფერება. ეგრე არ არის. მე ყოველთვის მიყვარდა მამა ჩემებურად, მშვიდად, წყნარად, და არავის არ ვანახვებდი ჩემს სიყვარულს. ისიც ვიცი, რომ მამასაც ყოველთვის ვუყვარდი მე, იმასაც ახე, თავდაჭერილად და მშვიდად, მაგრამ არც ის ცდილობდა ვინმესთვის ამის დანახვებას. (მეი დაბრუნდება გუპერის პორტფელით).

**მეი.** აი შენი პორტფელი, თვალისჩინო.

**ბუპერი** (პორტფელს უბრუნებს). გმადლობ... რა თქმა უნდა, მამაჩემის და ჩემი ურთიერთობა ბრიკის მამასთან ურთიერთობას არ ჰგავს.

**მეი.** შენ რვა წლით უფროსი ხარ ბრიკზე და ყოველთვის ისეთი მოვალეობის წინაშე დგახარ, რაც ბრიკს არც კი დაესიზმრება. ცხოვრებაში ბრიკს საზრუნავი მხოლოდ ვისკის სმა და ფეხბურთი ჰქონდა.

**ბუპერი.** მეი, თუ შეიძლება, დამაცადე ლაპარაკი?

**მეი.** კარგი, ჩემო თვალისჩინო.

**ბუპერი.** ახლა, ოცდარვა ათასი აკრი პლანტაციის გაძღოლა დიდი საქმეა.

**მეი.** თითქმის არავის დაუხმარებლად. (მარგარეტი გალერეაზე გავიდა, და ისმის, როგორ ეძახის ბრიკს წყნარად).

**დედა.** შენ ხომ არასოდეს გაძღოლიხარ ამ პლანტაციას! რაზე ლაპარაკობთ? გეგონება მამა მოკვდა უკვე, საფლავში წევს და სხვა გზა არ არის, პლანტაციას შენ უნდა გაუძღვე! შენ ამ ბიზნესის რაღაც პატარა საქმეში თუ მოეხმარე მას, როცა იურიდიულ პრაქტიკას გადიოდი მემფისში, სულ ეგ იყო!

**მეი.** ოჰ, დედა, დედა, საყვარელო! ვიყოთ გულწრფელები! გუპერმა სული არ დაიშურა ამ პლანტაციისთვის, ბოლო ხუთ წელს, რაც მამა ასე ავად არის, ეგ უძღვებოდა პლანტაციის საქმეს. რას აკეთებდა ბრიკი? ბრიკი თავისი ძველი დიდებით ცხოვრობდა, იმით, რასაც კოლეჯში იყო შეჩვეული! ოცდაშვიდი წლისაა და ჯერ ისევ ფეხბურთელია!..

**მარგარეტი** (მარტო ბრუნდება). ახლა ვიღაზე ლაპარაკობთ? ბრიკზე? ბრიკი აღარ არის ფეხბურთელი, მშვენივრად იცი ეს, ბრიკი რეპორტიორია, ტელევიზიისთვის აკეთებს გადაცემებს, თანაც ერთ-ერთი საუკეთესო და მთელ ქვეყანაში კარგად ცნობილი რეპორტიორი!

**მეი.** მე იმაზე ვლაპარკობ, რაც აქამდე იყო.

**მარგარეტი.** საერთოდ, კარგი იქნება თუ ჩემს ქმარზე ლაპარაკს თავს დაანებებთ.

**ბუპერი.** მე უფლება მაქვს ვილაპარაკო ძმაზე ჩემი საკუთარი ოჯახის წევრებთან, და შენ არ გეხება ეს ამბავი. რატომ არ გინდა გახვიდე და ბრიკთან ერთად დალიო რამე?

**მარგარეტი.** ჯერ არ მინახავს ძმა ძმის მიმართ ასეთი ღვარძლიანი!

**ბუპერი.** ეგ როგორღა მექცევა? ჩემთან ერთად, ერთ ოთახშიც კი არ ჩერდება!

**მარგარეტი.** ეს ბრიკის წინააღმდეგ კამპანია საგანგებოდ გეპირდებათ, რომ რაც შეიძლება აძაგოთ! ამას ყველაზე დიდი საძაგლობა და საზიზღარი რამ აკეთებინებთ — გაუმაძღრობა. გაუმაძღრობა, სიხარბე, სიხარბე!

**დედა.** ოო, ახლა ვიყვირებ! ვიყვირებ, თუ ამწუთასვე არ შეწყდება ეს ლაპარაკი!

(გუპერი მარგარეტს ისე მიადგება, გეგონება, გარტყმას უპირებს. მეი მარგარეტის ზურგს უკან ზიზღით იღრეცს სახეს).

**მარგარეტი.** დედა და მამა რომ არა, მე და ბრიკი არ დავრჩებოდით აქ. თუ მართალია ის, რაც მამაზე თქვეს, გათავდება თუ არა ყველაფერი, წავალთ აქედან, ერთ წუთსაც აღარ დავრჩებით აქ!

**დედა** (ქვითინებს). მარგარეტ, შვილო, მოდი აქ, ახლო, დაჯექი დედასთან.

**მარგარეტი.** დედა, ძვირფასო, მაპატიეთ, მაპატიეთ, მე... (გრძელ, ლამაზ ყელს მოიღერებს, რომ მავი შიფონით დაფარულ დედის სავსე მხარს შუბლით შეეხოს).

**ბუპერი.** რა მშვენიერი, რა ამაღელვებელი გამოხატვაა სიყვარულისა!

**მეი.** იცით, რად არის ეგ უშვილო? იმიტომ არის უშვილო, რომ თავის მოხდენილ ათლეტ ქმარს არ სურს მაგასთან დაიძინოს.

**ბუპერი.** მე ვხედავ, რომ ამ ამბავზე კარგად ლაპარაკის საშუალება არ მეძლევა. კარგი, მაშ ასე: მე და მეის ხუთი შვილი გვყავს, არ მეკითხება, ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ მამაჩემს, ანდა, როდისმე ვუყვარდი თუ არ ვუყვარდი, ან — ვეყვარები თუ არ ვეყვარები! მე მხოლოდ სამართლიანობის გრძნობას და სულ უბრალო წესიერებას ვითხოვ. სიმართლეს გეტყვით. მე ალშფოთებას მგვრიდა მამაჩემის მიკერძოება ბრიკისადმი. დაბადებისთანავე ასე იყო, ეგ უყვარდა. მე კი თითქოს ვიღაც ვიყავი, ისეთი, ვინც ფეხზე ეკიდა მას, ან, ფეხებზეც კი არ ეკიდა. მამა კიბოთი კვდება, მოდებული აქვს, ჩართეულია თირკმლებიც... და ახლა მას ურემია ეწყება, ყველამ იცით რა არის ურემია. ეს არის მთელი სისტემის მოწამვლა, როცა სხეულს უკვე აღარ შეუძლია შხამების გამოყოფა.

**მარგარეტი** (თავისთვის, ავანსცენაზე, თითქოს უსტვენსო, ისეთი ჩურჩულით). შხამები, შხამები! შხამები, ფიქრში, სიტყვებში! და შხამი გულებში, გონებაში! ეს შხამები!

**ბუპერი** (იმავდროულად). მე მოვითხოვ, რომ პატიოსნად გაირკვეს საქმე და ვიმედოვნებ, ღირსეულადაც მომეზღვება, მაგრამ — თუ არა — თუ ზურგს უკან აშკარად რაღაც სიცრუეს და მალულ ხერხებს მიმართავენ, მაშინ მე ტყუილუბრალოდ არ მისწავლია კანონები და ვიცი რანაირად უნდა დავიცვა საკუთარი ინტერესები. — ოჰ! დაყოვნებული გამოჩენა! (გალერეიდან შემოდის ბრიკი, მშვიდი და გაურკვეველი ღიმილით სახეზე, ხელში ცარიელი ჭიქა უჭირავს).

**მეი.** შეხედეთ, გმირი, მძლეველი მოდის!

**ბუპერი.** ლეგენდარული ბრიკ პოლიტი! გახსოვთ იგი? ანდა — შეიძლება ის დაგავიწყდეთ?

**მეი.** ისეთია, თითქოს რაღაც ტრავმა მიიღო ერთ-ერთ თამაშში!

**ბუპერი.** ჰო, სხვა რა გზაა, წელს სათადარიგო სკამის გათბობა მოგიწევს ბრიკ, ბრძოლის თასის გათამაშების მატჩებში! (მეი მკივანა ხმით ხარხარებს).
— თუ ვარდისფერი თასის გათამაშებისას იყო, რომ თავისი ცნობილი ნახტომი გააკეთა?

**მეი.** არა, პუნშის თასის, ძვირფასო, წახნაგებიანი პუნშის თასის!

**ბუპერი.** ჰო, ეგ სწორია, მე ერთმანეთში ვურევ თასებს!

**მარგარეტი.** რას მიადექით, ხომ ხედავთ, ბიჭი ავად არის, რას ღვარძლიანობთ და ბოლმას ანთხევთ? თქვენ, უბრალოდ, გშურთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲔᲓᲐ. გაათავეთ, ორივემ, გეუბნებით, გაათავეთ სუყველამ, მორჩით!

ᲒᲣᲞᲔᲠᲘ. ჰო, კარგი, დედა. ოჯახური კრიზისი ავლენს თითოეული წევრის ავსაც და კარგსაც.

ᲛᲔᲘ. ეს მართალია.

ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ. ამინ!

ᲓᲔᲓᲐ. გაათავეთ-მეთქი! არ გავიგონო კინკლაობა! ჩემს სახლში ამას არ დავუშვებ!

(მეი რაღაცას ანიშნებს გუპერს პორტფელზე. ბრიკი უფრო მეტად გაურკვეველი ღიმილით ვისკის ისხამს და წყნარად ღიღინებს).

გზა დამანახვეთ, შინ წასვლა მინდა,
დაღლილ-დაქანცულს დაძინება მსურს,
ცოტა დავლიე, ვიქეცი რინდად —

ᲒᲣᲞᲔᲠᲘ (იმავდროულად). დედა, იცი, ხვალ დილით აუცილებლად მივდივარ მემფისში, პარკერის ქონებას ეხება საქმე და სასამართლოზე მე უნდა ვიყო.

ᲑᲠᲘᲙᲘ. (ისევ ღიღინებს).

შინ წავალ, რაკი გავასრულებ
ხეტიალს ხმელზე, თუგინდ ზღვაზე,
ან სადაც გინდათ.

ᲓᲔᲓᲐ. ხვალ მიდიხარ, გუპერ?

ᲛᲔᲘ. დიი-ახ.

ᲒᲣᲞᲔᲠᲘ. ამიტომ, იძულებული ვარ ერთი საკითხი წამოვჭრა, რაც...

ᲛᲔᲘ. იმდენად საგულისხმოა, რომ გადადება არ შეიძლება.

ᲒᲣᲞᲔᲠᲘ. ბრიკი რომ ფხიზელი იყოს, ისიც უნდა ერეოდეს ამ საქმეში.

ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ. ბრიკი აქ არის; ჩვენ აქა ვართ.

ᲒᲣᲞᲔᲠᲘ. მაშ, კარგი. მე გაჩვენებთ შავს იმ ვარიანტისას, რაც ჩემს პარტნიორთან, ტომ ბულიტთან ერთად შევადგინე. ეს მონახაზივითაა მეურვეობის თაობაზე.

ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ. ოჰ, აი რა! შენ გახდები მეურვე და ცოტა სახსრებს გამოგვიყოფ, ჰა? არა?

ᲒᲣᲞᲔᲠᲘ. ოჩსნერის კლინიკის ლაბორატორიიდან ანალიზების მიღებისთანავე მოვხაზეთ პროექტი. ეს მონახაზი, — ვგულისხმობ შავს, შევადგინეთ თვითონ ს. ს. ბელოუზის — მემფისის კომერციული ბანკისა და სამხრეთის ბანკის თავმჯდომარის, დასავლეთ ტენესისა და დელტის ყველა ცნობილი ოჯახის პლანტაციების მინდობილობების გამგებლის რჩევითა და დახმარებით.

ᲓᲔᲓᲐ. გუპერ?

ᲒᲣᲞᲔᲠᲘ (დედისკენ დაიხრება). ეს არ არის საბოლოო; მხოლოდ წინასწარ მოხაზული ვარიანტია. მაგრამ საფუძველი იქნება პროექტისა, შესაძლებელი, შესაძლო გეგმა!

ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ. ჰო, რა თქმა უნდა.

ᲛᲔᲘ. გეგმა, რომელიც დელტის უდიდეს პლანტაციას უპასუხისმგებლობას აარიდებს და...

ᲓᲔᲓᲐ. ახლა სუყველამ მომისმინეთ, ყველამ, ვინც აქ ხართ! ასეთნაირ კინკლაობას და ასეთ ლაპარაკს ამ სახლში უკვე აღარ მოვითმენ! შენ კი, გუპერ, მოაშორე ეგ ქაღალდები, სანამ ხელიდან არ გამოგგლიჯ და ნაფლეთებად არ ვაქცევ აქვე! მე არ ვიცი რა იხრობა წერია მანდ და არც მინდა ვიცოდე. მე ახლა მამაშენის ენით გელაპარაკები: მე მისი ცოლი ვარ! მამაშენის ქვრივი კი არა მე ჯერ იმის ცოლი ვარ! და მამაშენის ენით გეტყვი, რომ...

ᲒᲣᲞᲔᲠᲘ. დედა, ეს ჯერ მხოლოდ...

ᲛᲔᲘ. გუპერმა აგიხსნათ, რომ ეს მხოლოდ...

ᲓᲔᲓᲐ. სულ ერთია, რაც გინდა იყოს, ოღონდ, მოაშორე და საიდანაც ამოიღე, ისევ იქ ჩადეთ და აღარასოდეს დამანახოთ, ეგეც და მაგის კონვერტიც ერთად — მოაშორეთ! გასაგებია? საფუძველი! გეგმა! სავარაუდო! ვარიანტი! ამაებზე მე იმას გეტყვით... როგორც მამა ამბობს ხოლმე, როცა რაიმე ეზიზღება...

ᲑᲠᲘᲙᲘ (ბართან დგას). როცა რამე ეზიზღება, დიდი მამა „მიქარვას" ამბობს.

ᲓᲔᲓᲐ (წამოდგება). სწორია! ეგ მიქარვაა! მეც მამასავით ვამბობ, რომ მიქარვაა!

ᲛᲔᲘ. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში უხამსი სიტყვაა...

ᲒᲣᲞᲔᲠᲘ. რაღაცით ღირსება მელახება, არ მეგონა შენ თუ ასეთ სიტყვებს იტყოდი.

ᲓᲔᲓᲐ. ვერავინ ვერაფერს ვერ მიიღებს! სანამ მამა საქმეს ხელიდან არ გაუშვებს, და შეიძლება, ვინ იცის, იქნებ ამის მერეც! არც ამის მერე!

ᲑᲠᲘᲙᲘ. და ამ სიმღერას ვიმღერებ მარად,
გზა დამანახვეთ, შინ წასვლა მინდა.

ᲓᲔᲓᲐ. დღეს ბრიკი ისეთია, როგორც პატარა ბიჭობისას, როცა მთელი დღე დარბოდა, თამაშობდა და შინ აწითლებული და გაოფლიანებული მოდიოდა, წითური თმა უბზინავდა...

(მიდის ბრიკთან და თავისი სქელი, ათრთოლებული ხელით ეფერება თმაზე. ბრიკი განზე გაიწევს, როგორც ყოველთვის, როცა მას ფიზიკურად ეხებიან და ჩურჩულით აგრძელებს ღიღინს, ჭიქაში ყინულის ნატეხებს სათითაოდ, ისეთი სახით, ისე გულმოდგინედ ყრის, გეგონება რაღაც რთულ ქიმიურ ნარევს ამზადებსო).

ᲓᲔᲓᲐ (აგრძელებს). დრო სწრაფად გარბის. ვერ დაეწევი. სიკვდილი კი მალე, ძალიან მალე მოდის, სიცოცხლეს კარგად ვერც იგებ და — სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ხარ.. იცით, ახლა ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს, რაც შეიძლება ახლო უნდა ვიყოთ ყველა, მეტადრე ახლა, როცა ეს რაღაც, დაუკითხავად, შავით და ბნელით მოვიდა და დასახლდა აქ.

(მოუხეშავად ეხვევა ბრიკს, თავს მხარზეადებს. გუპერი ქაღალდებს უბრუნებს მეის, რომელიც ისევ პორტფელში დებს მათ ისეთი სახით, თითქოს საშინელ სისასტიკეს გაუძლოო თავისი დიდი მოთმინებით).

ᲒᲣᲞᲔᲠᲘ. დედა? დედა?

(მის უკან დგება, ძმის მიმართ ბავშვური ეჭვისა და შურის გამო დაძაბული).

ᲓᲔᲓᲐ. (გუპერისკენ არც იყურება). ბრიკ, გესმის რაც ვთქვი, ჰა?

ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲔᲢᲘ. გაიგონა, ბრიკს ესმის, დედა...

ᲓᲔᲓᲐ. ოო, ბრიკ, მამას ბიჭო! მამას ისე უყვარხარ შენ! იცი რა არის მისი სანუკვარი ოცნება? სანამ ცოცხალია, უნდა რომ ვაჟიშვილი გყავდეს, და ისე გზავდეს შენ, როგორც შენ ჰგავხარ მამაშენს, ბიჭო!

მეი (პორტფელს ხურავს ელვაშესაკრავით, მკვეთრად, რაზრაზით). რა დასანანია, რომ მეგი და ბრიკი საწადელს ვერ შეუსრულებენ!

მარგარეტი (უცბად, მაგრამ მშვიდად და რაღაც ძალით ავსებს). მისმინეთ, ყველამ.

(ოთახის ვერანდაზე გადის, ხელებს მაგრად გადააჭდობს).

მეი. რა ვისმინოთ, მეგი?

მარგარეტი. მე მინდა ერთი რამ გაცნობოთ.

გუპერი. სპორტული ცნობებიდან, მეგი?

მარგარეტი. მე და ბრიკს ბავშვი გვეყოლება!

(დედა პირს აღებს და ხმამაღლა ჩაისუნთქავს ჰაერს. პაუზა. დედა დგება).

დედა. მეგი! ბრიკ! ეს ისე კარგი რამეა, რომ ვერც ვიჯერებ!

მეი. რა თქმა უნდა, ძნელია მაგის დაჯერება.

დედა. ოჰო-ჰო, ღმერთო, მამას სულ ეს ოცნება ჰქონდა და ოცნება სრულდება! ო, ახლავე წავალ და ვეტყვი ხანამ იგი...

მარგარეტი. დილით ვეტყვით. ამ ღამეს ნულარ შევაწუხებთ.

დედა. მე მინდა ვუთხრა, დაძინებამდე მინდა ვუთხრა, რომ ოცნება უკვე აუსრულდა! ამ წუთში წავალ ბრიკ! მამა გახდები და თავისთავად ჭკუაზე მოხვალ. ბავშვი მაგ სმასაც გადაგაჩვევს. (ჭიქას წაართმევს). ბავშვზე პასუხისმგებლობა შენ...

(აღელვებულს სახე ერევა, ხელს გაიქნევს, აქვითინდება. და გარეთ ტირილით გავარდება).

ამ წუთში ვეტყვი მამას, ამ წუთში!

(ჰოლის სიღრმეში მიწყდება მისი ხმა. ბრიკი ოდნავ იჩეჩს მხრებს, სხვა, ახალ ჭიქას იღებს და ყინულს აგდებს შიგ. მარგარეტი სწრაფად გადაჭრის ოთახს იქითკენ, სადაც ბრიკი დგას, ჩურჩულით ამბობს რაღაცას, თვითონ უსხამს ვისკის, და დაჟინებით, თითქმის გაშმაგებული შეჰყურებს სახეში).

ბრიკი (გულგრილად). გმადლობ, მეგი, ეს კარგა ბევრია, კარგი დოზა.

(მეი უკვე გუპერთან მივიდა, გააფთრებით წაჰკრავს ფერდში, ჩუმი, მსტვენი სისინით და გაცოფებული სახით).

გუპერი (ხელის კვრით გვერდზე გასწევს მეის). ბრიკ, ეგ ვისკი იქნებ მეც დამისხა, ცოტა მაინც.

ბრიკი. რა თქმა უნდა, რამდენიც გინდა, რას ამბობ, გუპერ.

გუპერი. დავლევ.

მეი (მკივანა ხმით). ჩვენ, ცხადია ვიცით, რომ ეს ამბავი...

გუპერი. გაჩუმდი, მეი!

მეი. არ გავჩუმდები! მე ვიცი რომ ტყუილი თქვა!

გუპერი. ხომ გითხარი, გაჩუმდი-მეთქი, დასწყევლოს ღმერთმა.

მარგარეტი. უფალო, ღმერთო! ჩემი პატარა განცხადება თუ ასეთ ქარიშხალს გამოიწვევდა, არ მეგონა!

მეი. ეს ქალი ფეხმძიმედ არ არის.

გუპერი. მერე, ვინ თქვა, რომ არის?

მეი. თვითონ.

გუპერი. ექიმს არ უთქვამს. დოქტორ ბოხს ხომ არ უთქვამს ეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგარეტი. მე დოქტორ ბოხთან [illegible] ვყოფილვარ.

გუპერი. აბა ვისთან იყავი, მეგი?

მარგარეტი. სამხრეთის ერთ-ერთ საუკეთესო გინეკოლოგთან.

გუპერი. ააჰ, აჰ! აჰ! გასაგებია...

(ფანქარს და უბის წიგნაკს ამოიღებს).

— რა ჰქვია მას, შეიძლება ვიცოდეთ, მეგი?

მარგარეტი. არ შეიძლება, ბატონო გამომძიებელო!

მეი. არავითარი სახელი და გვარი არა აქვს, ის არც არსებობს.

მარგარეტი. ის არსებობს, ის ისევე არსებობს როგორც ჩემი ბავშვი, ჩემი და — ბრიკის!

მეი. შენ არ შეიძლება გყავდეს ბავშვი იმ კაცისგან, ვინც შენთან არ წევს, ანდა, ხომ არ ფიქრობ რომ შენ...

(ბრიკი ფონოგრაფს ჩართავს. ჯაზბანდის მუსიკა ახშობს მეის სიტყვებს).

გუპერი. გამორთე!

მეი. ჩვენ ვიცით, რომ ეს ტყუილია! იმიტომ რომ გვესმის, ღამე რაცა ხდება აქ, მაგას შენთან დაძინება არ უნდა, და ნუ გგონია, რომ გაგვაცურე, ვინ მოგცემს ნებას გაასულელო მომაკვდავი ბერიკაცი იმით რომ...

(აგონიის, ტკივილისა და მრისხანების გრძელი, გაბმული ყვირილი ისმის მთელ სახლში. მარგარეტი ფონოგრაფს დაუწევს, მუსიკა ოდნავღა ისმის. ყვირილი მეორდება).

მეი (შეშინებით). გაიგონე, გუპერ? გაიგონე ხმა?

გუპერი. ეტყობა დაეწყო ტკივილი.

მეი. წამოდი, ვნახოთ, გუპერ!

გუპერი. წავიდეთ, დავტოვოთ ეს შეყვარებული ჩიტები თავიანთ ბუდეში!

(ჯერ გუპერი მიდის. მეი გაჰყვება, კარებში, მარგარეტისკენ სახის დაღრეჯით და სისინით მიტრიალდება).

მეი. მატყუარა!

(კარებს გაიჯახუნებს. მარგარეტი შვებით ამოისუნთქავს. ბრიკს მკლავში გაუბედავად მოჰკიდებს ხელს).

მარგარეტი. გმადლობ, დუმილისთვის...

ბრიკი. არაფერს, მეგი.

მარგარეტი. გალანტურად გადამარჩინე სირცხვილს!

ბრიკი. კიდევ არ არის.

მარგარეტი. რა?

ბრიკი. ეს „ტკაც"...

მარგარეტი. „ტკაც" თავში, და მერე შვილდები, არა? ძვირფასო?

ბრიკი. აჰაა. რაღაც არ მოდის.. ველოდები, უამისოდ ვერ დავიძინებ...

მარგარეტი. მე ვიცი, რასაც გულისხმობ შენ...

**ბრიკი.** იმ სავარძლიდან აიღე და მომაწოდე ბალიში, მეგი.

**მარგარეტი.** საწოლზე დავდებ შენთვის, კარგი?

**ბრიკი.** არა, დივანზე, სადაც მე მძინავს.

**მარგარეტი.** მაგრამ, ამ ღამეს, ბრიკ...

**ბრიკი.** მე მინდა, რომ დივანზე დადო, სადაც მე მძინავს.

(კოჭლობით მიდის ბარისკენ. ვისკის ისხამს. ახლა სამ ჭიქას სვამს, ზედიზედ, და წყნარად დგას. ელოდება. მერე უცებ ღიმილით მოტრიალდება).

აი!

**მარგარეტი.** რა?

**ბრიკი.** „ტკაც".

(უსაზღვრო მადლიერებით სავსე, ჭიქით ხელში, გალერეისკენ მიდის კოჭლობით. როცა თვალს მიეფარება, მისი ყავარჯნის რაკარუკი გვესმის. მერე, რაღაც მანძილზე, მოშორებით, თავისთვის, წყნარად იწყებს სიმღერას. მარგარეტი მარტოკაა, რამდენიმე წამს დგას ამ პოზაში — უბედურად, დიდი ბალიში უჭირავს ხელში, თითქოს ეს იყოს ერთადერთი და ახლობელი არსება, მერე საწოლზე დააგდებს მას. ბარისკენ გაქანდება. ყველა ბოთლს წამოკრებს ორივე ხელით, გაუბედავად მიმოიხედავს გარშემო და ბოთლებიანად გარბის ოთახიდან, ნახევრად ღიად ტოვებს მქრქალი ყვითელი ფერით სავსე ჰოლში გასასვლელ კარებს. ისმის, როგორ ბრუნდება ბრიკი გალერეიდან, ყავარჯნის რაკარუკით და თავისი წყნარი, მშვიდი სიმღერით. ოთახში შემოდის, ხედავს, მისი ბალიში საწოლზეა, ნაღვლიანად, ხმადაბლა გაიცინებს და იქიდან აიღებს. ბალიში იღლიაში აქვს ამოდებული, როცა მარგარეტი ბრუნდება ოთახში. მარგარეტი ნელა მიხურავს კარს და ზედ მიეყრდნობა, ალერსით ულიმის ბრიკს).

**მარგარეტი.** ბრიკ, ადრე ვფიქრობდი, რომ ჩემზე ძლიერი იყავი და მეგონა, მე მაჯობებდი, მაგრამ ახლა, იმის მერე რაც ვისკის ასე მიეძალე... იცი? ალბათ არ არის კარგი, მაგრამ, ახლა მე უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე შენ, და შემიძლია უფრო ძლიერ და მართლა მიყვარდე! ეგ ბალიში არ წაიღო. თუ წაიღებ, მაინც ისევ აქ დავდებ!.. ბრიკ!

(ყველა ლამპას აქრობს, გარდა ერთი, ვარდისფერაბრეშუმიანი ღამის ლამპისა, — იგი საწოლის თავთან ახლო დგას).

მე მართლა ვიყავი ექიმთან და ვიცი რაც უნდა გავაკეთო, და ბრიკ! ახლა სწორედ... ჩემი კალენდრით... ჩასახვის დღეა!

**ბრიკი.** ჰო, გასაგებია, მეგი, მაგრამ, რანაირად აპირებ ბავშვის ჩასახვას იმ კაცისგან, ვინც სიყვარულით მხოლოდ ვისკისგან კარგავს ჭკუას?

**მარგარეტი.** რანაირად? ვისკის ბოთლებს გავიტან და სანამ მოვიტან, ვაიძულებ ჩემი სურვილის ასრულებას.

**ბრიკი.** და ასეც მოიქეცი, მეგი?

**მარგარეტი.** შენ თვითონ ნახე, ერთი ვისკის არ არის ბარში, ცარიელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბრიკი.** ჰოდა, მე ვიყო...

(ყავარჯნისაკენ გაიწევს, მაგრამ მარგარეტი დაასწრებს, გალერეაზე გავარდება, ყავარჯენს მოაჯირს იქით გადააგდებს და ოთახში ბრუნდება, სულს ითქვამს. ვიღაცის ჩქარი ნაბიჯი ისმის. ოთახში შემორბის დედა, სახეარეულია, მძიმედ სუნთქავს, სიტყვებს ძლივს უყრის თავს).

**დედა.** ო, ღმერთო ჩემო, ო, ღმერთო ჩემო, ო, ღმერთო ჩემო, სად არის ის?

**მარგარეტი.** ეს გინდათ, დედა?

(მარგარეტი ექიმის მიერ დატოვებულ კოლოფს გაუწვდის).

**დედა.** მე ვერ ავიტან ამას, ო, ღმერთო! ო, ბრიკ! ბრიკ! ბიჭი!

(მივარდება შვილს. ტირის და სახეზე კოცნით ეფერება. ბრიკი სახეს არიდებს კოცნას. მარგარეტი დაძაბული ღიმილით შესცქერის).

ჩემი შვილი, მამას ბიჭი! უმცროსი მამა!

(კიდევ გაისმის კვნესა და ყვირილი, დედა ქვითინით გარბის).

**მარგარეტი.** და, ამ ღამეს ტყუილს სიმართლედ ვაქცევთ. მერე კი ვისკის ისევ შემოვიტან ამ ოთახში და ერთად დავლევთ, აქ, ამ სახლში, სადაც სიკვდილი შემოვიდა...

შენ რაღაც თქვი?

**ბრიკი.** არაფერი. ჩანს სათქმელი არაფერია.

**მარგარეტი.** ო, ეს სუსტი და ლამაზი ხალხი! მშვენიერებო და სუსტებო! ო, რა ადვილად შეგიძლიათ სასოწარკვეთა — საჭიროა, რომ ვიღაცამ თქვენ...

(ვარდისფერაბრეშუმიან ლამპას აქრობს, სწრაფად ჩაიჩოქებს ბრიკთან ახლო, საწოლის ფეხთან).

ხელი მოგკიდოთ, ნაზად, ნაზად, და სიყვარულით! და...

(ფარდა თანდათან იწყებს დაშვებას).

მე ძალიან მიყვარხარ, ბრიკ, მე მიყვარხარ!

(სახეზე ნაზად ეხება ბრიკს).

**ბრიკი** (იღიმება, მომხიბვლელად, სევდიანად). სასაცილო არ იქნება, რომ ასე არ იყოს?

ფ ა რ დ ა ე შ ვ ე ბ ა

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

ინგლისურიდან თარგმნა
მაიკო ხელაშვილმა